ჰაერსატარ სისტემების მუშაობისას ჰაერის სიმკვრივე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს, რადგან იგი განსაზღვრავს ნაკადის დინამიკას, წნევის ვარდნას, ენერგომოხმარებას და მოწყობილობის ეფექტურობას. იდეალურ პირობებში, როცა ჰაერი გამჭვირვალეა და არ შეიცავს მყარ ნაწილაკებს, მისი სიმკვრივე სტანდარტული ატმოსფერული პირობების მიხედვით (25°C , 1 atm) შეადგენს დაახლოებით 1.184 კგ/მ^3 . თუმცა, როგორც კი გარემოში გაჩნდება უცხო მყარი ნაწილაკები (მტვერი, ქვიშა, მიკრო-მრავალკომპონენტური ფაზები), საშუალო სიმკვრივის შეფასებისას ჩნდება დამატებითი მათგან გამოწვეული დამატებითი წვლილი.

ეს ცვლილება განპირობებულია არა მხოლოდ ჰაერში დამატებითი მასის არსებობით, არამედ ამ მასის ზომით, განაწილებით და კონცენტრაციით. შედეგად, სისტემა რეალურად მუშაობს არა სუფთა ჰაერზე, არამედ ჰაერისა და ნაწილაკების ნარევიზე, ანუ მრავალფაზიან გარემოზე.

3.2 ჰაერში შერეული მყარი ნაწილაკების უარყოფითი გავლენა მექანიზმების მუშაობაზე

ჰაერსატარ არხებში უცხო მყარ ნაწილაკთა შეღწევა წარმოადგენს ტექნოლოგიურ გამოწვევას, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორ მოქმედებს ეს მექანიკური გავლენა სისტემის მთლიანობაზე. ერთ-ერთი პირველი და უმთავრესი შედეგი, რაც წარმოიშობა ასეთ შემთხვევაში, არის ზედაპირული დაზიანება, რომელიც ყველაზე ხშირად ვლინდება კონსტრუქციული მასალის დამცავი ფენების მთლიანობის დარღვევით.

დამცავი შრე, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი გარემოს აგრესიული ფაქტორებისგან კონსტრუქციის ძირითადი მასალის დასაცავად, მყარ ნაწილაკებთან შეჯახების შედეგად შესაძლოა მნიშვნელოვნად დაზიანდეს. აღნიშნული დაზიანებები ხშირად წარმოდგენილია მიკრობზარების,

ლოკალური ეროზიის ან ზედაპირული ჭრილობების სახით. მსგავსი მექანიკური დეფექტები ქმნის პირობებს, რომლებიც განსაკუთრებით ხელსაყრელია ქიმიური კოროზიული პროცესების გააქტიურებისთვის.

დამცავი შრის დაზიანების შემდგომ, ზედაპირი ხდება დაუცველი გარემოში არსებული აგრესიული ქიმიური კომპონენტების მიმართ. მაგალითად, ატმოსფერული პირობებიდან შემომავალი ტენიანობა, მარილოვანი ნაწილაკები, დამჟავებული წვეთები ან სხვა ქიმიურად აქტიური ნაერთები თავისუფლად აღწევენ ზედაპირზე და იწყებენ ლოკალურ კოროზიულ რეაქციებს. აღნიშნული პროცესი სწრაფად იწვევს ლითონის ზედაპირის ქიმიურ დეგრადაციას, რაც პოტენციურად იწვევს მიკრო სტრუქტურების დანგრევას, მექანიკური მდგრადობის შემცირებასა და გრძელვადიან პერსპექტივაში – სისტემური გაუმართაობის რისკს.

მიმდინარე კვლევები აჩვენებს, რომ ქიმიური კოროზიის გააქტიურება მჭიდროდ არის კავშირში არა მხოლოდ დაზიანების მასშტაბთან, არამედ იმ გარემოს ხასიათთანაც, სადაც სისტემა ფუნქციონირებს – მაღალი ტემპერატურა, ტენიანობა და წნევა აჩქარებს კოროზიულ მექანიზმებს. ამის გათვალისწინებით, მყარი ნაწილაკების დროული აღმოჩენა და მათი ზემოქმედების პროგნოზირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სისტემის გამართულობის შენარჩუნებისთვის, რაც საბოლოოდ აისახება როგორც ფუნქციური უსაფრთხოების, ისე ეკონომიკური დანახარჯების მართვაში.

3.3 მყარი ნაწილაკებით შერეული ჰაერის ნაკადის სიმკვრივის განსაზღვრა

მყარი ნაწილაკების შემცველი ჰაერის ნაკადის საშუალო სიმკვრივე შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$\rho_{\text{შერეული}} = \rho_{\text{ჰაერი}} + \varphi \cdot \rho_{\text{ნაწილაკები}} \quad (5)$$

სადაც $\rho_{\text{შერეული}}$ — მყარი ნაწილაკების შემცველი ჰაერის საშუალო სიმკვრივეა, $\rho_{\text{ჰაერი}}$ — სუფთა ჰაერის სიმკვრივე, $\rho_{\text{ნაწილაკები}}$ — ნაწილაკების სიმკვრივე (მაგ. კვარცისათვის $\rho_{\text{ნაწილაკები}} \sim 2600$ კგ/მ³) და φ — ნაწილაკების მოცულობითი წილი. მაგალითად, თუკი ჰაერში შერეული ნაწილაკების მოცულობითი წილი 0.5%-ია და მათი სიმკვრივე $\rho_{\text{ნაწილაკები}} = 2500$ კგ/მ³, მაშინ ჰაერის საშუალო სიმკვრივე გამოვა $\rho_{\text{შერეული}} = 1.184 + 0.005 \cdot 2500 = 13.684$ კგ/მ³. გამოვა, რომ სისტემა იმუშავებს ბევრად უფრო მკვრივ ინერციულ ნარევეზე, რაც მოითხოვს მეტ ენერგიას, ზრდის ტურბულენტობას, ნაწილების ზემოქმედებას და აჩქარებს მექანიკური ცვეთას.

ჰაერის სიმკვრივის ასეთი ცვლილებები პირდაპირ ზემოქმედებს ჰაერსატარ სისტემის მრავალ მახასიათებელზე:

- იცვლება დინამიკა და ნაკადის პროფილი – უფრო მკვრივი ნარევი განსხვავებულად გადაადგილდება მილებში ან ტურბინებში;
- იზრდება წნევის ვარდნა – საჭიროა მეტი ენერგია ნაკადის გასატარებლად;
- ზიანდება სენსორული სისტემები (მაგ. მასობრივი ნაკადის მრიცხველები) შეიძლება შეცდომით აღირიცხოს ნარევის პარამეტრები.

აქედან გამომდინარე, ჰაერსატარ სისტემებში სასურველია დამაგრებული იყოს სიმკვრივეზე მგრძნობიარე სენსორები, ან ულტრაბერით მეთოდზე დაფუძნებული ხელსაწყოები, რომლებიც

აღწერენ არაწრფივ ნაწილაკთა სტრუქტურას და აკონტროლებენ სიმკვრივის მატებას დროში. ასევე, შესაძლებელია ჰაერის განუწყვეტელი მონიტორინგი ავტომატიზებული ან ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ანალიზით, რომელიც წინასწარ აფიქსირებს, რომ ნარევის ჯამური მასა გადაცდა დასაშვებ ზღვარს.

ჰაერის სიმკვრივის ცვლილება დაბინძურებული გარემოს პირობებში წარმოადგენს უპირატესად მნიშვნელოვან ფაქტორს ჰაერსატარ მოწყობილობათა მუშაობის უსაფრთხოებისა და რესურსების მართვის კუთხით. მასზე დაკვირვება არა მხოლოდ პრევენციული დიაგნოსტიკის საშუალებას იძლევა, არამედ ინჟინერს აძლევს ზუსტ, რაოდენობრივ სურათს სისტემის რეალური მდგომარეობის შესახებ. ულტრაბგერითი მეთოდები და შესაბამისი მოდელები ქმნიან იმ ტექნოლოგიურ საფუძველს, რომლის გამოყენებაც აუცილებელია თანამედროვე საავიაციო, ენერგეტიკულ და ინდუსტრიულ სექტორებში [6, 14].

4. ულტრაბგერის მეთოდზე დაფუძნებული მყარი ნაწილაკებით შერეული ჰაერის საშუალო სიმკვრივის განსაზღვრის მეთოდოლოგია


4.1 მეთოდის პრინციპი

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შემოთავაზებულია ულტრაბგერითი ტალღებზე დაფუძნებული სენსორული სისტემა, რომელიც განკუთვნილია ჰაერსატარ მილებში უცხო მყარი ნაწილაკების აღმოჩენისთვის. სისტემის ძირითადი ელემენტებია გამგზავნი (emitter) და მიმღები (receiver) პიეზოელექტრონული სენსორები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ გარკვეული კუთხით არიან განლაგებული კონსტრუქციაზე, ერთ მხარეს (სურ. 1) ან სხვადასხვა მხარეს (სურ. 2) ორივე მხარეს. ულტრაბგერითი ტალღა, რომელსაც უშვებს გამგზავნი, გადის ჰაერში და აღწევს მიმღებამდე მანამ, სანამ არ აღმოჩნდება ნაკადში ისეთი მყარი ნაწილაკი, რომელიც ტალღას ან გაფანტავს, ან ნაწილობრივ შთანთქავს. აღირიცხება როგორც ტალღის გაბნევის ინტენსიობა ასევე გავრცელების დრო.

ულტრაბგერითი სენსორები ტალღას აგზავნიან ჰაერის ნაკადში, რომელიც მოძრაობს მილში. თუ გარემო ჰომოგენურია და უცხო ნაწილაკებისგან თავისუფალი, ტალღა გავრცელდება წრფეზე მიმღებისკენ. ჰაერის ნაკადით გამოწვეული დროის სხვადასხვა მაჩვენებელი (ტალღის ვექტორის მიმართულებით და საწინააღმდეგოდ) გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ნაკადის სიჩქარე. მყარ ნაწილაკთა არსებობა გავლენას ახდენს ტალღის გავრცელებაზე, განსაკუთრებით მიკრონაწილაკების შემთხვევაში, სადაც წარმოიშობა გაფანტვა, შთანთქმა ან რეფრაქცია [15, 16, 17].

4.2 მოწყობილობის კონფიგურაცია

პირველი ვარიანტის მიხედვით (სურ. 1), გადამწოდები უნდა განლაგდეს „V“ ფორმის სარკისებური ტრაექტორიის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი ერთ მხარეს განლაგების მაღალ ეფექტურობას. ამ დროს გეომეტრიული პარამეტრებია ტრანსდისერებს შორის ჰორიზონტალური დაშორება L და ჰაერსატარი მილის დიამეტრი D .



სურ. 1 ჰაერსატარი მილის ერთ მხარეს განლაგებული გადამწოდები

ტრანსდიუსერის სარეკომენდაციო მოდელია 400EP14D, რომელიც უზრუნველყოფს 6 dB (დეციბელი), 135° სხივის სიგანეს, რაც იძლევა ტალღის ფართო დაფარვის საშუალებას.

ჰაერის ნაკადის მიმართულებით და საწინააღმდეგოდ ტალღის გავრცელების დრო იანგარიშება (6) გამოსახულებებით


$$t_{\text{წინ}} = \frac{L}{c+v \cos \alpha} \text{ და } t_{\text{უკან}} = \frac{L}{c-v \cos \alpha} \quad (6)$$

საიდანაც ჰაერის ნაკადის სიჩქარე (v) და ბგერის სიჩქარე (c) გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$v = \frac{L}{2 \cos \alpha} \cdot \frac{t_{\text{უკან}} - t_{\text{წინ}}}{t_{\text{წინ}} \cdot t_{\text{უკან}}} \text{ და } c = \frac{L}{2} \cdot \frac{t_{\text{წინ}} + t_{\text{უკან}}}{t_{\text{წინ}} \cdot t_{\text{უკან}}} \quad (7)$$

სადაც L — ტრანსდიუსერებს შორის მანძილია, α — ტრანსდიუსერების დახრის კუთხე ჰაერის ნაკადის მიმართ, $t_{\text{წინ}}$ — დრო რომელიც სჭირდება ტალღას მოძრაობისთვის ნაკადის საწინააღმდეგოდ, $t_{\text{უკან}}$ — დრო რომელიც სჭირდება ტალღას მოძრაობისთვის ნაკადის მიმართულებით.

მეორე ვარიანტის მიხედვით (სურ. 2) გადამწოდები განლაგებულია კონსტრუქციის სხვადასხვა მხარეს. ნაკადის მიმართულებით და საწინააღმდეგოდ სიგნალის გავრცელების დროების განსაზღვრა იგივენაირად ხდება, როგორც პირველ შემთხვევაში, შესაბამისად, აქაც სამართლიანია (6) და (7) გამოსახულებები.



სურ. 2 ჰერმეტიკის მილის სხვადასხვა მხარეს განლაგებული გადამწოდები

ჰერმეტიკის არაერთგვაროვანი შერეული ნაკადების საშუალო მაჩვენებლების განსაზღვრისთვის რეკომენდებულია მინიმუმ ორი ურთიერთმართობულ სიბრტყეში განლაგებული სენსორული სისტემის დამონტაჟება. ასევე სანდო შედეგების მისაღებად უნდა მოხდეს მცირე დროით შუალედებში მრავალჯერადი გაზომვები და მიღებული შედეგების გასაშუალოება.

ნაწილაკებით შერეული ჰერმეტიკის ნაკადში გავრცელებული ულტრაბგერის სიჩქარის სიდიდის მიხედვით უკვე შესაძლებელი იქნება შერეული ნაკადის სიმკვრივის გაზომვაც, რომელიც ხდება შემდეგნაირად: ბგერის სიჩქარე ჰერმეტიკში განისაზღვრება ფორმულით:

$$c = \sqrt{\frac{K_{\text{ჰმ}}}{\rho_{\text{ჰმ}}}} \quad (8)$$

სადაც $K_{\text{ჰმ}}$ არის ნაწილაკებით შერეული ნაკადის ეფექტური მოცულობითი მოდული (Bulk Modulus). თუ ნაწილაკების კონცენტრაცია მცირეა მაშინ შეიძლება ის ჩავთვალოთ სუფთა ჰერმეტიკის შესაბამისი მნიშვნელობის ტოლად

$$K_{\text{ჰმ}} \approx K_{\text{ჰმჰმ}} = \gamma P \quad (9)$$

სადაც γ არის ჰერმეტიკის ადიაბატური მაჩვენებელი ($\gamma_{\text{ჰერმეტიკი}} = C_P/C_V \approx 1.4$), ხოლო P ჰერმეტიკის წნევა. (8) და (9) გამოსახულებებიდან მივიღებთ:

$$\rho_{\text{ჰმ}} \approx \frac{\gamma P}{c^2} \quad (10)$$

ხოლო ჰერმეტიკში შერეული ნაწილაკების მოცულობითი წილი (5) ფორმულიდან გამომდინარე იქნება:

$$\varphi \approx \frac{\gamma P / c^2 - \rho_{\text{ჰმ}}}{\rho_{\text{ჰმ}} \text{ (საშუალო)}} \quad (11)$$

ამრიგად, წარმოდგენილი მეთოდიკა იძლევა საშუალებას განისაზღვროს მყარი ნაწილაკებით შერეული ჰერმეტიკის საშუალო სიმკვრივე და ნაწილაკების მოცულობითი წილი.

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა აჩვენებს, რომ ჰაერსატარ სისტემებში უცხო მყარი ნაწილაკების არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, როგორც საავიაციო, ისე ენერგეტიკულ და ინდუსტრიულ დანადგარებში. აღნიშნული ნაწილაკები, მათი მცირე ზომის მიუხედავად, მოქმედებენ როგორც აბრაზიული ელემენტები, რომლებიც იწვევენ მექანიკური კომპონენტების ზედაპირის დაზიანებას, დამცავი შრეების დარღვევას და შემდგომ ქიმიური კოროზიის გააქტიურებას. შედეგად მცირდება სისტემის ენერგოეფექტურობა, იზრდება ხარჯი ტექნიკურ მომსახურებაზე და იქმნება ავარიული მწყობრიდან გამოსვლის საფრთხე. ამ ვითარების პრევენციისა და დროული დიაგნოსტიკის მიზნით, ულტრაბგერითი მეთოდი წარმოდგება როგორც ერთ-ერთი პერსპექტიული და საიმედო მიდგომა. მისი მთავარი უპირატესობა მდგომარეობს არაინვაზიურ (ურღვევ) ხასიათში. მისი გამოყენებისას არ ხდება სისტემის გაჩერების ან დაშლის საჭიროება, რაც ოპერაციულად მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიურ პირობებში.

შესწავლილი მოდელის საფუძველზე დასტურდება, რომ ტალღის სიგრძის და ნაწილაკის ზომის შესაბამისობა წარმოადგენს კრიტიკულ ფაქტორს დეტექტირების სიზუსტისთვის. მაღალი სიხშირის (40–500 კჰც) ულტრაბგერითი ტალღები ეფექტურად აიდენტიფიცირებენ მიკრონული და მილიმეტრიანი ზომის ნაწილაკებს, რომლებიც ხშირად განსაზღვრავენ სისტემის საერთო დაბინძურების ხარისხს. ჩატარებული თეორიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ტალღის სიგრძის შემცირებასთან ერთად იზრდება გაფანტვის ეფექტურობა, თუმცა ამასთან ერთად მცირდება ტალღის გავრცელების მანძილი ჰაერში, რაც მოითხოვს სენსორების მგრძნობელობისა და გამაძლიერებელი სისტემების ოპტიმიზაციას.

მიღებული ფორმულარული დამოკიდებულებები საშუალებას იძლევა, შეფასდეს ჰაერში მყარი ნაწილაკების მოცულობითი წილი და მათ მიერ გამოწვეული სიმკვრივის ცვლილება. ეს პარამეტრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნაკადის დინამიკაზე, წნევის ვარდნაზე და სისტემის ენერგომოხმარებაზე. შესაბამისი სენსორული სქემის მეშვეობით შესაძლებელია რეალურ დროში ამ ცვლილებების კონტროლი და მონაცემთა ინტერპრეტაცია, რაც ინჟინერს აძლევს შესაძლებლობას დროულად შეაფასოს სისტემის დაბინძურების დონე.

კვლევის შედეგების პრაქტიკული დანერგვა მრავალმხრივ სარგებელს იძლევა. ერთი მხრივ, უზრუნველყოფილია სისტემის საიმედოობის და უსაფრთხოების ამაღლება, მეორე მხრივ კი, მცირდება ენერგომოხმარება და ტექნიკური მომსახურების სიხშირე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეთოდის გამოყენება საავიაციო ძრავებში, სადაც უცხო ნაწილაკების შეწოვამ შესაძლოა გამოიწვიოს ტურბინის ბალანსის დარღვევა ან ნიჩბების დეფორმაცია.

ამრიგად, შემოთავაზებული ულტრაბგერითი მეთოდი წარმოადგენს ეფექტურ, ეკონომიურად გამართლებულ და ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებას ჰაერსატარ სისტემების მონიტორინგისა და უცხო მყარი ნაწილაკების იდენტიფიკაციისათვის. მის საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას ავტომატიზირებული დიაგნოსტიკური მოდულები, რომლებიც გაზრდიან ინდუსტრიული და

საავიაციო მოწყობილობების ექსპლუატაციის რესურსს, შეამცირებენ ავარიული შემთხვევების ალბათობას და უზრუნველყოფენ ოპტიმალურ მუშაობას რეალურ გარემოში.

მადლიერება: კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-24-4684, ჰაერსატარ მოწყობილობებში მრავალკომპონენტიანი მყარი ნაწილაკების შემცველი ნარევი ნაკადების მახასიათებლების კვლევა, მათი გაზომვისა და დეტექტირების ეფექტური მეთოდოლოგიის დამუშავება].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Molaie, Saeed, et al. 2021. "Review of the Newly Developed, Mobile Optical Sensors for Real-Time Measurement of the Atmospheric Particulate Matter Concentration." *Sensors (Basel)* 21, no. 6: 1–25. <https://doi.org/10.3390/s21062236>;
2. Sánchez-Barajas, Martín Aarón, Daniel Cuevas-González, Marco A. Reyna, Juan C. Delgado-Torres, Eladio Altamira-Colado, and Roberto López-Avitia. 2023. "Development of a Low-Cost Particulate Matter Optical Sensor for Real-Time Monitoring." *Engineering Proceedings* 58, no. 1 (41): 1–6. <https://doi.org/10.3390/ecsa-10-14521>;
3. Zhang, Y., et al. 2025. "Direct Measurement Techniques for Atmospheric Aerosol: A 20-Year Review." *Atmospheric Environment* (in press);
4. Höpner, F., et al. 2019. "Investigation of Two Optical Methods for Aerosol-Type Identification." *Journal of Geophysical Research: Atmospheres* 124 (4): 2080–2095;
5. Moon, C. Y., et al. 2021. *Particle Sensing in Gas Turbine Inlets Using Optical Measurements and Machine Learning*. PhD Thesis / Technical Report. Virginia Tech;
6. Massabò, D., et al. 2021. "An Overview of Optical and Thermal Methods for Carbonaceous Aerosol Characterization." *Atmosphere* 12 (3): 316–333;
7. United States Patent Application US 20090029870 A1. "Particle Analyzing Systems and Methods Using Acoustic Resonance and Flow Measurement." Filed January 29, 2009;
8. Wang, S., et al. 2023. "Review of Ultrasonic Particle Manipulation Techniques." *Micromachines* 14 (7): 1376. <https://doi.org/10.3390/mi14071376>;
9. Tiitta, M., et al. 2020. "Air-Coupled Ultrasound Detection of Natural Defects in Wood Using Ferroelectret and Piezoelectric Sensors." *Wood Science and Technology* 54: 1471–1487;
10. Lv, N., et al. 2025. "Exploring the Progress and Challenges of Ultrasonic Technology in Environmental Remediation." *Ultrasonics Sonochemistry* 106 (105917): 1–18. <https://doi.org/10.1016/j.ultsonch.2024.105917>;
11. Virginia Tech / ASME Group. 2023. "Virginia Tech Optical Inlet Sensor for Particle Detection." *ASME Turbo Expo: Gas Turbine Technology Conference Proceedings*;
12. Boyce, Meherwan P., ed. *Gas Turbine Engineering Handbook*. 2nd ed. Houston, TX: Gulf Publishing Company, 2006;
13. Moon, C. Y., et al. 2020. "Particle Sensing in Gas Turbine Inlets: Optical + Machine-Learning Approaches." *Proceedings of ASME Turbo Expo 2020*,

14. Wang, Y., et al. 2023. "Current Status of Detection Technologies for Indoor Particulate Matter: Performance Evaluation and Environmental Influences." *Aerosol and Air Quality Research* 23 (9): 1–24;
15. ResearchGate Conference Paper. 2024. "A Laser Imaging Technique for Measuring Particle Distribution at a Gas Turbine Engine Inlet." *Proceedings of the 14th International Symposium on Laser Diagnostics in Combustion*;
16. Experimental Studies on Low-Cost Ultrasonic Sensors for Distance and Presence Measurement. Examples Based on HC-SR04 Modules. *IEEE Sensors Applications Symposium Proceedings*, 2022;
17. Bohren, Craig F., and Donald R. Huffman. 1983. *Absorption and Scattering of Light by Small Particles*. New York: John Wiley & Sons.

An Improved Model for Detection and Quantification of Solid Particles in Air Duct Systems Using the Ultrasonic Method

Bidzina Abesadze¹, Giorgi Taqadze²

¹ Georgian Aviation University, 16 Ketevan Dedopali Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

² Alte University, 2 University Street, 0177 Tbilisi, Georgia

Abstract: *The present study addresses the issue of foreign solid particles in air duct systems and proposes an enhanced ultrasonic-based method for their detection and quantitative evaluation. The reliability and efficiency of modern industrial and aviation systems largely depend on the cleanliness and stability of the air flow. Dust, sand, ash, or metallic microparticles entering the system from the external environment can cause abrasive wear, surface erosion, and deformation of turbines and compressors. These effects reduce the energy efficiency of the equipment and increase the risk of critical failures. Therefore, there is a pressing need for a non-invasive technique capable of detecting and quantifying solid particles within air ducts in real time, without interrupting system operation.*

Within the scope of this research, an ultrasonic sensing system is proposed, employing a pair of transmitting and receiving transducers. The acoustic wave propagated between them responds to inhomogeneities in the medium and to the presence of foreign particles, resulting in scattering, absorption, or phase shifts. The operating principle of the system is based on analyzing the variations in wave propagation time and amplitude, which enables the determination of particle size and concentration. Theoretical models are presented to describe the interrelation between the ultrasonic propagation velocity, wavelength, and medium density, as well as scattering effects based on Rayleigh and Mie theories.

The obtained results confirm that the ultrasonic method is an effective, economical, and environmentally safe approach for monitoring the condition of air duct systems. Implementation of the proposed model can significantly improve system reliability and operational lifespan in both aviation and energy industries.

Keywords: *Ultrasound, air duct system, solid particles, sensor diagnostics, acoustic monitoring.*

სიმეტრიული ფრთის პროფილის კონტურის განსაზღვრის თეორიული მოდელი წინააღმდეგობის მინიმიზაციის მიზნით

ბიძინა აბესაძე¹, საბა კოპალიანი², ლიზი უბილავა³

^{1, 2, 3} საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზირი №16, 0103 თბილისი, საქართველო

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია ფრთის სიმეტრიული პროფილის კონტურის განსაზღვრის ახალი მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება უმცირესი ქმედების პრინციპსა და ვარიაციული კალკულუსის გამოყენებას. შემოთავაზებული მათემატიკური მოდელის მიზანია წინააღმდეგობის ძალის მინიმიზაცია და გეომეტრიულ-ფიზიკური სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილება. წარმოდგენილი თეორიული ანალიზი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საჰაერო აპარატების აეროდინამიკური ზედაპირების კონსტრუირების მიმართულებით, რადგან არსებობს რიგი პრობლემები, ჰაერის ნაკადის მცირე რეინოლდსის რიცხვებზე მოქმედებისას. აღნიშნული მოდელი იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს ფრთის პროფილის ფორმისა და დინამიკური პარამეტრების გავლენა საერთო აეროდინამიკურ წინააღმდეგობაზე. გარდა ამისა, ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სიმეტრიული პროფილის შემთხვევაში ნულოვანი შეტევის კუთხისას მინიმალური წინააღმდეგობის მიღწევა მხოლოდ თეორიული გზით შეუძლებელია, რაც მიუთითებს უფრო კომპლექსური, ასიმეტრიული პროფილების შემდგომი კვლევის აუცილებლობაზე. მიღებული შედეგები წარმოადგენს საფუძველს გაუმჯობესებული პროფილის ოპტიმიზაციისა და ფრთის ფორმის მოდიფიკაციის მეთოდების შემუშავებისთვის.

საკვანძო სიტყვები: აეროდინამიკა, ფრთის პროფილი, წინააღმდეგობის მინიმიზაცია, ვარიაციული კალკულუსი, უმცირესი ქმედების პრინციპი, ლაგრანჟის განტოლება, ოპტიმიზაცია, ნაკადის სეპარაცია.

შესავალი


თანამედროვე ავიაკაციაში ფრთის პროფილის ფორმის ოპტიმიზაცია ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად რჩება როგორც აეროდინამიკური, ისე ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით. ფრენის ეკონომიურობა, საწვავის მოხმარება და მანევრულობის შესაძლებლობები პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა ფრთის გეომეტრია მორგებული ჰაერის ნაკადის მახასიათებლებსა და რეინოლდსის რიცხვის დიაპაზონზე. ამიტომაც, ფრთის კონტურის განსაზღვრის პრობლემა არა მხოლოდ თეორიული მნიშვნელობისაა, არამედ პრაქტიკულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჰაერო ხომალდების დიზაინსა და საინჟინრო პროექტირების პროცესში.

აეროდინამიკური პროფილების ანალიზისა და ოპტიმიზაციის მიმართულებით მრავალი მეთოდი შემუშავდა, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მათემატიკურ

მოდელირებასა და ვარიაციული ანალიზის საფუძველზე აგებულ მოდელებს. ამგვარი მიდგომა იძლევა შესაძლებლობას დინამიკური და გეომეტრიული ფაქტორების ურთიერთკავშირი განისაზღვროს ზუსტად, რაც საჭიროა ფრთის ზედაპირის ფორმის ისეთი არჩევისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ წინააღმდეგობასა და სტაბილურ ნაკადს სხვადასხვა ფრენის რეჟიმებში.

ძირითადი ნაწილი

ნაშრომის პრობლემატიკა გულისხმობს ფრთის პროფილის იმგვარი კონტურის პოვნას, რომელიც, გარდა აუცილებელი მოთხოვნებისა, დააკმაყოფილებს უმცირესი წინააღმდეგობის ძალის შექმნის პირობას.



სურ. 1. ფრთის პროფილზე მოქმედი ძალები

სურ. 1-ის მიხედვით: dF არის რეაქციის ძალა, p - სტატიკური წნევა, ds - კონტურის ელემენტარული ნაწილი, dF_x - შუბლა წინააღმდეგობის ძალა, v_i - მხები სიჩქარე, v_∞ - თავისუფალი ნაკადის სიჩქარე, θ - კუთხე მხებ სიჩქარეს და თავისუფალი ნაკადის სიჩქარეს შორის, L - ფრთის პროფილის სიგრძე, h - მაქსიმალური სიმაღლე.

ფრთის პროფილზე მოქმედი წინააღმდეგობის ძალა შეიძლება წარმოადგეს სამი შესაკრების სახით:

$$\vec{F} = \vec{F}_{\text{სტატიკური}} + \vec{F}_{\text{დინამიკური}} + \vec{F}_{\text{ხახუნის}} \quad (1)$$

სადაც სტატიკური დატვირთვა გამოწვეულია სტატიკური წნევით, ის მოქმედებს კონტურის მართობულად. შემდგომში აღებულია მისი ჰორიზონტალური მდგენელი.

$$dF_{\text{სტატიკური}} = p ds \cos(90^\circ - \theta) = p ds \sin \theta = p b dl \sin \theta \quad (2)$$

სადაც $ds = bdl$ ფრთის ზედაპირის ფართის ელემენტი, $dl = \sqrt{1 + (y')^2} dx$ - კონტურის ელემენტის სიგრძე, ხოლო b - ფრთის სიგრძე.

მოცემულ შემთხვევაში ბერნულის განტოლება გამარტივდება რადგან, ფრთის პროფილის სიგანის სიმცირის გამო, შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ $h_1 = h_2$, შედეგად მივიღებთ [1, 2, 3]:

$$P + \frac{1}{2} \rho v_i^2 = P_\infty + \frac{1}{2} \rho v_\infty^2 \Rightarrow P = P_\infty + \frac{1}{2} \rho v_\infty^2 - \frac{1}{2} \rho v_i^2 \quad (3)$$

ნაკადის უწყვეტობის პირობიდან გვექნება:

$$\frac{dl}{v_i} = \frac{dl \cos \theta}{v_\infty} \Rightarrow v_i = \frac{v_\infty}{\cos \theta} \quad (4)$$

ფუნქციის წარმოებულის გეომეტრიული შინაარსიდან გამომდინარე:

$$\tan \theta = \frac{dy}{dx} = y' \quad (5)$$

ხოლო

$$\cos \theta = \frac{1}{\sqrt{1 + (\tan \theta)^2}} = \frac{1}{\sqrt{1 + (y')^2}} \text{ და } \sin \theta = \frac{\tan \theta}{\sqrt{1 + (\tan \theta)^2}} = \frac{y'}{\sqrt{1 + (y')^2}} \quad (6)$$

(4), (5) და (6)-ის გათვალისწინებით (3) გამოსახულება მიიღებს სახეს:

$$P = P_\infty + \frac{1}{2} \rho v_\infty^2 (y')^2 \quad (7)$$


ამავდროულად, სტატიკური დატვირთვით გამოწვეული წინაღობის ძალის ელემენტი (2)-ის მიხედვით

$$dF_{\text{სტატიკური}} = b \left(P_\infty + \frac{1}{2} \rho v_\infty^2 (y')^2 \right) \frac{y' \cdot \sqrt{1 + (y')^2}}{\sqrt{1 + (y')^2}} dx = b (P_\infty + \frac{1}{2} \rho v_\infty^2 (y')^2) y' dx \quad (8)$$

ხოლო სტატიკური კომპონენტით გამოწვეული სრული წინაღობის ძალა

$$F_{\text{სტატიკური}} = \int_0^L b (P_\infty + \frac{1}{2} \rho v_\infty^2 (y')^2) y' dx \quad (9)$$

მოდრავი ჰაერის ნაკადის დინამიკური დაწნეხვის შედეგად წარმოქმნილი წნევის ძალა ქმნის დამატებით წინაღობას. ამ ძალის წარმოქმნის მექანიზმი შეიძლება აღიწეროს შემდეგნაირად: ჰაერის ნაკადი განიცდის ფრთის ზედაპირიდან არეკვლას (იხ. სურ. 2), შედეგად იცვლება ჰაერის იმპულსის მიმართულება, რაც გამოიხატება რეაქციის ძალის წარმოქმნაში. რაოდენობრივი შეფასებისთვის უნდა დაიწეროს აღნიშნული იმპულსის ცვლილება ჰორიზონტალური x ღერძის მიმართ [4, 5, 11].



სურ. 2. ფრთის პროფილზე მოქმედი დინამიკური ძალა

ჰაერის ნაკადის სიჩქარის მდგენელი ზედაპირიდან არეკვლის შემდეგ იქნება $v_x = v_\infty \cos(2\theta)$, ხოლო სიჩქარის ცვლილება $\Delta v_x = v_\infty - v_x = v_\infty(1 - \cos(2\theta)) = v_\infty \cdot 2(\sin\theta)^2 = \frac{2v_\infty(y')^2}{1+(y')^2}$. რაც შეეხება ჰაერის ნაკადის მასას, ის შეიძლება შეფასდეს შემდეგნაირად: განვიხილოთ ფრთის კონტურის განსახილველ წერტილის მახლობლად მართკუთხა განივკვეთის მქონე ვიწრო ზოლი, რომლის ფართობი იქნება $\Delta S = b \cdot \Delta y = b \cdot \frac{\Delta y}{\Delta x} \cdot \Delta x$, მაშინ ზღვარზე გადასვლისას $dS = b \cdot y' \cdot dx$. ამ ზოლში გამავალი ჰაერის ნაკადის მასა იქნება $\Delta m = \rho \Delta V = \rho \cdot \Delta S \cdot v_\infty \cdot \Delta t$, ხოლო იმპულსის ცვლილება $\Delta p = \Delta m \cdot \Delta v_x$. ამ ყოველივეს გათვალისწინებით კონტურის მოცემულ წერტილზე მოქმედი ელემენტარული რეაქციის ძალის ჰორიზონტალური მდგენელი, რომელიც სიდიდით წინააღობის ძალის ტოლია, იქნება:

$$dF_{\text{ჰორიზონტალური}} = \lim_{\Delta t \rightarrow 0} \frac{\Delta p}{\Delta t} = \frac{2 \cdot \rho \cdot v_\infty^2 \cdot b \cdot (y')^3}{1+(y')^2} dx \quad (10)$$

მაშინ, სრული წინააღობის ძალის დინამიკური კომპონენტია:

$$F_{\text{ჰორიზონტალური}} = \int_0^{x_0} \frac{2 \cdot \rho \cdot v_\infty^2 \cdot b \cdot (y')^3}{1+(y')^2} dx = \int_0^L \frac{2 \cdot \rho \cdot v_\infty^2 \cdot b \cdot (y')^3}{1+(y')^2} \theta(x_0 - x) dx \quad (11)$$

სადაც $\theta(x_0 - x)$ ჰევისაიდის ფუნქციაა.

(1) გამოსახულების მესამე შესაკრები გამოწვეულია ჰაერის ნაკადის ფრთის ზედაპირთან ხახუნის შედეგად წარმოქმნილი ძალის (მოქმედებს ზედაპირის მხეხი მიმართულებით) ჰორიზონტალურ ღერძთან მდგენელების აჯამებით [6, 8, 10, 13]. ჰაერის ნაკადის დაბალ სიჩქარეზე ლამინარული დინების შემთხვევაში შესაძლოა სასაზღვრო ფენების მიხედვით ხახუნი გათვალისწინებული იქნას, უფრო გამარტივებული სახით, რაც გულისხმობს, რომ მისი სიდიდე სიჩქარის პროპორციულია. ხახუნის ძალის ელემენტარული მნიშვნელობა $d\tau = \mu v dS$, სადაც $v = v_\infty \sqrt{1 + (y')^2}$, $dS = b dl = b \sqrt{1 + (y')^2} dx$, ხოლო μ ხახუნის კოეფიციენტი. ამ ძალის ჰორიზონტალური მდგენელი $dF_{\text{ჰორიზონტალური}} = d\tau \cdot \cos(\theta) = \frac{d\tau}{\sqrt{1+(y')^2}}$, სრული ძალისთვის იქნება:

$$F_{\text{ხახუნის}} = \int_0^L \mu v_{\infty} b \sqrt{1 + (y')^2} dx \quad (12)$$

აღსანიშნავია, რომ ხახუნის კოეფიციენტის განსაზღვრა მოითხოვს, მაღალი სიზუსტით ნატურალური ექსპერიმენტების ჩატარებას, რაც წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა. ამიტომ გამარტივების მიზნით ნაგულისხმევია იდეალურად გლუვი ზედაპირის შემთხვევა, რომლის დროსაც ხახუნის კოეფიციენტი $\mu = 0$. შემდგომი გამოთვლები წარმოებს 1 ფორმულის მესამე შესაკრების გარეშე, რაც საბოლოოდ მიიღებს სახეს:

$$F_x = \int_0^L \left[b \left(P_{\infty} + \frac{1}{2} \rho v_{\infty}^2 (y')^2 \right) y' + \frac{2 \cdot \rho \cdot v_{\infty}^2 \cdot b \cdot (y')^3}{1 + (y')^2} \theta (x_0 - x) \right] dx \quad (12)$$

ზემოთ მოყვანილი მაგალითის ამოხსნის ანალოგიურად, F_x -ის სიდიდე ქმედების ანალოგიურია და განსახილველი ამოცანაც სწორედ მის მინიმიზაციას ეხება. ანუ უნდა შეირჩეს ისეთი $y(x)$ კონტური, რომელიც (12) გამოსახულებას მინიმუმს მინიშნელობას. ამოხსნის მეთოდიკა გულისხმობს, რომ წინააღობის ძალის გამომსახველი სიდიდის ვარიაცია იყოს 0-ის ტოლი:

$$\delta F_x = 0 \quad (13)$$

სადაც ლაგრანჟიანის როლში (12)-ის ინტეგრალქვეშა გამოსახულებაა:

$$\mathcal{L}(x; y; y') = b \left(P_{\infty} + \frac{1}{2} \rho v_{\infty}^2 (y')^2 \right) y' + \frac{2 \cdot \rho \cdot v_{\infty}^2 \cdot b \cdot (y')^3}{1 + (y')^2} \theta (x_0 - x) \quad (14)$$

აღსანიშნავია, რომ (14) გამოსახულება ცხადი სახით არ შეიცავს $y(x)$ ფუნქციას, რის გამოც ლაგრანჟის განტოლება (3) მიიღებს გამარტივებულ სახეს [6]:

$$\frac{d}{dx} \left(\frac{\partial \mathcal{L}}{\partial y'} \right) = 0 \quad (15)$$

რომელიც უნდა ამოიხსნას შემდეგი სასაზღვრო პირობების მიხედვით:

$$y(0) \text{ და } y(L) = 0 \quad (16)$$

მიღებული გამოსახულებების სირთულის გამო აქ მოყვანილია მხოლოდ შედეგები. აღსანიშნავია, რომ გამოთვლები განხორციელდა კომპიუტერული პროგრამა „Maple“-ის გამოყენებით. (15)-ის ზოგადი ამონახსნი, მიუხედავად განუსაზღვრელ კოეფიციენტზე დამოკიდებული გამოსახულების სირთულისა, საბოლოო ჯამში დაიყვანება წრფის ფუნქციაზე

$$y(x) = Ax + B \quad (17)$$

ხოლო (16) სასაზღვრო პირობების გამოყენებით მიიღება მარტივი ტრივიალური ფორმა:

$$y(x) = 0 \quad (18)$$

რაც ნიშნავს, რომ ფრთის პროფილის ფორმა უნდა იყოს ჰორიზონტალური წრფის მონაკვეთი. ეს შედეგი გარკვეულწილად მოსალოდნელი იყო, რადგან მათემატიკური თვალსაზრისით მხოლოდ სწორი ხაზის (ან ბრტყელი ფურცელი) ფორმის პროფილს ექნება მინიმალური წინაღობა.

პრაქტიკული თვალსაზრისით ეს შედეგი გამოუსადეგარია. ჩნდება გარკვეული ხელოვნური ჩარევის საჭიროება, რაც ფრთის პროფილის კონტურის მახასიათებელ სპეციფიკას თავიდანვე გაითვალისწინებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ (15) სახით მოცემული გამოსახულება არის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, რომლის ამოხსნის შედეგად ჩნდება ორი განუსაზღვრელი კოეფიციენტი. ისინი მხოლოდ საკმარისია (17) წრფის პარამეტრების განსაზღვრისთვის, თანამედროვე საფრენ აპარატებში გამოყენებული კონტურის ფორმა კი გაცილებით რთულია და შეიცავს გარკვეულ დათქმებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, კერძოდ: ბგერამდელი სიჩქარეებისთვის გამოყენებულ პროფილებს აქვთ მომრგვალებული თავი (წვეთის ფორმა), წვეროდან რაიმე x_0 მანძილზე შესაბამისი სიგანის მაქსიმუმი და დაცულია წირის გლუვობა. ეს მათემატიკურად გამოსახება შემდეგნაირად:

$$y'(0) = \infty, y(x_0) = h \text{ და } y'(x_0) = 0 \quad (19)$$

ცხადია ამ დამატებითი პირობების გათვალისწინება მხოლოდ ორი დამოუკიდებელი კოეფიციენტის ფორმით ვერ მოხდება, ამიტომ კვლევის ფარგლებში შემუშავდა ახალი მიდგომა, რაც წარმოდგენილ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

(19) დამოკიდებულებებით განსაზღვრული და ასევე სასაზღვრო პირობების ავტომატურად შესრულება, იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობას მოხდეს ფრთის პროფილის განმსაზღვრელი ფუნქციის მოდერნიზება ისე, რომ მამრავლის სახით გაჩნდეს უცნობი ფუნქცია, რომლის ფორმა განისაზღვროს (15) ლაგრანჟის განტოლებიდან გამომდინარე, რაც საბოლოო ჯამში პროფილის კონტურის დახვეწას გამოიწვევს. წინააღობის ძალის მინიმუმის პირობიდან გამომდინარე, კერძოდ ეს ფორმა შეიძლება წარმოდგეს შემდეგი სახით:

$$y(x) = x \cdot \ln(x) \cdot \varphi(x) \quad (20)$$

მიუხედავად ამდაგვარი მცდელობისა, ლაგრანჟის განტოლების ამონახსნი მაინც დაიყვანება წრფივი ფუნქციის (17) სახეზე, ანუ მეთოდს რაიმე სახის გაუმჯობესება არ მოუცია.

აღნიშნული შედეგი გამოწვეულია იმით, რომ საწყის ამოცანად აღებულია სიმეტრიული ფრთის პროფილის კონტურის განსაზღვრა წინააღობის ძალის მინიმიზაციის გზით. მიუხედავად ხელოვნური ჩარევისა, საბოლოო შედეგი მაინც ტრივიალური ფორმისაა, რაც ლოგიკურად მოსალოდნელი იყო. უფრო საინტერესო სურათის მიღების მოლოდინი ჩნდება ასიმეტრიული პროფილების განხილვისას, როცა მინიმალურ წინააღობის ძალის მოთხოვნასთან ერთად ჩნდება მაქსიმალური ამწევი ძალის მიღების საჭიროება, რაც საერთო სურათს ართულებს. ასეთ შემთხვევაში ფრთის კონტური არატრივიალური ფორმის გამოჩნდება. აღნიშნული საკითხი შემდგომი კვლევის საგანია.

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სიმეტრიული ფრთის პროფილის კონტურის განსაზღვრა მხოლოდ ვარიაციული მეთოდითა და ლაგრანჟის განტოლების ამოხსნით ვერ იძლევა პრაქტიკულად გამოსადეგ ფორმას, რადგან მიღებული შედეგი ტრივიალურია და ემთხვევა ჰორიზონტალურ წრფეს. ეს ნიშნავს, რომ რეალური აეროდინამიკური პირობების გათვალისწინებით, მხოლოდ თეორიული მინიმიზაციის საფუძველზე მიღებული კონტური ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ ნაკადს და მინიმალურ წინააღმდეგობას. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ სიმეტრიული პროფილის შემთხვევაში ნულოვანი შეტევის კუთხეზე საჭირო ხდება დამატებითი გეომეტრიული ან ფიზიკური შეზღუდვების შემოღება, რომლებიც გაითვალისწინებენ ფრთის კონტურის ბუნებრივ ფორმას, ნაკადის გამრუდებას და სეპარაციის თავიდან აცილების პირობებს.

ამავე დროს, ნაშრომში წარმოდგენილი მიდგომა ქმნის მყარ თეორიულ საფუძველს შემდგომი კვლევებისთვის. განსაკუთრებით საინტერესოა მეთოდის გამოყენება ასიმეტრიული პროფილებისთვის, სადაც შეტევის კუთხის არანულოვან მნიშვნელობებზე მოსალოდნელია არატრივიალური შედეგები და ეფექტური ფორმის მიღება. მიღებული დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საწყისი მოდელი ფრთის კონსტრუქციული ოპტიმიზაციის, სასრულ ელემენტთა მეთოდით სიმულაციებისა და ექსპერიმენტული ტესტირების ერთობლივი სისტემის შესაქმნელად, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურ და დაბალწინააღმდეგობის საჰაერო აპარატების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Anderson, John D. Jr. 2016. Fundamentals of Aerodynamics. 6th ed. New York: McGrawHill;
2. Anderson, John D. Jr. 2001. A History of Aerodynamics and Its Impact on Flying Machines. Cambridge: Cambridge University Press;
3. Von Kármán, Theodore. 2004. Aerodynamics: Selected Topics in the Light of Their Historical Development. New York: Dover Publications;
4. Von Kármán, Theodore and M. A. Biot. 1950. Mathematical Methods in Engineering: An Introduction to the Mathematical Treatment of Engineering Problems. New York: McGrawHill;
5. Von Kármán, Theodore and M. A. Biot. 1958. General Aerodynamic Theory. 2 vols. Berlin: Julius Springer;
6. Vincenti, Walter G. 1990. What Engineers Know and How They Know It: Analytical Studies from Aeronautical History. Baltimore: Johns Hopkins University Press;
7. Bradshaw, Peter. 1964. Experimental Fluid Mechanics. Oxford: Pergamon Press;
8. Bradshaw, Peter. 1971. An Introduction to Turbulence and Its Measurement. Oxford: Pergamon Press;
9. Bradshaw, Peter, T. Cebeci, and J. H. Whitelaw. 1977. Momentum Transfer in Boundary Layers. New York: Hemisphere Publishing;
10. Bradshaw, Peter, T. Cebeci, and J. H. Whitelaw. 1981. Engineering Calculation Methods for Turbulent Flows. London: Academic Press;

11. Küchemann, Dietrich. 1963. Aerodynamics of Propulsion. New York: McGrawHill;
12. Küchemann, Dietrich. 1978. The Aerodynamic Design of Aircraft. Oxford: Pergamon Press;
13. Hoerner, Sighard F. 1951. Aerodynamic Drag. Dayton: Otterbein Press;
14. Hoerner, Sighard F. 1965. FluidDynamic Drag. Bricktown, NJ: Hoerner Fluid Dynamics;
15. Hoerner, Sighard F., and Henry V. Borst. 1975. FluidDynamic Lift. Bricktown, NJ: Hoerner Fluid Dynamics;
16. Wood, Karl Dawson. 1930 (rev. 1950). Airplane Design and Technical Aerodynamics. Englewood Cliffs, NJ: PrenticeHall;
17. Wood, Karl Dawson. 1940 (rev. 1955). Technical Aerodynamics. New York: PrenticeHall;
18. Katz, Joseph, and Allen Plotkin. 2001. LowSpeed Aerodynamics: From Wing Theory to Panel Methods. New York: McGrawHill;
19. Hoerner, Sighard F. 1945. FluidDynamic Lift. Bricktown, NJ: Hoerner Fluid Dynamics;
20. Marchman, James F. III. 2004. Aerodynamics and Aircraft Performance. Blacksburg, VA: Virginia Tech Libraries.

Theoretical Model for Determining the Contour of a Symmetrical Wing Profile for Drag Minimization

Bidzina Abesadze¹, Saba Kopaliani², Lizi Ubilava³

^{1, 2, 3}Georgian Aviation University

16 Ketevan Dedopali Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Abstract: *This paper presents a new methodology for determining the contour of a symmetrical wing profile based on the principle of least action and the application of variational calculus. The proposed mathematical model aims to minimize aerodynamic drag while satisfying geometric and physical boundary conditions. The theoretical analysis represents a significant step toward the design and optimization of aerodynamic surfaces in aircraft structures, as various issues arise when operating at low Reynolds numbers. The developed model enables the evaluation of the relationship between the wing profile geometry, flow characteristics, and the resulting aerodynamic resistance. Furthermore, it is demonstrated that for a symmetrical profile at zero angle of attack, achieving minimum drag purely by theoretical means is impossible, indicating the necessity of further investigation into more complex, asymmetrical airfoils. The obtained results provide a foundation for the development of improved optimization and modification methods for wing contour design.*

Keywords: *aerodynamics, wing profile, drag minimization, variational calculus, principle of least action, Lagrange equation, optimization, flow separation.*

შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქციის მნიშვნელობა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სასერტიფიკაციო მოთხოვნების უზრუნველყოფაში

ნინო ხიტალიშვილი¹, დავით ლომაძე²

^{1,2}საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზირი №16, 0103 თბილისი საქართველო

რეზიუმე: ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოს, ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებაში წარმოჩენილია საქართველოს ვალდებულებები ევროკავშირის ნორმატიული აქტების გადმოტანის პროცესში. მიუხედავად საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს არსებობისა ქვეყანაში საკანონმდებლო მოთხოვნები და ვალდებულებები საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტთა მიმართ არასრულყოფილია. მნიშვნელოვანია დავინახოთ რამდენად შეესაბამება არსებული სისტემა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო სტანდარტებსა და ევროკავშირის რეგულაციებს. ამრიგად, საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის გაფორმებულ ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებაში გაწერილია ევროპული პრაქტიკის დანერგვის გზები, მონიტორინგის ფუნქციის (შემდგომ: ფუნქცია) უპირატესობები და სარგებელი ქართული საავიაციო სექტორისთვის. პრაქტიკული მაგალითისთვის განხილულია შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ დანერგილი შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქცია, როგორც პირველი პრეცედენტი ქვეყანაში. იგი გვიჩვენებს რეალურად, როგორ განხორციელდა და რა გზა გაიარა შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქციამ შესრულებამდე. ეს პროცესი კი მოიცავდა შესაბამისობის მონიტორინგის სახელმძღვანელოს ჩამოყალიბებას, არსებულ მართვის სისტემასთან შერწყმასა და ორგანიზაციულ კულტურასთან ადაპტაციას.

საკვანძო სიტყვები: შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქცია, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, სასერტიფიკაციო მოთხოვნები, სამოქალაქო ავიაციის რეგულაცია, უსაფრთხოების მართვის სისტემა.

ძირითადი ნაწილი

ნებისმიერი იურიდიული პირი, ვისაც სურს საჰაერო ხომალდით კომერციული საქმიანობის განხორციელება, უნდა ფლობდეს სერტიფიკატს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ [1] 142-ე ბრძანების მიხედვით. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს შესაბამისობა, რომელიც განაპირობებს სტანდარტებთან თანხვედრასა და რეგულაციების უზრუნველყოფას. შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქცია მოიცავს სხვადასხვა პრაქტიკას, რაც

გულისხმობს მუდმივ მონიტორინგს, შეფასებას, აუდიტებს, მონაცემთა ანალიზს, საოპერაციო პროცედურების დახვეწას. შესაბამისობის მონიტორინგის მიზანია გამოავლინოს ნებისმიერი შეუსაბამობა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სასერტიფიკაციო მოთხოვნებთან, რაც თავიდან ააცილებს მომავალში ექსპლუატანტს სერტიფიკატის შეჩერებას/გაუქმებას, ზიანსა და სხვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს

ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმდა 2010 წელს [2]. შეთანხმებით განისაზღვრება საავიაციო ბაზრის ურთიერთელმისაწვდომობა. ხელშეკრულება არის ერთგვარი გზამკვლევი, რომ საქართველომ შეძლოს ევროპული საავიაციო სტანდარტების სისტემური დანერგვა, რაც მოიცავს მარეგულირებელი სისტემის გაძლიერებასა და საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტებისთვის ხარისხისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გამკაცრებას. ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმების დანართი III განსაზღვრავს სამართლებრივი აქტებისა და რეგულაციების ეტაპობრივ დანერგვას, რაც მოიცავს სერტიფიცირების საერთო წესებს, მათ შორის მართვის სისტემასა და შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქციას. ევროკავშირის რეგულაცია (EU) 2018/1139 [3] ადგენს აუცილებელ მოთხოვნებს სამოქალაქო ავიაციის სექტორში უსაფრთხოებისა და მართვის სისტემების მისაღები დონის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტი წარმოადგენს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ავიასაწარმოებისთვის, მათ შორის ოპერატორებისთვის განსაზღვრავს სტრუქტურაში დასაწერებელ ძირითად სტანდარტებსა და ნორმებს. დოკუმენტში გაწერილი მოთხოვნები წარმოადგენს ფუნდამენტურ საფუძველს ევროკავშირის ქვეყნებისა და მისი პარტნიორებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, რომ ჩამოაყალიბონ ეფექტური, სტრუქტურირებული, და შესაბამისი მართვის სისტემა. რეგლამენტი NO 2018/1139 მოითხოვს ამ პრაქტიკების განსახორციელებლად შეიქმნას გამოყენებადი წესები. ამის მაგალითია Regulation (EU) No 965/2012, იგი მოიცავს მუხლს ORO.GEN.200-ს, რომელიც ექსპლუატანტს უწესებს შესაბამისობის სისტემის ქონას [4]. ამის დასაწერად კი არსებობს AMC – Acceptable Means of Compliance (შესაბამისობის მისაღები საშუალებები) და GM – Guidance Material (სახელმძღვანელო მასალა).

საქართველოს საავიაციო სექტორში შეთანხმების საფუძველზე არსებული ვალდებულებების დანერგვა და შესრულება ჯერ კიდევ ეტაპობრივად მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან და იღებს მონაწილეობას შესაბამის პროგრამებში, რიგი საკითხების შეუსრულებლობის მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ მარეგულირებელი ჩარჩოს მხოლოდ ნაწილობრივი შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან და შესაბამისობის მონიტორინგის პროგრამის კომპონენტის არასაკმარისად ჩამოყალიბებული პრაქტიკა. გარდა ამისა, ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის რეგულაციების გადმოტანა უფრო შრომატევადია. დროს ზრდის მთელი რიგი საკითხები, რომელიც პრაქტიკულ დანერგვამდე უნდა შესრულდეს. პირდაპირ გადმოტანა ჩვენს კანონმდებლობაში ტექნიკურად შეუძლებელია, რადგან ის ჯერ უნდა ითარგმნოს და არა მარტო შინაარსობრივად სწორი თარგმანია საჭირო, არამედ არსებულ სამართლებრივ ჩარჩოში უნდა მოხდეს მისი ლოგიკური ჰარმონიზება.

საქართველოში საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების რეგულირება ეფუძნება შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საჰაერო კოდექსი; [5]
- ICAO-ს დანართი 6-ის მოთხოვნებზე მორგებულ შიდა პროცედურებს; [6]
- ევროკავშირთან გაფორმებულ ერთიანი საჰაერო ცის შეთანხმებას (CAA); [2]
- სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 19 აგვისტოს №142 ბრძანება „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესი“; [1]
- იკაოს ოფიციალური გამოცემის Doc 8335 („ექსპლუატაციის ინსპექტირების, სერტიფიცირების და მუდმივი ზედამხედველობის სახელმძღვანელო“). [7]

გეგმიური ინსპექტირების გეგმას ყოველწლიურად ადგენს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო და უგზავნის ინსპექტირების ობიექტს. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის გეგმიური საინსპექციო შემოწმების ფორმები და პერიოდულობა განისაზღვრება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 31 აგვისტოს N166 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ინსპექტირების (საინსპექციო შემოწმების) წესის“ შესაბამისად [8].

ზემოთაღნიშნული ინსპექტირების სისტემა თავისი არსით და ფუნქციით წარმოადგენს შესაბამისობის კონტროლს. მისი მიზანია ოპერატორის დონის შესაბამისობა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. განხილული წესები გვიჩვენებს, რომ ამჟამად მარეგულირებელ ობიექტს წარმოადგენს სააგენტო. კვლევის მიზანია დადგინდეს საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქციის დანერგვა, რამდენად შეამცირებდა მხოლოდ მარეგულირებელზე დაყრდნობას შესაბამისობის უზრუნველყოფას. ოპერატორი გამოასწორებდა თვითგამოვლენილ შეუსაბამობებს, თვითონვე აღმოფხვრიდა მას მანამ, სანამ ის იქცეოდა დამაბრკოლებელ ფაქტორად სერტიფიკატის შენარჩუნებისთვის. იმ ორგანიზაციებში, სადაც არსებობს ოპერატორების დონეზე შესაბამისობის ფუნქცია, მარეგულირებელი ორგანოს მიერ ზედამხედველობა შედარებით მსუბუქია. ადვილდება შიდა აუდიტების აღიარება, მცირდება შემოწმებების სიხშირე და მარეგულირებელს აძლევს საშუალებას ყურადღება მიმართოს რისკების უფრო სერიოზულ საკითხებზე.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რომ ამით ზედამხედველობა კარგავს მის მნიშვნელობასა და დატვირთვას, არამედ მისი მუშაობის ხასიათი გადადის უფრო თანამშრომლურ სტილში. ურთიერთინფორმირებულობის ფონზე შესაძლებელია სერტიფიცირების პროცესის მეტად ეფექტური წარმართვა. ამ მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ შესაბამისობის ფუნქცია წარმოადგენს დამხმარე რგოლს ზედამხედველობის უწყვეტ პროცესში მარეგულირებელი ორგანოსთვის.

უსაფრთხოების მართვის სისტემების ძირითადი საყრდენი ორგანიზაციული უსაფრთხოების განსახორციელებლად არის შესაბამისობის მონიტორინგი. ამ ფუნქციის გარეშე სისტემა წარმოადგენს ფორმალურ ჩარჩოს და არა პრაქტიკულ ხელსაწყოს. შესაბამისობის მონიტორინგი უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული მოთხოვნების შესრულებას, ასევე, ქმნის მდგრად საფუძველს სხვადასხვა სისტემური პროცესებს შორის თანხვედრაზე. უზრუნველყოფს პროცესების სისტემურ შესრულებას დადგენილი წესებისა და სტანდარტების მიხედვით.

სისტემების გამართული მუშაობა პირდაპირ აისახება სერტიფიცირების პროცესზე. სერტიფიცირება ანუ საჰაერო ოპერატორისათვის სერტიფიკატის (AOC) მინიჭება მოითხოვს, რომ ორგანიზაცია არამხოლოდ ფორმალურად აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს, არამედ სისტემურად მუდმივად ახორციელებდეს თვითშეფასებას.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ შემუშავებული განმარტებითი დოკუმენტები მიმართულია რეგულაციების უკეთ გასაგებად ოპერატორებისთვის. რეგულაცია ORO.GEN.200 პირდაპირ მოითხოვს შესაბამისობის ფუნქციის ქონას. დოკუმენტში ხაზგასმულია ფუნქციის დამოუკიდებლობა, აღწერს რომ აუდიტი არ უნდა შესრულდეს უშუალოდ მათ მიერ, ვინც ყოველდღიურად არიან ჩართული ოპერაციებში. ამით მოხდება ინტერესთა კონფლიქტის აცილება. ეს პრინციპი მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინებისას, რათა არ დაირღვეს ფუნქციის პრინციპი და არ მოექცეს ფუნქცია შიდა გავლენის ქვეშ.

ქართულ რეალობაში შესაბამისობის მონიტორინგის საკითხზე საკვანძო დოკუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №119 ბრძანებით დამტკიცებული "სააერონავიგაციო მომსახურების სერტიფიცირების წესი" [9]. ამ წესის მუხლი 29 სპეციალურად ეხება მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქციის ფორმალურ განსაზღვრას. აქედან გამომდინარე, სააერონავიგაციო მომსახურების საწარმოს, კერძოდ შპს „საქაერონავიგაციას“, დაეკისრა შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქციის დანერგვის ვალდებულება. შპს „საქაერონავიგაციის“ სისტემის გასაცნობად ინტერვიუ ჩატარდა შესაბამისობის მონიტორინგის მენეჯერთან, დარიუს ვალასთან. იგი პირველივე დღიდან მონაწილეობდა ამ სისტემის ჩამოყალიბებასა და დანერგვაში.

2019 წელს დაიწყო ევროკავშირის 373-ე რეგულაციის გადმოტანა და დანერგვა, რამაც მოითხოვა შპს „საქაერონავიგაციის“ რესერტიფიცირება. სწორედ ამ რეგულაციის საფუძველზე გახდა საჭირო შესაბამისობის მონიტორინგის ფუნქციის გადმოტანა. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იმუშავა ფუნქციის ინტეგრაციაზე არსებულ სისტემასთან. დარიუს ვალასს შესაბამისობის სახელმძღვანელოს შესაქმნელად დასჭირდა 9 თვე. სახელმძღვანელო მოიცავს 10 ძირითად მომსახურებას, რომელიც დაყოფილია 17 მიმართულებად. თითოეულზე განსაზღვრულია მუშაობის არეალი, აუდიტი და პასუხისმგებელი პირი. სისტემის განსახორციელებლად აუცილებელია ყოველწლიური აუდიტების ჩატარება და კოორდინაცია სამსახურებთან ერთად. სახელმძღვანელოში გაწერილია აუდიტის ვადები თუ რომელ სამსახურს, წლის რომელ თვეს უწევს შემოწმება. შესაბამისად, ისინი მომზადებულიები ხვდებიან პროცესს. საგულისხმოა, შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში გამოსასწორებელი ვადები, რომელიც ნაწილდება შემუშავებული სისტემით. ეს გულისხმობს, ერთგვარ კლასიფიკაციას, რომელიც შესაბამისობას ახარისხებს დონეების მიხედვითა და პერიოდულობის პრინციპით.

დასკვნა

შპს “საქაერონავიგაციის” მაგალითის საფუძველზე გამოიყოფა მთავარი ასპექტები. პირველი მიუხედავად გამოუცდელობისა და არ არსებული ბაზისა ახალი სისტემის. ფუნქცია წარმატებით ინტეგრირდა, რაც კარგ მაგალითს წარმოადგენს სხვა ოპერატორებისთვის. დავინახეთ რა პროცესები იყო გავლილი: კანონმდებლობის შეჯერება, შემდგომ სახელმძღვანელოს შემუშავება, სამსახურებთან აქტიური თანამშრომლობა. გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ასპექტები ადამიანური რესურსების გათვალისწინება, შეუსაბამობის კლასიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

რეკომენდაციები საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სექტორისთვის:

- პირველ რიგში, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესში უნდა დაემატოს შესაბამისობის ვალდებულება;

- ფუნქცია უნდა იქცეს მექანიზმად და არა მხოლოდ ფორმალურ ნაწილად ოპერატორებში, როგორც სერტიფიკატის შენარჩუნების წინაპირობა;

- არსებული პრაქტიკის შპს “საქაერონავიგაციის” მაგალითის გაზიარება, სახელმძღვანელოს შემუშავების რეკომენდაციები და ორგანიზაციულ სტრუქტურაში ადაპტაციის გზები;

- ტექნოლოგიური განვითარება, საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრირება, ევროკონტროლის მიერ შემუშავებული სისტემების ან მის საფუძველზე მსგავსი ბაზის შექმნა, რომელიც გაადვილებს მონაცემთა მიმოცვლას.

შესაბამისობის ფუნქცია სწორედ იმ მექანიზმად იქცევა, რომელიც ოპერატორს საშუალებას აძლევს დროულად აღმოაჩინოს ხარვეზი, დანერგოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სამუშაო ციკლი და პროდუქტიულად ითანამშრომლოს მარეგულირებელთან. შესაბამისად, მისი სისტემური დანერგვა აუცილებელია არა მხოლოდ რეგულაციების დასაკმაყოფილებლად, არამედ უფრო უსაფრთხო, გამჭვირვალე და გამართული პროცესების უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №142 თბილისი, 2013.
<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2024/12/Aircraft-Operator-Certification-Rule-GCAA.pdf>;
2. CAA Agreement, Common Aviation Area Agreement - შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ;
3. European Union. *Regulation (EU) 2018/1139 on common rules in the field of civil aviation and establishing a European Union Aviation Safety Agency*. Official Journal of the European Union, 2018;
4. Easy Access Rules for Air Operations AMC/GM, Part ORO.GEN.200. In *Acceptable Means of Compliance and Guidance Material to Regulation (EU) No 965/2012 on Air Operations*. EASA, 2023;
5. საქართველოს საჰაერო კოდექსი, 1996
6. ICAO, Operation of Aircraft - annex 6, 2018

7. Manual of Procedures for Operations Inspection, Certification and Continued Surveillance (Doc 8335), 6th Edition 2022.
8. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ინსპექტირების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება №166. თბილისი: 2018;
9. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №119 "სააერონავიგაციო მომსახურების სერტიფიცირების წესი".

The Importance of the Compliance Monitoring Function in Ensuring Aircraft Operators' Certification Requirements

Nino Khitalishvili¹, Davit Lomadze²

^{1,2}Georgian Aviation University

16 Ketevan Dedoplati Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Abstract: *This article examines the role of the compliance monitoring function in ensuring aircraft operators meet certification requirements in Georgia. While the Common Aviation Area Agreement between Georgia and the European Union establishes obligations for the transposition of EU aviation regulations, the national framework still lacks full alignment with European standards. The paper outlines international practices, regulatory foundations, and the advantages of implementing compliance monitoring at the operator level, highlighting its contribution to safety management and certification sustainability. As a practical case, the study reviews the implementation of compliance monitoring within LTD "SAKAERONAVIGATSIA", the first precedent in Georgia. The analysis demonstrates the process of developing a compliance manual, integrating it into existing management systems, and adapting it to the organizational culture. The findings emphasize that operator-level compliance monitoring strengthens regulatory oversight, reduces reliance on inspections alone and promotes a collaborative approach between operators and authorities. The article concludes with recommendations for integrating compliance monitoring into certification rules, ensuring its role as both a regulatory requirement and a mechanism for safer, more transparent, and efficient aviation operations in Georgia.*

Keywords: *Compliance monitoring function, aircraft operator, certification requirements, civil aviation regulation, safety management system.*

საჰაერო ხომალდის ჩატვირთვის კონტროლისა და წონა/ბალანსის სტაბილურობის გათვალისწინება ფრენისათვის მგზავრთა რეგისტრაციის ეტაპზე

ბადრი ნადარაია

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზირი №16, 0103 თბილისი საქართველო

რეზიუმე: ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე კომერციული ავიაციის მგზავრთა ნაკადის გამტარუნარიანობის პოტენციალის სრული ათვისების და სამომავლო ტენდენციების დაკმაყოფილების გზები დღევანდელი მოწინავე ინჟინერიის ხელოვნურ ინტელექტში ინტეგრირებულ კომბინატორიკულ და ალბათურ მოდელებზე დაყრდნობით.

ასევე ასახულია საჰაერო ხომალდზე მგზავრთა მიღება-დაშვების და თვითმფრინავის წონა/ბალანსთან დაკავშირებული საკითხების ერთმანეთთან ინტეგრირება, რაც ხელსაყრელია დროის დაზოგვის, ფინანსური სარგებლიანობის და დამატებითი, რიგგარეშე ადამიანური ფაქტორის ეფექტურობის გათვალისწინების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ავიაცია, მგზავრთა რეგისტრაცია, აეროპორტი, ავიაბაჟანი.

შესავალი

მგზავრთა საჰაერო ხომალდზე მიღების, თვითმფრინავის წონითი ბალანსის შეზღუდვების და ქვემოთ ნაჩვენები საკითხების გაუმჯობესების და დახვეწის მიზნით თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მაგალითზე აღწერილია გასამგზავრებლად მოსული პირის და საჰაერო ხომალდის მომსახურების პროცესი; პუნქტებად ნაჩვენებია ყოველი საკვანძო, მნიშვნელოვანი ეტაპი, რის შემდგომაც შემოთავაზებული სიახლის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა წამოჭრილ საკითხთან მიმართებაში.

ქვემოთ პუნქტებად ნაჩვენები სამოქმედო პროცესების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია AI (Artificial Intelligence) - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პროგრამული უზრუნველყოფის სახით არსებულ სისტემებში. აღნიშნული კონცეპტუალური მიდგომა მოგვცემს შესაძლებლობას დაცული იქნას საჰაერო ხომალდის წონითი შეზღუდვები და ბალანსი მგზავრების მიღების საწყის ეტაპზე. აქვე აღსანიშნავია, რომ თვითმფრინავის წონითი ბალანსის რაციონალიზაცია გვამღევს შეტევის კუთხის

ოპტიმიზაციას, რაც პოზიტიურად აისახება საწვავის მოხმარებაზე. ეს კი პირდაპირ პროპორციულად უზრუნველყოფს მგზავრის მხრიდან ფრენისათვის გაღებული ფინანსური ღირებულების შემცირებას.

1. მგზავრთა მიღება (რეგისტრაცია)

1.1. აეროპორტის გაფრენის ტერმინალში შემოსული მგზავრი მიემართება ავიაკომპანიის მიერ არჩეულ სარეგისტრაციო დახლთან, რომელთანაც (გაფრენამდე 2-3 საათით ადრე) დაწყებულია რეგისტრაცია.

1.2. წარადგენს რა მგზავრი სამგზავრო დოკუმენტაციას, მომსახურე პერსონალი (მგზავრთა მომსახურების აგენტი) ხელთ არსებული საბუთების საფუძველზე იწყებს მგზავრის სამგზავროდ რეგისტრაციას.

1.2.1. საფუძვლიანად ხდება პიროვნების იდენტიფიცირება და სამგზავრო დოკუმენტების შემოწმება ტრანზიტული თუ დანიშნულების სახელმწიფოს მოთხოვნებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. დაკმაყოფილების შემთხვევაში მგზავრი დაიშვება ფრენისათვის.

1.2.2. აგენტი ვიზუალურად აფასებს (ფიზიკური შესაძლებლობებისა და დამატებითი მოთხოვნების არსებობიდან გამომდინარე) მგზავრს. მიანიჭებს რა, შესაბამის ადგილს საჰაერო ხომალდზე, იწყებს მგზავრის ჩასაბარებელი ბარგისა და ხელბარგის რეგისტრაციას ავიაკომპანიის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

1.2.3. მგზავრისათვის განკუთვნილი ჩასაბარებელი ბარგის/ხელბარგის რაოდენობა, მოცულობა (გაბარიტები) და წონა განსაზღვრულია ნაყიდ სამგზავრო ბილეთში წინასწარ, თუმცა აუცილებლად გადასამოწმებელია და დასაზუსტებელია მისი შესაბამისობა რეალურთან მიმართებით.

1.3. მგზავრისადმი საჰაერო ხომალდზე კონკრეტული ადგილის მინიჭება, აგენტის კომპეტენციის ფარგლებში, მართვადი პროცესია. აგენტი ეყრდნობა მგზავრის ფიზიკურ შესაძლებლობებს, ავიაკომპანიისა და უშუალოდ მგზავრის ბილეთში გაწერილ მონაცემებს.

მაშასადამე, მგზავრის რეგისტრაცია გულისხმობს, მისი სრულუნარიანობის გაანალიზებას საჰაერო ხომალდზე კონკრეტული ადგილის მინიჭების მიზნით, ხელბარგის, ჩასაბარებელი ბარგის გადამოწმებას ბილეთსა და განსაზღვრულ ნორმატივებთან მიმართებაში, აგრეთვე სამგზავრო დოკუმენტაციის დანიშნულების ადგილზე მისასვლელად შესაბამისობაში არსებობის გადამოწმებას.

აღნიშნული ეტაპების დაკმაყოფილების შემდგომ, მგზავრი გადის საიმეგრაციო და საავიაციო უსაფრთხოების კონტროლს, რის შემდგომაც ელოდება ჩასხდომის დაწყებას წინასწარ განსაზღვრულ დარბაზში.

2. საჰაერო ხომალდის მომსახურება (მოფრენა-გაფრენის ეტაპი)

2.1. მოახლოებული თვითმფრინავის დაფრენის ეტაპზე გადასვლისას გამოითხოვს რა ხომალდის მეთაური შესაბამის ეშელონს, ავიაბაქნის კომპურის მეთვალყურე სახმელეთო მომსახურების პერსონალს წინასწარ (15-20 წუთით ადრე დაფრენამდე) გადასცემს ინფორმაციას მისაღები ბორტის კატეგორიის, რეისის ნომერის, გამოფრენის ადგილმდებარეობისა და სადგომის პოზიციის შესახებ.

2.2. საჰაერო ხომალდის ჩამოფრენის გამოცხადებისთანავე სადგომზე მობილიზდება ავიაბაქნის და ფრენების ოპერირების სამსახურის თანამშრომლები, აკონტროლებენ მგზავრების რაოდენობის შესაბამის ტრანსპორტს, ტრაპების საჭირო რაოდენობას, საწვავგამმართველისა და სახანძრო ბრიგადის ადგილზე ყოფნას (საჭიროების შემთხვევაში), ამოწმებენ სადგომს არასანქცირებული ნივთების არსებობაზე. გამყოლი მანქანისა და მარშალერის მიერ ხომალდის სადგომზე შემოყვანის შემდგომ იწყება ე.წ. „Turnaround Time“ (*TAT - მინიმალური დრო, რომელიც ესაჭიროება საჰაერო ხომალდს სრული მომსახურებისათვის გაჩერებიდან დაძვრამდე*) - დროის ათვლა. *(ყოველ ავიაკომპანიას თვითმფრინავის კლასიდან გამომდინარე წინასწარ აქვს შეთანხმებული სახმელეთო მომსახურების პერსონალთან, რომელიც ზოგად წარმოსადგენ მასშტაბებში 20 წუთიდან იწყება და მეტწილ 60 წუთამდე გრძელდება).*[4].

2.3. საჰაერო ხომალდიდან მგზავრთა გადმოსმის დაწყებისთანავე, ხომალდის მეთაური ფრენების ოპერირების ჩატვირთვის კონტროლისა და კომუნიკაციის აგენტს წერილობით (ან ელექტრონულად, დისტანციურად) გადასცემს გასამგზავრებლად საჭირო მონაცემებს ე.წ. „Trip Info“ დოკუმენტის სახით, რომელშიც ძირითადად ასახულია მარშრუტისათვის საჭირო საწვავის ოდენობა და წონითი შეზღუდვები.


2.3.1. მგზავრების გადმოსმასთან ერთად იწყება თვითმფრინავის საბარგულებიდან ბარგის გადმოტვირთვა. აღნიშნული პროცესი მეტად საყურადღებოა ხომალდის ხმელეთზე სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ამიტომ ბარგის გადმოცლა (წონასთან მიმართებაში) ყოველთვის იწყება უკანა საბარგულიდან და მოყვება წინა საბარგულისკენ. პროცედურის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ხომალდის სადგომზე დგომის დისბალანსი, როგორც ეს ნაჩვენებია სურ. 1-ზე [1].



სურ. 1. საჰაერო ხომალდიდან მგზავრების გადმოსმის და ბარგის არასწორი გადმოტვირთვის შედეგად მიღებული წონითი დისბალანსი

მნიშვნელოვანია კოორდინატორი აგენტი დროულად ღებულობდეს ავიაკომპანიისაგან CPM (Container Pallet Message) ან/და LDM (Load Distribution Message) შეტყობინებებს.

2.3.2. სახმელეთო მომსახურების კოორდინატორი კურიერებს და ორგანიზებას უწევს საჰაერო ხომალდის სერვისებს შესაბამისი ტექნიკის და პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმებით. მომსახურების ტექნიკური საშუალებები და მათი პოზიცირება ხომალდთან მიმართებაში ნაჩვენებია სურ. 2-ზე.




სურ. 2 საჰაერო ხომალდის სახმელეთო მომსახურების ტექნიკის განლაგება თვითმფრინავთან მიმართებაში

2.4. მგზავრთა რეგისტრაციის დასრულებისთანავე (მეტად მნიშვნელოვანია რეგლამენტით გაწერილი დროითი შეზღუდვების გათვალისწინება) ფრენების ოპერირების სამსახურის აგენტი (იგივე LCC - Load Control and Communication ან TRC - Turnaround Coordinator) იწყებს მისთვის ხელთარსებული მონაცემების ერთიანად თავმოყრას საჰაერო ხომალდის სახეობიდან გამომდინარე [3].

2.4.1. აღსანიშნავია და ყურადსაღებია მგზავრთა კლასიფიკაცია მამრობითი და მდედრობითი სქესის მიხედვით, აგრეთვე ბავშვებისა და 2 წლამდე ბავშვების ბორტზე ყოფნით. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტულ მგზავრზე მისადაგებულია საშუალო წონა. ასე მაგალითად კაცი - 80/85/88 კგ, ქალი - 70/75 კგ, ბავშვები - 30/35 კგ, 2 წლამდე ბავშვები - 0/10/15 კგ კონკრეტული ავიაკომპანიის წესდების შესაბამისად [1,2].

2.4.2. ჩასატვირთი ბარგისა და უშუალოდ ტვირთის კატეგორიები განსაზღვრულია პრიორიტეტების მიხედვით და შეიძლება იყოს ტრანსფერული, პირდაპირი, სწრაფი/ხანგრძლივი ტრანსფერული, ბიზნეს ან და პრიორიტეტული (სადგურზე ჩაფრენისთანავე ბორტზე მისაწოდებელი). თითოეული კლასიფიკაციისა და მარკირების ბარგი თუ ტვირთი უნდა აღმოჩნდეს საჰაერო ხომალდის შესაბამის საბარგულში ისე, რომ არ დაირღვეს თვითმფრინავის საფრენი წონითი შეზღუდვები და წონითი ბალანსი ხომალდის განივ ღერძსა და სიმძიმის ცენტრთან მიმართებაში.

2.4.3. საჰაერო ხომალდზე მგზავრთა განთავსების ზოგადი რუკა იხილეთ სურ. 3-ზე, ხოლო საბარგულების განთავსება ნაჩვენებია სურ. 4-ზე.



სურ. 3 საჰაერო ხომალდზე მგზავრთა განთავსების პოზიციები



სურ. 4 საჰაერო ხომალდზე სამგზავრო სალონის, წინა და უკანა საბარგულების განთავსების პოზიციები

2.5. საჰაერო ხომალდის ჩატვირთვის კონტროლს აწარმოებს ე.წ. LCC (Load Control and Communication) პირი ზემოხსენებული 2.4.2. და 2.4.3. პუნქტების შეჯამება-გათვალისწინებით სპეციალურ ელექტრონულ-კომპიუტერულ სისტემაში, რომლის ალგორითმი ითვალისწინებს თვითმფრინავის მახასიათებლებს, სამარშრუტო წონით თუ საწვავის მონაცემებს, ასაფრენ წონასა და ხომალდის სახმელეთო თუ საფრენოსნო მდგრადობა/სტაბილიზაციას.

2.6. ჩატვირთვის კონტროლის ელექტრონული სისტემის ზოგადი ინტერფეისი წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილი ილუსტრაციების სახით.


Version 00	Weight Unit KG	Passenger Mass Type M/F	Crew 2/4	Pantry INT
---------------	-------------------	----------------------------	-------------	---------------

Weight Info Dow 44411 Doi 50.95 Maltow 79000 Mallw 67400 Avg.Bag.Wt. 13 Bag/Pass. 1.2	Fuel Info Block Fuel 9500 Taxi Fuel 274 Trip Fuel 5400	User Info Checked By Approved By
--	---	---

სურ. 5 Trip Info – წონითი შეზღუდვებისა და საწვავის მნიშვნელობები

NUMBER OF PASSENGERS						WEIGHT DISTRIBUTION										
M	F	Ch	Inf	DHC	CBBG	TR	Count	T.	H1	3402	H3	2426	H4	2110	H5	500
97	83	4				BI	110	1120	60	610	50	510				
T.M	T.F	T.Ch	T.Inf	T.Dhc	T.Wei	BT	50	857					50	857		
97	83	4	0	0	0	U	10	70							10	70
T.M	T.F	T.Ch	T.Inf	T.Dhc	T.Wei	All Total	All Total			All Total		All Total		All Total		
97	83	4	0	0	0	2047	610			510		857		70		
Total Passenger Count						Total Passenger Weight										
184						14486										

სურ. 6 მგზავრებისა და ტვირთის შემადგამელი ველი 2.4.2. და 2.4.3 პუნქტების მნიშვნელობების გათვალისწინებით



სურ. 7 წონა/ბალანსის შეზღუდვებისა და ეფექტურობის დიაგრამა

ZFW (Zero Fuel Weight) - სრულიად დატვირთული საჰაერო ხომალდი ყველანაირი წონის გათვალისწინებით გარდა საწვავის წონისა.

LW (Landing Weight) - სრულიად დატვირთული საჰაერო ხომალდის დასაფრენი წონა.

TOW (Take Off Weight) - სრულიად დატვირთული საჰაერო ხომალდის ასაფრენი წონა.


დიაგრამაზე თეთრ მონაკვეთებს შორის მოქცეული წონა/ბალანსის მაჩვენებლები (ZFW, LW და TOW) ცხადყოფს საჰაერო ხომალდის იდეალურ ბალანსსა და მდგრადობას საწვავის გარეშე, დაფრენისა თუ აფრენის ეტაპებზე [2].

ZFW, LW და Take Off მაჩვენებლების კონტროლი შესაძლებელია სავარაუდო, წინასწარი გეგმარებითი ჯავშნებისა და მოსალოდნელი ბარგისა და ტვირთების გათვალისწინებით.

ჭეშმარიტი მონაცემების საფუძველზე, რომელიც დროის რეალურ რეჟიმში ცვალებადია მგზავრებისა და მათი ბარგის საჰაერო ხომალდზე ჩატვირთვისთანავე, შესაძლებელი ხდება საჰაერო ხომალდის მდგრადობა/სტაბილიზაციისა და წონების კონტროლი უშუალოდ სარეგისტრაციო დახლოდან. მგზავრების საჰაერო ხომალდზე დაშვების პასუხისმგებელ პირს დროის რეალურ რეჟიმში ეცოდინება მგზავრთა რაციონალური განთავსების ადგილები თვითმფრინავში, აგრეთვე მხედველობაში მიიღება ბარგის, ტვირთის რაოდენობა და წონა. ერთმანეთის მონაცვლეობით (პრიორიტეტების გათვალისწინებით. პუნქტი 2.4.2.) პასუხისმგებელ პირს ექნება ზუსტი ინფორმაცია საჰაერო ხომალდის რომელ საბარგულში განთავსოს კონკრეტული ტვირთი.

თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის დაპროგრამება შესაბამისი ალგორითმებით არ წარმოადგენს სირთულეს. შესაბამისად, საქმე მარტივდება ადამიანური ფაქტორის გამორიცხვის, საწვავის რაციონალური ხარჯვის და წონა/ბალანსის იდეალური ნიშნულის შენარჩუნების ხარჯზე.

მოქმედების პრინციპის ზოგადი ილუსტრაციისათვის ნაჩვენებია სქემა სურათზე 8.



სურ. 8 საჰაერო ხომალდის წონისა და ბალანსის შენარჩუნების ზოგადი სქემა შემადგენელი კომპონენტებისა და AI-ის გამოყენებით

დასკვნა

საჰაერო ხომალდის წონისა და წონითი ბალანსის დაცვა კომერციული, საინჟინრო და აგრეთვე უსაფრთხოების მაღალეფექტურობის, ადამიანური ფაქტორისა და რაციონალური დროის მართვის საკითხიდან გამომდინარე უმჯობესია დაცული იყოს თავდაპირველ ეტაპებზე - მგზავრის და ბარგის ფრენაზე მიღებისთანავე.

მგზავრის ფრენაზე რეგისტრაციისთანავე ნათელია ხომალდის რეალური წონა/ბალანსი და შესაბამისად, პირველივე პასუხისმგებელი ინსტანციისათვის ხელმისაწვდომი ხდება ადრეულ ეტაპებზე ამ საკითხის მართვა და კორექცია. აქვე მკვეთრად მატულობს თვითმფრინავის ხმელეთზე მდგრადობის შესახებ ინფორმაცია გადმოტვირთვის და მგზავრების გადმოსმის შემთხვევაში.

ჩასხდომა/ჩატვირთვის ეტაპი კი გაცილებით ეფექტური ხდება დროითი დანაკარგების თავიდან აცილების თვალსაზრისით, იმდენად, რამდენადაც დროის რეალურ რეჟიმში (ან რეგისტრაციის დასრულებისთანავე) საჰაერო ხომალდის ჩამტვირთავს ზუსტად ეცოდინება სად და რომელი ბარგი განათავსოს. ხელოვნური ინტელექტის და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის გათვალისწინებით მცირდება TAT მაჩვენებელი, რაც პერსპექტივაში რაციონალურს ხდის ავიაკომპანიების ფინასურ ხარჯებს დროის ფაქტორთან მიმართებაში და ზრდის აეროპორტის საჰაერო ხომალდების გამტარუნარიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "Aircraft Weight and Balance Handbook" - *FEDERAL AVIATION ADMINISTRATION (2016)*.
2. "WEIGHT, BALANCE AND PERFORMANCE" - *UK Civil Aviation Authority (2024)*.
3. "Airport Management" - *Daniel Prather (2015)*.
4. "PRINCIPLES OF AIRLINE AND AIRPORT MANAGEMENT" – *Institute of Management Studies (2015)*.

Passenger Boarding on an Aircraft Considering Load Control and Weight/Balance Stability

Badri Nadaraia

Georgian Aviation University

16 Ketevan Dedoplis Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Abstract: *The article presents ways to fully harness the potential of passenger flow capacity in modern commercial aviation and meet future trends based on combinatorial and probabilistic models integrated with today's or advanced engineering's artificial intelligence. The article also reflects the integration of issues related to passenger boarding and disembarkation on the aircraft and the weight/balance of the airplane, which is beneficial in terms of saving time, financial utility, and considering the effectiveness of additional, extraordinary human factors.*

Keywords: *Commercial aviation, passenger check-in, airport, apron.*

ოპტიკური კომპიუტერები და მათი გამოყენების პერსპექტივები ავიაციაში

დემურ ვეფხვაძე

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზირი № 16, 0103, თბილისი, საქართველო

რეზიუმე: თანამედროვე ელექტრონულმა კომპიუტერებმა, რომლებიც დაფუძნებული არიან ელექტრონების მოძრაობაზე მიაღწიეს მწარმოებლურობის მეტად მაღალ დონეს, თუმცა მათი შემდგომი განვითარების დინამიკამ მინიატურიზაციისა და ინფორმაციის გადაცემის სიჩქარის ზრდის თვალსაზრისით მიაღწია პრაქტიკულ ზღვარს, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპიუტერების მწარმოებლურობის შემდგომი ამაღლებისათვის საჭიროა მათი დამუშავებისათვის პრინციპულად ახალი მიდგომების ძიება. ამ მიდგომებიდან დღეს ერთ-ერთ ძირითად მიდგომად ითვლება ოპტიკური კომპიუტერების დამუშავება, რომლებიც თავის მუშაობისას იყენებენ არა ელექტრონებს, არამედ ფოტონებს.

დღეს ოპტიკური კომპიუტერების დამუშავების აქტუალობა განპირობებულია ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველყოფაში როგორებიცაა - ხელოვნური ინტელექტის და ნეიროქსელების, მოდელირების, რთული სისტემების მართვის, გამოსახულებების და მონაცემების დიდი მასივების პარალელური დამუშავების ამოცანები და, რა თქმა უნდა, ავიაციის სფეროში არსებული აქტუალური ამოცანების გადაწყვეტა.

ნაშრომში განხილულია თანამედროვე ელექტრონული კომპიუტერების მთავარი პრობლემები მათში სიგნალების გავრცელების სიჩქარის, ტრანზისტორების მინიატურიზაციის ფიზიკური ზღვარის და ენერგომოხმარების თვალსაზრისით. მოცემულია ოპტიკური კომპიუტერის პრინციპული სქემა და მუშაობის პრინციპი, მოყვანილია მისი შემადგენელი ცალკეული ბლოკების დანიშნულება და მუშაობის ანალიზი. ელექტრონული კომპიუტერების მთავარი პრობლემების განხილვის საფუძველზე ნაჩვენებია ამ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობები ოპტიკური კომპიუტერების გამოყენების შემთხვევაში, მოცემულია ოპტიკური კომპიუტერების ელექტრონულ კომპიუტერებთან შედარებითი დახასიათება და ნაჩვენებია ოპტიკური კომპიუტერების უპირატესობა მათთან შედარებით, ნაგარაუდევია ოპტიკური კომპიუტერების განვითარების და გამოყენების პერსპექტივები, შემოთავაზებულია ავიაციაში ოპტიკური კომპიუტერების გამოყენების შემთხვევაში მთელი რიგი საავიაციო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის შესაძლებლობები და პრინციპები.

საკვანძო სიტყვები: ოპტიკური კომპიუტერი, ფოტონი, ინტერფერენცია, ჰოლოგრაფიული მეხსიერება, ოპტიკური სენსორი.

შესავალი

1964 წელს რუსმა მეცნიერებმა ა. პროხოროვმა და ნ. ბასოვმა ამერიკელ ჩარლზ თაუნსთან ერთად მიიღეს ნობელის პრემია ოპტიკური კვანტური გენერატორების აღმოჩენისათვის. 1971 წელს კი უნგრელ - ბრიტანელმა ფიზიკოსმა დენის გაბორმა მიიღო ნობელის პრემია ჰოლოგრაფიული მეთოდის აღმოჩენისათვის. მოხდა მთელი რიგი ბრწყინვალე მიღწევები ფურიე - ოპტიკის სფეროში. ყოველივე ამან განაპირობა დაწყებულიყო ფიქრი ოპტიკური კომპიუტერების დამუშავებასა და შექმნაზე, რომელთა მწარმოებლურობა მთელი რიგით მაღალი იქნებოდა არსებულ ელექტრონულ კომპიუტერებთან შედარებით. ოპტიკური კომპიუტერის შექმნისათვის მუშაობა დაიწყო გასული საუკუნის 80 - იან წლებში, თუმცა მაშინ მიზანი არ ისახავდა სილიციუმური ტექნოლოგია შეცვლილიყო სხვა უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიით. დღეისათვის ეს მიდგომა რადიკალურადაა შეცვლილი და მიზნად ისახავს ფართომასშტაბიან, პერმანენტულ, მიზანმიმართულ კვლევებს და მუშაობას იმისათვის, რომ მოხდეს ელექტრონული კომპიუტერების ჩანაცვლება ოპტიკური კომპიუტერებით, რომლებსაც შეეძლება ფართო სპექტრის რთული ამოცანების გადაწყვეტა უფრო სწრაფად, ვიდრე ეს შეუძლიათ ელექტრონულ კომპიუტერებს.

ძირითადი ნაწილი

ოპტიკური კომპიუტერები - ეს არის კომპიუტერები, რომელებიც ჩვეულებრივი ელექტრონული კომპიუტერებისგან განსხვავებით, რომლებიც დაფუძნებულია ელექტრონულ ტექნოლოგიებზე და გამოთვლითი ოპერაციები სრულდება ელექტრონების დახმარებით, ოპტიკური კომპიუტერები გამოთვლებს ახორციელებენ ფოტონების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს მათ მიღწეულ იქნეს გამოთვლების დიდი სისწრაფე და მწარმოებლურობა ოპტიკური გამოსხივების ნაკადებზე მანიპულირების გზით (ინტერფერენცია, დიფრაქცია, არაწრფივი ოპტიკა).

დღეს არსებულ ელექტრონულ კომპიუტერებში ციფრული ინფორმაციის ყველაზე მცირე ერთეულის ბიტის შემნახველი არის ტრანზისტორი. ტრანზისტორების რაოდენობა ელექტრონულ კომპიუტერებში კი ასეულ მილიონს აღწევს. თანამედროვე კომპიუტერების მწარმოებლურობის ზრდა ეყრდნობა გორდონ მურის კანონს, რომლის თანახმად ორჯერ გაზრდილი ტრანზისტორების რაოდენობა მიკროჩიპში იძლევა მწარმოებლურობის ექსპონენციურ ზრდას, თუმცა ამ ზრდის გზის ბოლოს კი შეიძლება დიდი რაოდენობით ტრანზისტორებმა საერთოდ შეაფერხონ კიდევ პროცესორის მუშაობის სიჩქარე. გარდა ამისა, ტრანზისტორს აქვს ფიზიკური ზომის შეზღუდვა, რომლის იქით შეუძლებელი იქნება მათი შექმნა. ასევე რაც მეტია ტრანზისტორების რაოდენობა, მით უფრო მეტი ელექტრული ენერგიაა საჭირო მათი მუშაობისათვის, მეტი ენერგია კი განაპირობებს მაღალ ტემპერატურას, რაც ტრანზისტორების მუშაობის შემაფერხებელი ფაქტორია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული (სიგნალების გადაცემის სიჩქარე, მაღალი ტემპერატურა, ენერგომომხმარება, ტრანზისტორების მინიატურიზაციის ფიზიკური ზღვარი) ხაზს უსვამს

ელექტრონული კომპიუტერების მთავარ პრობლემებს და მოითხოვს მათი გადაწყვეტის გზების ძიებას. ამ თვალსაზრისით ამ ყველაფრის თავიდან აცილების მიზნით ერთ - ერთ ალტერნატივას წარმოადგენს სწორედ სრულად ოპტიკური კომპიუტერების ან ელექტრონულ - ოპტიკური კომპიუტერების ჰიბრიდული ვარიანტის შექმნა [1, 5, 6, 7].


განვიხილოთ თუ რატომ და რის გამო არის დღეს ოპტიკური კომპიუტერები აქტუალური დამუშავებისა და შექმნის თვალსაზრისით: უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მათში ინფორმაციის გადატანა ხდება ფოტონების მოძრაობის შედეგად სინათლის სიჩქარით, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს მათში ინფორმაციის დამუშავება და გადაცემა პრინციპულად უფრო მაღალი სიჩქარით, ვიდრე ეს შესაძლებელია ელექტრონულ კომპიუტერებში; მინიმალურია ენერგიის დანაკარგები, რადგან ფოტონები არ ათბობენ (ახურებენ) მასალებს ისე როგორც ელექტრონები; შესაძლებელია მონაცემების პარალელური დამუშავება, რადგან სინათლეს შეუძლია ერთდროულად გამოიყენოს რამდენიმე საინფორმაციო არხი - ტალღის სიგრძის, ფაზის, პოლარიზაციის მიხედვით, ეს იძლევა ინფორმაციის დამუშავების ბუნებრივი პარალელიზმის საშუალებას, რაც მიუღწეველია ელექტრონული კომპიუტერების შემთხვევაში; თავსებადობა ოპტიკურ კავშირთან, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან დღეს გლობალური ქსელის დიდი ნაწილი (ინტერნეტი, ტელეკომუნიკაცია) უკვე მუშაობს ოპტიკურ ბოჭკოზე; ელექტრომაგნიტური დაბრკოლებების არარსებობა, რაც უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა კავშირისა და ნავიგაციის სისტემებში. ყოველივე ამის მიღწევა კი შესაძლებელია ოპტიკური გამოთვლების მეთოდებისა და მათი კომპონენტების წარმატებით დამუშავების და სრულყოფის გზით, რასაც დღეს განსაკუთრებულად დიდი ყურადღება ეთმობა [2,3,4].

ოპტიკური კომპიუტერის მუშაობის პრინციპული სქემა ნაჩვენებია სურ. 1-ზე.

ოპტიკური კომპიუტერის სტრუქტურაში გაერთიანებული თითოეული ბლოკი ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციას.

სინათლის წყარო (ლაზერი, შუქდიოდი) გენერირებს კოჰერენტულ გამოსხივებას, ქმნის მძლავრ, სტაბილურ ფოტონების ნაკადს, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციის მატარებელს.

შეტანის ბლოკში (ოპტიკური მოდულატორები) ხდება ელექტრონული სიგნალებით წარმოდგენილი დასამუშავებელი მონაცემების ზედდება სინათლეზე და მათი შეტანა კომპიუტერში. შედეგად ხდება ელექტრონული სიგნალების სინათლის სიგნალებში გადაყვანა (იცვლება სინათლის ინტენსივობა, ფაზა, ტალღის სიგრძე ან პოლარიზაცია), რაც ნიშნავს, რომ ციფრული „0“ და „1“ გარდაიქმნებიან სინათლურ მდგომარეობაში.



სურ. 1 ოპტიკური კომპიუტერის მუშაობის პრინციპული სქემა

ოპტიკურ პროცესორში მონაცემები მიეწოდება სინათლის სახით. ხდება მათი დამუშავება სხვადასხვა ოპტიკური ელემენტების საშუალებით, რომლებშიც ფოტონების ფიზიკური თვისებები (ინტერფერენცია, დიფრაქცია, პოლარიზაცია) ახორციელებს გამოთვლებს. თითოეულ ოპტიკურ ელემენტს აკისრია განსაზღვრული ფუნქციის შესრულება, კერძოდ: ლინზები და პრიზმები ახორციელებს ფურიეს გარდაქმნებს გამოსახულებისა და სიგნალების ანალიზისათვის; ინტერფერომეტრები ახდენს სიგნალების შეკრებას და გამოკლებას, რითაც ახორციელებს არითმეტიკულ ოპერაციებს ინტერფერენციის საშუალებით; ოპტიკური გისოსები ანაწილებს შესასვლელი სიგნალის ფართო სპექტრს არხებზე ტალღის სიგრძის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მონაცემების მულტიპლექსირებას და დემულტიპლექსირებას; ტალღაგამტარები გამოიყენება

როგორც კავშირის ხაზები ოპტიკური პროცესორის შიგნით და ანაწილებს (მიმართავს) სიგნალებს გამოთვლითი კვანძებისკენ; ფოტონური ჩიპები ერთ კრისტალზე აერთიანებს ტალღამატარებს, გისოსებს, რეზონატორებს, მოდულატორებს, დეტექტორებს, ასრულებს მარშრუტიზაციას და მატრიცულ ოპერაციებს; არაწრფივ კრისტალებში სინათლის ტალღები ურთიერთქმედებს ერთმანეთთან და იძლევა საშუალებას აგებულ იქნეს ოპტიკური ლოგიკური ელემენტები და შესრულდეს ლოგიკური ოპერაციები („და“, „ან“, „არა“). ოპტიკურ პროცესორში ყველაფერი ეს მიმდინარეობს პარალელურად და სინათლის სიჩქარით.

ოპტიკური მეხსიერება რეალიზებულია ჰოლოგრაფიული მეხსიერებისა და ფოტოქრომული შრეების საშუალებით.

ჰოლოგრაფიული მეხსიერება დაფუძნებულია სინათლის ინტერფერენციის მოვლენაზე, ხდება ორი ლაზერული კონის გადაკვეთა ფოტომგრძნობიარე კრისტალში (მაგალითად, LiNbO_3 - ლითიუმის ნიობატი). გადაკვეთის ადგილზე წარმოიშობა ინტერფერენციული სურათი თავისებური „სამგანზომილებიანი მესერი“, სადაც იწერება ინფორმაცია (3D-ჩაწერა). მონაცემები შეინახება კრისტალის მოცულობაში და არა მხოლოდ მის ზედაპირზე, რაც იძლევა საშუალებას ჩაწერილ იქნეს ინფორმაციის უზარმაზარი მოცულობა ინტერფერენციული სურათების სახით ლაზერის ტალღის სიგრძისა და დაცემის კუთხის ცვლილებით. ჰოლოგრაფიული მეხსიერების თვისებების გამოყენება ოპტიკურ კომპიუტერებში განაპირობებს მონაცემების დიდი ბაზების (გიგაბაიტებით და ტერაბაიტებით) შენახვას კრისტალზე, უზრუნველყოფს სწრაფ პარალელურ დაშვებას მონაცემებთან და განსაკუთრებით სასარგებლოა სახეების ამოცნობის, გამოსახულებების დამუშავების და ხელოვნური ინტელექტის ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ოპტიკურ კომპიუტერში ფოტოქრომული შრეებით ოპტიკური მეხსიერების წარმოდგენა დაფუძნებულია ფოტოქრომიზმის პრინციპზე, რაც გულისხმობს ზოგიერთი არაორგანული მასალების - გარდამავალი ლითონების და მათი კომპლექსების თვისებას შეიცვალოს ოპტიკური თვისებები და ფერი სინათლის სხვადასხვა სიგრძის ტალღებით დასხივების შედეგად. ეს განსაკუთრებულია შეიძლება გამოყენებულ იქნეს „0“ და „1“ კოდირებისათვის - შრე „ბნელდება“ ნიშნავს „0“-ის კოდირებას, შრე „ნათდება“ კი „1“-ის კოდირებას. ოპტიკური მეხსიერების ეს სახე ოპტიკურ კომპიუტერში გამოიყენება როგორც ბუფერული ან დროებითი მეხსიერება შუალედური მონაცემების შესანახად გამოთვლების შესრულების დროს.

გამოტანის ბლოკში დეტექტორების საშუალებით გამოსასვლელი სინათლური სიგნალები გარდაიქმნებიან უკან ელექტრულში, რომელიც შეიძლება გაიზომოს და დამუშავდეს სტანდარტული სისტემებით. მაგალითად, ფოტოდიოდები აფიქსირებენ სინათლის ინტენსივობას და გადაჰყავთ ის ციფრულ კოდში.

მართვის სისტემა ელექტრონულია. კოორდინაციას უწევს ოპტიკური ბლოკების მუშაობას (მონაცემების მიწოდება, ლაზერების და მოდულატორების რეგულირება, ოპერაციების სინქრონიზირება).

კავშირისა და ინფორმაციის გადაცემის ბლოკის საშუალებით ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა გარე გამოთვლით სისტემებთან კავშირის ბოჭკოვან-ოპტიკური ხაზებით.

ოპტიკურ და ელექტრონულ კომპიუტერებს შორის არსებითი განსხვავება ძირითადი მახასიათებლების მიხედვით შეიძლება წარმოდგინდეს ასეთი სახით:

პარამეტრი	ელექტრონული კომპიუტერი	ოპტიკური კომპიუტერი
ინფორმაციის მატარებელი	ელექტრონები	ფოტონები
გადაცემის სიჩქარე	ასეულ გიგა ჰერცამდე	პოტენციურად ტერა ჰერცამდე და უფრო მაღალი
პარალელურობა	შეზღუდულია არქიტექტურით	ბუნებრივი (სინათლის მრავალი არხი)
ენერგომოხმარება	მაღალი	ძალიან დაბალი
გადახურება	სერიოზული პრობლემა	თითქმის არ არსებობს
ოპტიკურბოჭკოსთან შეთავსებადობა	არა	სრული
ტექნოლოგიის სრულყოფის ხარისხი	მაღალი	აქტიური კვლევების ეტაპზე

რაც შეეხება ოპტიკური კომპიუტერების გამოყენებას ავიაციაში ეს სამომავლოდ ნამდვილად გამოიწვევს რადიკალურ ცვლილებებს. ოპტიკური კომპიუტერებისთვის პერსპექტიულ საავიაციო ამოცანებს წარმოადგენს: ახალი თაობის ფრენის მართვის სისტემების რეალიზაცია; მრავალრიცხოვანი სენსორებიდან მონაცემების დამუშავება რეალურ დროში; გამოსახულებების (ვიდეონაკადების) დამუშავება და ანალიზი; ნავიგაცია და ავტონომიური პილოტირება; კავშირი და მონაცემების გადაცემა; სიმულატორები და საავიაციო ტექნიკის დაპროექტება [1].

ახალი თაობის ფრენის მართვის სისტემების რეალიზაცია. დღეს საჰაერო ხომალდები ფრენის მართვის სისტემებში იყენებენ მართვას ელექტრული სიგნალებით. მომავალში კი ოპტიკურ კომპიუტერებში შესაძლებელი იქნება მართვა განხორციელდეს ოპტიკური არხების საშუალებით,

რაც გამოიწვევს ბრძანებების მყისიერ გადაცემას, ელექტრომაგნიტური დაბრკოლებებისგან დაცვას და საიმედოობის ამაღლებას.

მრავალრიცხოვანი სენსორებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება რეალურ დროში. თანამედროვე თვითმფრინავები აღჭურვილია ათასობით გადამწოდისგან. ოპტიკურ კომპიუტერებს შეეძლება შეასრულონ ყველა გადამწოდიდან მიღებული მონაცემების დიდი მასივების ანალიზი მყისიერად, აღმოაჩინონ ანომალიები ან მოწყობილობების მტყუნებები ავარიული სიტუაციის გაჩენამდე (პროგნოზული დიაგნოსტიკა), იმუშაონ რეალური დროის რეჟიმში ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადების დროს.

გამოსახულებების (ვიდეონაკადების) დამუშავება და ანალიზი. პილოტირებადი და უპილოტო საფრენი აპარატებისთვის ეს მთავარი ფუნქციაა და გულისხმობს კამერებიდან და რადარებიდან მიღებული გამოსახულებების მყისიერ დამუშავებას; ობიექტების ამოცნობას; ოპტიკური მონაცემების მიხედვით ნავიგაციას ამინდის რთულ პირობებში და ცუდი ხილვადობის დროს.

ნავიგაცია და ავტონომიური პილოტირება. ფოტონური და კვანტური სენსორების შერწყმით შესაძლებელია სრულად ავტონომიური საავიაციო სისტემების შექმნა, რომელთაც შეეძლება დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ფრენის დროს, გამოთვალონ ოპტიმალური მარშრუტი მეტეოროლოგიურ პირობების, ტურბულენტურობის და საჰაერო სივრცის შეზღუდვის პირობებში.

კავშირი და მონაცემების გადაცემა. ოპტიკურ კომპიუტერებს შეუძლიათ უზრუნველყონ ოპტიკური (ლაზერული) კავშირი თვითმფრინავებსა და თანამგზავრებს შორის, მოახდინონ მონაცემების მაღალსიჩქარული გაცვლა რადიოდაბრკოლებების გარეშე.

სიმულატორები და საავიაციო ტექნიკის დაპროექტება. ოპტიკური გამოთვლითი სისტემების საშუალებით შესაძლებელი იქნება შეიქმნას რეალისტური აეროდინამიკური სიმულაციები მილიარდობით ცვლადებით, დაჩქარდება ახალი თვითმფრინავების დამუშავება საჰაერო ნაკადების და სხვა პარამეტრების მოდელირების საშუალებით.

ფოტონიკის, გამოთვლითი ტექნიკის და ავიაციის სფეროებში მოღვაწე და მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტების აზრით პერსპექტივაში უახლოესი მომდევნო 20 – 25 წლის განმავლობაში მართვის საავიაციო სისტემები, ნავიგაცია და კავშირი გახდება ფოტონური, დამუშავდება ახალი თაობის უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებიც მთლიანად მართვადი იქნებიან ოპტიკური გამომთვლელებით.

დასკვნა

ოპტიკური კომპიუტერების დამუშავება წარმოადგენს გამოთვლითი ტექნიკის ევოლუციაში ერთ - ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიმართულებას. ასეთ სისტემებს შეეძლება შეასრულონ ინფორმაციის დამუშავების სიჩქარის გიგანტურად გაზრდა, ენერგომოხმარების მნიშვნელოვანი შემცირება და გამოთვლების ახალი არქიტექტურის შექმნა.

მიუხედავად დღეს არსებული ტექნოლოგიური სიძნელებისა, სამეცნიერო კვლევები ფოტონური სქემების, ჰოლოგრაფიული მეხსიერების და ოპტიკური ლოგიკური ელემენტების სფეროში იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ოპტიკური კომპიუტერების დამუშავება და გამოყენება უდაოდ გახდება XXI საუკუნის გამოთვლითი ტექნიკის განვითარების ერთ - ერთ ძირითად და პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება აქტუალური რთული საავიაციო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ.ვეფხვაძე. საბორტო კომპიუტერები და ინფორმაციული სისტემები, ლექციების კურსი. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, 2023. -391 გვ.
2. Pradita Maiti, Koushik Sarkar, Sudipta Banerjee. “An Overview of Optical Computing and its components : From History to modern AI application“ , LAP Lambert Academic Publishing, 2025, - 120 p.
3. Tyler Fisher, “Optical Computing”, Arcler Press, 2015.
4. H. Arsenault, T.Szoplik,, B. Macukow. “ Optical processing and Computing”. Academic Press, 2012, - 508 p.
5. Степаненко С. А. Фотонный компьютер: структура и алгоритмы, оценки параметров. Фотоника, Выпуск №7 / 2017.
6. Плюсин М.А. Особенности полностью оптических компьютеров, [https:// science forum. ru /2021/article /2018024708](https://scienceforum.ru/2021/article/2018024708).
7. Оптический компьютер : Описание, принцип работы, преимущества. abc – import.ru 07.12. 2018.

Optical computers and their application prospects in aviation

Demur Vepkhvadze

Georgian Aviation University

16 Ketevan Dedopali Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Abstract: *The paper discusses the main problems of modern electronic computers in terms of the speed of signal propagation in them, the physical limit of transistor miniaturization, and power consumption. The principle scheme and principle of operation of an optical computer are given, and an analysis of the operation of its individual blocks is given. Based on the discussion of the main problems of electronic computers, the possibilities of solving these problems in the case of using optical computers are shown, a comparative characterization of optical computers with electronic computers is given, and the advantages of optical computers over them are shown. The prospects for the development and use of optical computers are assumed. The possibilities and principles of successfully solving a number of aviation tasks in the case of using optical computers in aviation are proposed.*

Keywords: *optical computer, photon, interference, holographic memory, optical sensor.*

Paradigmatic Ambiguity in Flight Deck Communication

Tea Vepkhvadze

Georgian Aviation University

16 Ketevan Dedopali Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Abstract: *In aviation communication, where accuracy and safety are crucial, any slight variation in words can have severe operational implications. This paper addresses paradigmatic ambiguity — a type of semantic ambiguity arising due to the substitutability of words within the same syntactic slot — in aviation communication. Based on paradigmatic semantics theories and pragmatic linguistics, this study investigates lexical substitutions, near-synonyms, and terminological overlaps as miscommunication causes between air traffic controllers and pilots. The study uses examples from ICAO phraseology, aviation manuals, and actual incidents to demonstrate how language choices may cause different interpretation and operational failure. It further argues that while controlled language in aviation reduces semantic vagueness, non-standard or everyday lexical substitution is a pragmatic hazard, especially under catastrophic or emergency circumstances. The article ends by proposing solutions by way of more rigorous lexical field control, targeted training in semantic awareness, and on-line communication surveillance. This interdisciplinary analysis weaves together linguistic theory and aerial safety and offers practical solutions derived from paradigmatic structure and pragmatic deployment.*

Keywords: *Air communication, paradigmatic ambiguity, Controlled Natural Language (CNL), ICAO phraseology, semantic-pragmatic analysis.*

In the complex and high-stakes environment of aviation, language plays a critical role in ensuring operational safety. Pilots, air traffic control officers (ATCOs), and flight dispatchers rely heavily on verbal communication, and any deviation from standard phraseology can introduce ambiguity with potentially severe consequences. Aviation language is not limited to be a communication tool, it is a lifeline. To counteract ambiguity, the International Civil Aviation Organization (ICAO) mandates the use of controlled language—predefined, standardized phraseology designed for clarity and brevity (ICAO, 2016). This controlled language reduces syntactic complexity and limits vocabulary to prevent confusion arising from synonymous or ambiguous word choices. However, even within this constrained linguistic framework, the possibility of paradigmatic substitution persists. One of the sources of possible communication failure originates from paradigmatic uncertainty — semantic uncertainty triggered by lexical substitution of words associated in one lexical slot.

Paradigmatic ambiguity arises from the substitutability of lexical items that occupy the same syntactic slot but differ in meaning, formality, or pragmatic interpretation. As de Saussure (1916) posited in his foundational theory of semiotics, language functions through a system of signs arranged paradigmatically and syntagmatically. The paradigmatic axis comprises sets of words that can be alternated without changing the grammatical structure of a sentence but often altering its semantic nuance (Halliday & Hasan, 1976).

In aviation, where message interpretation must be immediate and unambiguous, such alternations can compromise communication efficacy. For instance, replacing the standard phrase "Climb to FL310" with "Ascend to FL310" may appear benign but introduces terminology unfamiliar to some non-native English-speaking pilots, potentially leading to delayed comprehension or misinterpretation. Consider the two following statements as well:

(1) "Descend and maintain flight level two eight zero." (2) "Descend and hold at two eight zero."

Both sentences might superficially sound similar, but they trigger radically different processes. The difference is in the paradigmatic switch between *maintain* and *hold*, each of which carries unmistakable operating connotations. These sorts of word substitutions, if poorly known or not codified, can induce confusion, hesitation, or even lethal errors.

In everyday usage, paradigmatic variation adds variety. In high-stakes communication areas like aviation, though, this type of variation can be hazardous. A paradigmatic error is not simply a matter of grammar — it is often a semantic error with safety consequences.

Semantic ambiguity is the circumstance where a linguistic term accommodates more than one meaning. In aviation, ambiguity could occur from:

- Polysemy (one word with numerous meanings)
- Homonymy (two different words with the same form)
- Near-synonymy (different words with close meanings)
- Ellipsis or omission

Paradigmatic ambiguity is particularly dangerous since the substituting word appears correct grammatically and often becomes considered synonymous by non-native, or less able, speakers. The problem intensifies under stress, fatigue, or in the event that speakers operate within a multilingual setting with various strengths in English competence.

Pragmatically, communication meaning depends on context, speaker intent, shared knowledge, and conventional expectation. Even if a word is semantically appropriate in itself, it can be pragmatically unsuccessful if:

- diverges from normal ICAO usage

- results in delayed interpretation
- is inconsistent to the operational context

Here is an exchange:

ATC: "Maintain heading one eight zero." Pilot: "Turning one eight zero."

The phrase turning implies action, not stabilization. The paradigmatic substitution by the pilot might demonstrate understanding but pragmatically contravenes rule of response and potentially results in confusion in busy airspace.

Aviation English has been defined as a Controlled Natural Language (CNL) — a pre-fixed variety of English with limited lexicon, pre-fixed patterns, and low ambiguity. ICAO phraseology strives to eliminate paradigmatic variation by stipulating pre-fixed phrases (e.g., "Climb and maintain.", "Cleared for takeoff") and banning informal substitution.

Despite this, field studies (e.g., Prinzo et al., 2008) show that natural language frequently intrudes into radio telephony.

Pilots and controllers use non-standard expressions such as: "We're good for departure" instead of "Ready for takeoff"; "We're holding at alpha" instead of "Holding short of runway at taxiway A". These deviations often involve paradigmatic substitution that compromises the clarity and safety.

Aviation language is not a lexicon of words—it is a form dictated by function, operating need, and mental economy. Standard phraseology was promulgated by ICAO to meet the communications needs of aviation operations under stressful and high workload conditions. Phrases are chosen not merely for clarity, but also for brevity, absence of ambiguity, and international understandability.

In this system, words and phrases are assumed to be within narrow semantic fields. For example, in the altitude control field, words like "climb," "descend," "maintain," and "level off" all function in the context of a strongly controlled paradigmatic set. Replacement of one word with another—especially with informal or non-serious terminologies—can lead to ambiguity with serious ramifications in the real world.

Following are the subsequent examples taken from actual communication transcripts:

"Climb to one zero thousand" vs. "Ascend to ten thousand"; "Cleared for the approach" vs. "You're good for landing".

Both sets of phrases are functionally equivalent, but the subsequent terms (ascend, you're good) introduce paradigmatic variation that will not automatically be understood or expected in critical radio communications. Misinterpretation in this case can lead to aircraft entering controlled airspace without authorization or to a different runway being approached.

In addition, the design of aviation language involves designed redundancy. Thus, "Climb and maintain" is to be used instead of the straightforward "Climb" because it establishes a first action and a leveling instruction. Replacing one component of such a statement degrades this functional redundancy, causing increased risk of error.

In this regard, paradigmatic ambiguity tends to result not from gaps in vocabulary, but from lexical overconfidence—whereby speakers and writers assume their substitutions are like the originals when they are not.

Aviation discourse, and especially flight deck and air traffic control speech, is transactional, time-constrained, and often subject to external pressure from noise, workload, and stress. It is here that paradigmatic ambiguity is most risky.

Let us take two ATC discourse extracts:

ATC: "Cleared to cross runway two-seven at echo."

Pilot: "Crossing two-seven at echo."

Routine stuff. But:

ATC: "Hold short of runway two-seven."

Pilot: "Stopping short of runway two-seven."

While the second response is semantically accurate relative to the instruction, the expression "stopping short" is a paradigmatic replacement for "hold short"—though not official, and in some versions might not trigger an automated acknowledgement or logging function.

In another case:

ATC: "Report established on the localizer."

Pilot: "We are on the beam."

"On the beam" is a colloquialism, previously common in military aerial operations but today largely obsolete in civilian flying. The paradigmatic replacement is not required and is confusing, and can result in follow-up queries for explanation, adding to traffic on the airwaves.

The same type of deviation shows how unorthodox paradigmatic options can confuse potential expectations, slow response, or create operational distinctions. These accumulate when communication is being conducted interculturally or interlingually.

The next part of this essay addresses recorded case studies and actual events in which paradigmatic vagueness has been the focus.

Tenerife Airport Disaster (1977)

One of the best-known examples of communication failure in aviation was the Tenerife Airport Disaster, where two Boeing 747s crashed into each other on the runway, resulting in 583 passengers and

crew being killed. While there were numerous contributing causes to the accident, such as bad weather and congestion, one significant factor was lexical miscommunication.

The KLM pilot responding to ATC's "Stand by for takeoff" with "We are now at takeoff" employed a paradigmatic form outside the usual "Ready for takeoff" or "Cleared for takeoff." ATC and the flight engineer were unable to understand this phrase, syntactically acceptable but never previously having had a plain ordinary operational sense and causing a fatal misunderstanding.

Avianca Flight 52 (1990)

In this crash, Avianca 52 pilots failed to unambiguously declare a fuel emergency to ATC. Pilots used indirect paradigmatic alternatives such as "running low on fuel" instead of the expected "Mayday" or "Minimum fuel." Controllers were not used to the gravity involved with the use of the former and failed to clear the flight for landing. Such semantic vagueness resulted in fuel exhaustion and a crash off JFK Airport, with 73 fatalities.

Singapore Airlines Flight 006 (2000)

At takeoff while the plane was in typhoon weather at Taipei airport, the aircraft inadvertently tried to take off from a shut runway. Pilots read back messages with imprecise and non-standard wording. Internal crew communication, for instance, used terms such as "That should be it" and "Looks okay," which were paradigmatic approximations and not positional certainty confirmation. These lexical selections indicate the decline of terminological exactness in the midst of high-pressure situations.

Cushing's (1994) and more recent work by Barshi & Farris (2013) indicate a tendency among non-native English-speaking pilots to employ synonymous phrases that are semantically the same but operationally distinct. These are illustrated as follows: "Go ahead" instead of "Say again"; "Takeoff speed reached" instead of "V1".

Such paradigmatic variants are more liable to be misunderstood in multilingual environments, especially if the controller is requiring precise ICAO phraseology. Paradigmatic ambiguity cannot be understood apart from an analysis of its pragmatic significance—how language is deployed in interaction and how meaning is created through mutual expectation.

Speech act theory provides a useful lens through which to analyze flight deck communication. A command such as "Descend and maintain FL180" carries the illocutionary force of a directive. If a pilot replies with "We're descending to 180," this is pragmatically acceptable. However, if the reply is "We're starting down," the illocutionary intent becomes vague. The paradigmatic substitution weakens the intended directive response, increasing the potential for misalignment.

Grice's maxims of quantity, quality, relation, and manner of conversation are constantly being violated in air traffic communication. Controllers in high-density situations require answers that are brief, sincere, relevant, and transparent. Pilots' use of paradigmatic substitutes (e.g., "Looks good" instead of "Cleared to land") violates the maxim of manner by introducing ambiguity and personal inference.

Conclusion

Effective communication in aviation is critical for safety, operational efficiency, and situational awareness. This study demonstrates that even minor deviations from standardized ICAO phraseology—through paradigmatic substitution or lexical variation—can introduce semantic and pragmatic ambiguity with potentially severe consequences. Controlled Natural Language and pre-defined phraseology provide a robust framework for reducing such risks, yet natural language intrusions, stress, fatigue, and multilingual environments continue to challenge clarity.

Historical accidents, including the Tenerife Airport Disaster, Avianca Flight 52, and Singapore Airlines Flight 006, highlight the lethal consequences of imprecise communication and the failure to adhere strictly to prescribed terminology. Paradigmatic ambiguity, by allowing seemingly correct alternatives that diverge in operational meaning, underscores the importance of rigorous training, consistent enforcement of ICAO phraseology, and real-time monitoring of communications.

In sum, harmonizing linguistic theory with operational practice emphasizes that language in aviation is not merely a tool, but a lifeline. Minimizing paradigmatic ambiguity enhances pilot-controller alignment, ensures prompt comprehension, and sustains the highest standards of safety in increasingly complex and international airspace operations.

References:

1. Barshi, Immanuel, and Christine Farris. *Aviation Communication: Language and Culture in the Cockpit*. Farnham, UK: Ashgate Publishing, 2013.
2. Cushing, Steven. "Language Use in Aviation: The Effects of Non-Native English on Safety." *Journal of Air Transport Studies* 5, no. 1 (1994): 45–62.
3. International Civil Aviation Organization (ICAO). *Manual on Radiotelephony*. Doc 9432 AN/925. Montreal: ICAO, 2007.
4. Prinzo, O. Veronika, et al. "Controlled Language and Aviation Safety: The Role of Standard Phraseology in Flight Deck Communication." *International Journal of Aviation Psychology* 18, no. 3 (2008): 243–260.
5. Searle, John R. *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. Cambridge: Cambridge University Press, 1969.
6. Yule, George. *Pragmatics*. 2nd ed. Oxford: Oxford University Press, 1996.

თეა ვეფხვაძე

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზირი 16, თბილისი, საქართველო, 0103

რეზიუმე: საავიაციო კომუნიკაციაში, სადაც უსაფრთხოება და სიზუსტე უმთავრესია, თუნდაც მცირედმა გადაცდომამ და არასწორად შერჩეულმა ლექსიკურმა ერთეულმა, შესაძლოა კატასტროფულ შედეგამდეც კი მიგვიყვანოს. მოცემული კვლევა ეხება პარადიგმატულ ბუნდოვანებას, სემანტიკური მრავალმნიშვნელოვნების სახესხვაობას, რომელიც წარმოიშობა სიტყვების ერთი და იმავე სინტაქსურ პოზიციაში პარადიგმატული ჩანაცვლების შედეგად და იკვლევს მის როლს საჰაერო კომუნიკაციის პროცესში. პარადიგმატული სემანტიკის თეორიებსა და პარადიგმატული ლინგვისტიკის საფუძველზე დაყრდნობით, წინამდებარე კვლევა სწავლობს მნიშვნელობით მონაცვლე ლექსიკურ ერთეულებს, პარადიგმატულ სინონიმებსა და ტერმინოლოგიურ გადაკვეთებს, როგორც ბუნდოვანი კომუნიკაციის გამომწვევ ფაქტორებს ავიაშემთხვევებისა და მფრინავებს შორის. კვლევაში განხილულია ICAO-ს ფრაზეოლოგიის, ავიაციის ოპერაციული სახელმძღვანელოებისა და რეალური შემთხვევების მაგალითები, რათა ვაჩვენოთ, რომ სიტყვების არასტანდარტული გამოყენება ქმნის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და იწვევს ოპერაციულ შეცდომებს. ხაზგასმულია, რომ სტანდარტიზებული ენა მნიშვნელოვნად ამცირებს სემანტიკურ ბუნდოვანებას. ამიტომაც, სტანდარტიზებული ფრაზების არასტანდარტული ან ყოველდღიური ლექსიკით ჩანაცვლება დიდ საფრთხეს წარმოშობს, განსაკუთრებით, კი საგანგებო სიტუაციების დროს. სტატიაში შემოთავაზებულია პრევენციული მეთოდები, როგორებიცაა ლექსიკური ველების მკაცრი კონტროლი, სემანტიკური ცნობიერების გაძლიერების ტრენინგები და კომუნიკაციის რეალურ დროში ზედამხედველობა. ეს დისციპლინათმორისი კვლევა აკავშირებს ენათმეცნიერულ თეორიასა და ავიაციის უსაფრთხოებას, გვთავაზობს პრაქტიკულ რეკომენდაციებს, რომლებიც პარადიგმატულ სტრუქტურებსა და პრაგმატულ მიდგომებზეა დაფუძნებული.

საკვანძო სიტყვები: საჰაერო კომუნიკაცია, პარადიგმატული ბუნდოვანება, სტანდარტიზებული ენა, ICAO-ს ფრაზეოლოგია, სემანტიკურ-პრაგმატული ანალიზი.

ვერტმფრენის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატის პროექტი

ბეჟან ჯიქია¹, ცეზარი გაბამე²

^{1, 2} საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზირი №16, 0103 თბილისი, საქართველო

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია ტანდემური სქემის მქონე უპილოტო ვერტმფრენის კონცეფცია, მისი ტექნიკური და კონსტრუქციული თავისებურებები. აღნიშნული სქემა გამოირჩევა სტაბილურობით, გაზრდილი ამწეობით და ბრუნვითი მომენტის შიდა ბალანსით, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას კომპაქტური, ენერგოეფექტური და მრავალფუნქციური საფრენი სისტემა. აპარატის მოდულური არქიტექტურა, კომპოზიტური მასალების გამოყენება და ელექტროძრავზე დაფუძნებული სისტემა უზრუნველყოფს საიმედო და დაბალხმაურიან მუშაობას. ტანდემური სქემის უპილოტო საფრენი ვერტმფრენი (UAV) ოპტიმალურია ლოგისტიკური, სამაშველო და სადაზვერვო ამოცანების შესრულებისთვის რთულ რელიეფსა და მეტეოროლოგიურ პირობებში. ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ტანდემური სქემის ინტეგრაცია უპილოტო სისტემებში წარმოადგენს პერსპექტიულ მიმართულებას თანამედროვე ავიაკონსტრუქციების განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ტანდემური სქემა, უპილოტო საფრენი აპარატი, ტვირთამწეობა, კომპლექსური მართვა.

შესავალი


თანამედროვე ავიაკონსტრუქციების განვითარების ტენდენცია მჭიდროდ არის დაკავშირებული უპილოტო საფრენი აპარატების გავრცელებასთან. სხვადასხვა კლასის დრონები წარმატებით გამოიყენება როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სფეროებში. მიუხედავად ამისა, ტვირთის გადაზიდვის, სამიზნო-სამაშველო და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში გამოყენებისათვის, საჭირო ხდება უფრო გამძლე და მძლავრი აპარატების შექმნა, რომლებიც უპირატესობას მიანიჭებენ ვერტმფრენულ სქემას ფიქსირებული ფრთის აპარატებთან შედარებით.

ტანდემური სქემის ვერტმფრენები გამოირჩევიან განსაკუთრებული სტაბილურობით და მაღალი ამწეობით, რაც მათ იდეალურ კანდიდატებად აქცევს სატრანსპორტო და ლოგისტიკური ამოცანების შესასრულებლად. ამ კონცეფციის ინტეგრაცია უპილოტო საფრენ პლატფორმაში ქმნის ტექნოლოგიურ შესაძლებლობას, შეიქმნას კომპაქტური, მრავალფუნქციური და ენერგოეფექტური საფრენი სისტემა.


წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია ტანდემური სქემის მქონე უპილოტო ვერტმფრენის ტექნიკური და კონსტრუქციული თავისებურებების ანალიზი, მისი გამოყენების სფეროების განსაზღვრა და ოპტიმალური დიზაინის შესწავლა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ მუშაობას სხვადასხვა ოპერაციულ პირობებში [1, 2, 3, 4, 5].

ძირითადი ნაწილი


Tecnam P2008 არის იტალიური წარმოების ორსავარძლიანი თვითმფრინავი, რომელიც პირველად ბაზარზე 2009 წელს გამოჩნდა და სწრაფად მოიპოვა პოპულარობა როგორც საფრენოსნო სასწავლო მიზნებისთვის, ისე კერძო მფლობელებისა და მცირე ავიაკომპანიებისთვის, რაც განპირობებულია მისი მაღალი საიმედოობით, მარტივად სამართავი სისტემებითა და ოპტიმიზირებული საწვავის მოხმარებით. თვითმფრინავი აერთიანებს ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიების საუკეთესო მახასიათებლებს, რაც მას ანიჭებს გამორჩეულ კონკურენტუნარიანობას მსუბუქი ავიაციის ბაზარზე.



სურ.1 TecnamP2008 ტიპის საჰაერო ხომალდი

Tecnam P2008 ფართოდ გამოიყენება საფრენოსნო მომზადების პროცესში, რაც გულისხმობს თვითმფრინავის ინტენსიურ გამოყენებას დამწყები მფრინავების მიერ. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი საექსპლუატაციო მახასიათებლების შესწავლა და მათ გავლენაზე დაკვირვება ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ნებისმიერი სახის მცირე გადახრა ტექნიკური ან საექსპლუატაციო თვალსაზრისით შეიძლება გავლენას ახდენდეს როგორც ფრენის ხარისხზე, ისე მფრინავის/ინსტრუქტორის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვაზე [2].

ნაშრომი მიზნად ისახავს **Tecnam P2008**-ის საექსპლუატაციო მახასიათებლების ანალიზს და მათი გავლენის შეფასებას ფრენის უსაფრთხოებაზე. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ რისკების იდენტიფიცირებას, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა საფრენოსნო რეჟიმსა და გარემო პირობებში აღნიშნული თვითმფრინავის ექსპლუატაციისას, ასევე შესაძლო პრევენციული ზომების განსაზღვრას აღნიშნული საფრთხეების შესამცირებლად.

ძირითადი ნაწილი

Tecnam P2008-ის ექსპლუატაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ფრენის სიჩქარის შეზღუდვები, რომლებიც განსაზღვრავენ საჰაერო ხომალდის სტრუქტურულ და საექსპლუატაციო ზღვრულ მნიშვნელობებს. შეზღუდვები დეტალურად არის აღწერილი მწარმოებლის ოფიციალურ სახელმძღვანელოებში [11]. მათი დაცვა კრიტიკულად

საყურადღებოა და აუცილებელია როგორც ნორმალურ, ისე არასტანდარტულ ფრენის პირობებში. ცხრილში 1 წარმოდგენილია შეზღუდვები სიჩქარეებისათვის კვანძებში (1კვ=1.852 კმ/სთ):

1. **VNE** (Never Exceed Speed) - არასდროს გადასაჭარბებელი სიჩქარე;
2. **VNO** (Normal Operating Speed) - ნორმალური სამუშაო სიჩქარე;
3. **VA** (Design Manoeuvring Speed) - მანევრირების გამოთვლილი სიჩქარე;
4. **VFE** (Flap Extended Speed) - მაქსიმალური სიჩქარე ფრთაუკანის გამოშვებული მდგომარეობისთვის. [4]

ცხრ. 1. სიჩქარის შეზღუდვები – Tecnam P2008

#	სიჩქარე	ინდიკატორული საჰაერო სიჩქარე KIAS	კალიბრირებული საჰაერო სიჩქარე KCAS	შენიშვნა
1	VNE	145	141	ამაზე მეტ სიჩქარეზე ფრენა დაუშვებელია ნებისმიერი ფრენის პირობების დროს
2	VNO	113	111	ამაზე მეტ სიჩქარეზე ფრენა დაშვებულია ფრთხილად მხოლოდ მშვიდ ატმოსფერულ პირობებში
3	VA	99	98	ამ სიჩქარეზე ზევით არ უნდა განხორციელდეს მკვეთრი ან სრული მართვის მოძრაობები
4	VFE	71	72	ფრენის სიჩქარე არ უნდა იქნეს გადაჭარბებული ფრთაუკანების ნებისმიერ პოზიციაზე ყოფნისას

აღნიშნული შეზღუდვების გათვალისწინება აუცილებელია ფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, **VNE**-ს გადაჭარბებამ შეიძლება გამოიწვიოს საჰაერო ხომალდის სტრუქტურული დაზიანება, რაც საფრთხეს შეუქმნის ეკიპაჟისა და მგზავრების სიცოცხლეს. ასევე, **VA** სიჩქარეზე ზემოთ მკვეთრი მანევრის შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფრთის გადატვირთვა ან კონტროლის დაკარგვა, რაც კრიტიკულ სიტუაციაში გადაიზრდება ავიაინციდენტად ან ავიაკატასტროფად [3].

ცხრილში 1 წარმოდგენილი მონაცემები პილოტისთვის წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელო საშუალებას ფრენის სწორი დაგეგმვისა და შესრულებისთვის. ამიტომაც, მათ საფუძვლიანად ცოდნას და მათი დაცვით ფრენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება Tecnam P2008-ის ტიპის საჰაერო ხომალდის უსაფრთხო ექსპლუატაციაში [12].

სამოქალაქო ავიაციის სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სახელმძღვანელო დოკუმენტებში [11] მოცემულია ნორმალური ოპერაციებისთვის რეკომენდებული საჰაერო სიჩქარეები. ცხრილში 2 წარმოდგენილია ეს სიჩქარეები Tecnam P2008-სათვის 630 კგ მასის პირობებში.

ცხრ. 2. Tecnam P2008- ის ნორმალური ოპერაციებისთვის რეკომენდებული საჰაერო სიჩქარეები კვანძებში (630 კგ მასის პირობებში)

სიჩქარის ტიპი	ფრთაუკანების მდგომარეობა	ინდიკატორული საჰაერო სიჩქარე (KIAS)
აფრენის სიჩქარე	T/O	48
ფრთაუკანების აკეცვის სიჩქარე	T/O	58
საუკეთესო ასვლის კუთხის სიჩქარე	0°	65
საუკეთესო ასვლის სიჩქარე	0°	71
დაფრენის სიჩქარე	T/O	58
საბოლოო დასაფრენი სიჩქარე	FULL	54
შეხების სიჩქარე	FULL	54
მანევრირების სიჩქარე	0°	99
არასდროს გადასაჭარბებელი სიჩქარე	0°	145

აუცილებელია სიჩქარეების მნიშვნელობის გათვალისწინება ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სტანდარტული ფრენის დროს სიჩქარეების ზუსტი ცოდნა და მათი დაცვა პილოტისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თითოეული სიჩქარე განსაზღვრულია კონკრეტული ეტაპისთვის და უკავშირდება თვითმფრინავის აეროდინამიკურ და სტრუქტურულ შესაძლებლობებს. მაგალითად, აფრენის სიჩქარე (VR) წარმოადგენს იმ მინიმალურ მნიშვნელობას, რომლის მიღწევის შემდეგ შესაძლებელია მართვადი აფრენა. ამ სიჩქარემდე ღერძულ მართვას უზრუნველყოფს წინა ბორბალი, ხოლო მის შემდეგ უკვე ელერონები და სიმაღლის საჭე. VR-ის დროზე ადრე ან დაგვიანებით მიღწევამ შეიძლება გამოიწვიოს აფრენის დროს წონასწორობის დაკარგვა. ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია საუკეთესო ასვლის სიჩქარეები VX და VY [5].

- VX წარმოადგენს იმ სიჩქარეს, რომლითაც თვითმფრინავი ყველაზე დიდი კუთხით იმაღლებს სიმაღლეს და განსაკუთრებით საჭიროა დაბალ ბარიერებთან ახლოს აფრენისას;
- VY კი იძლევა მაქსიმალურ ასვლის სიჩქარეს დროის ერთეულში და გამოიყენება სტანდარტულ აფრენებში.

საბოლოო დასაფრენი და შეხების სიჩქარეები (Final Approach და Touchdown Speed), რომლებიც სრულად გამოშვებული ფრთაუკანების პირობებში შეადგენს 54 KIAS-ს, აუცილებელია ზუსტი დაჯდომისთვის. ამ სიჩქარეზე დაბლა ფრენამ შეიძლება გამოიწვიოს ამწევი ძალის დაკარგვა საჰაერო ხომალდზე.

მანევრირების სიჩქარე (VA) და არასდროს გადასაჭარბებელი სიჩქარე (VNE) კი უზრუნველყოფენ თვითმფრინავის სტრუქტურულ გამძლეობას. მათი გადაჭარბება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული სიფრთხილით და მხოლოდ შესაბამის პირობებში.

მინიმალური საჰაერო სიჩქარე, რომლის ქვემოთაც თვითმფრინავი კარგავს წევის ძალას და გვერდითი ქარის ზეგავლენას.

საჰაერო ხომალდის მინიმალური საჰაერო სიჩქარე, რომლის ქვემოთ თვითმფრინავი კარგავს აეროდინამიკურ ამწევ ძალას და შემდგომში სტაბილურობას. დამოკიდებულია

რამდენიმე ფაქტორზე: წონაზე, ფრთაუკანების პოზიციაზე, დაგვერდებაზე. ცხრილში 3 მოცემულია სიჩქარეების მნიშვნელობები 630 კგ-ის მასის პირობებში [8].

ცხრ. 3. Tecnam P2008- ის მინიმალური საჰაერო სიჩქარე, რომლის ქვემოთაც თვითმფრინავი კარგავს წვევის ძალას ფრთაუკანების სხვადასხვა მდგომარეობაში

დაგვერდების კუთხე (°)	ფრთაუკანა 0°	ფრთაუკანას პოზიცია აფრენის რეჟიმში (T/O)	ფრთაუკანას პოზიცია დაფრენისას (FULL)
	KIAS ინდიკატორული საჰაერო სიჩქარე კვანძებში/KCAS კალიბრირებული საჰაერო სიჩქარე კვანძებში	KIAS ინდიკატორული საჰაერო სიჩქარე კვანძებში/KCAS კალიბრირებული საჰაერო სიჩქარე კვანძებში	KIAS ინდიკატორული საჰაერო სიჩქარე კვანძებში/KCAS კალიბრირებული საჰაერო სიჩქარე კვანძებში
0°	48 / 50	43 / 46	40 / 43
15°	49 / 51	44 / 46	41 / 44
30°	52 / 54	47 / 49	44 / 46
45°	58 / 60	52 / 54	49 / 51
60°	70 / 71	63 / 64	60 / 61

ქარის მოქმედების ზეგავლენის ანალიზი Tecnam P2008 ტიპის საჰაერო ხომალდის საექსპლუატაციო მახასიათებლებზე

Tecnam P2008 ტიპის საჰაერო ხომალდისთვის მწარმოებლის მიერ დადასტურებული მაქსიმალური გვერდითი ქარის კომპონენტია 15 კვანძი. ეს ნიშნავს, რომ განსაზღვრული პირობების ფარგლებში, თვითმფრინავი თავსებადია არა უმეტეს 15 კვანძი გვერდითი ქარის პირობებში აფრენისა და დაჯდომისას.

გვერდითი ქარის კომპონენტი (Crosswind Component) არის ძალის ის ნაწილი, რომელიც ზუსტად პერპენდიკულარულად მოქმედებს ბილიკის (runway) ღერძზე. რეალურად, ქარის მიმართულება შეიძლება იყოს ნაწილობრივ წინა, ნაწილობრივ გვერდითი, მაგრამ პილოტისთვის გადამწყვეტი არის ის კომპონენტი, რომელიც უშუალოდ „გვერდიდან უბიძგებს“ საჰაერო ხომალდს აფრენის ან დაშვებისას [9].

ფრენის დაგეგმვისას პილოტები იყენებენ შემდეგ პარამეტრებს:

- ქარის სიჩქარე და მიმართულება (მაგ., 230°, 15 კვანძი);
- ბილიკის მიმართულება (მაგ. 27 → 270°);
- ტრიგონომეტრიული მეთოდით გამოითვლება გვერდითი კომპონენტი (მაგ., $15 \cdot \sin(40^\circ)$).

ასევე გამოიყენება სპეციალური crosswind chart-ები ან ციფრული კალკულატორები, რაც სწრაფად აჩვენებს ზუსტ კომპონენტს და ამცირებს შეცდომის ალბათობას.

როდესაც გვერდითი ქარის სიჩქარე აღემატება თვითმფრინავის მიერ დაშვებულ ზღვარს:

- თვითმფრინავმა შეიძლება დაკარგოს ზუსტი ტრაექტორია აფრენის ან დაჯდომისას;
- საჭიროა პილოტის მაღალკვალიფიციური რეაქცია, მათ შორის მართვის ზედაპირების კონტროლი და სწორი კუთხის შენარჩუნება;
- სრიალის და დაგვერდების კუთხის ზრდა, რაც შეიძლება დასრულდეს ინციდენტით ან დაზიანებით;
- განსაკუთრებულად რთული ხდება (მსუბუქი) თვითმფრინავებისთვის, როგორიცაა Tecnam P2008, რადგან მასზე ქარის ზემოქმედება მეტია, ვიდრე მძიმე საჰაერო ხომალდებზე.

Tecnam P2008-ის პილოტებმა უნდა გაიარონ სპეციალური მომზადება, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. გვერდითი ქარის დაჯდომის ტექნიკა (Crosswind Landing Technique):

- *Sideslip approach* — თვითმფრინავის დახრა ქარის მიმართულებით და სიმაღლის/მიმართულების საჭის გამოყენება ტრაექტორიის შესანარჩუნებლად;
- *Crab method* — ფრენისას ცხვირის შემობრუნება ქარისკენ და ბილიკთან დაჯერებისას სწორი მიმართულების „გამართვა“.

2. სწორად უნდა მიემართოს ბილიკის ღერძზე, ისე რომ ქარი არ აფიქსირებდეს კურსზე გადახრას.

3. გადაწყვეტილების დროული მიღება:

თუ ქარის სიჩქარე აჭარბებს დასაშვებ ზღვარს პილოტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დაჯდომის გადადებაზე, ბილიკის შეცვლაზე ან ალტერნატიულ აეროდრომზე გადასვლაზე.

Tecnam P2008-ისთვის მაქსიმალური გვერდითი ქარის კომპონენტის ზღვარი 15 კვანძი წარმოადგენს კრიტიკულ მონაცემს, რომელიც პილოტებმა უნდა გაითვალისწინონ აფრენისა და დაჯდომის გადაწყვეტილებების მიღებისას. თუმცა, რეალურ პირობებში ის უნდა შეფასდეს ინდივიდუალური უნარების, ბილიკის მდგომარეობის, წონისა და სხვა ოპერაციული ფაქტორების გათვალისწინებით. სწორი ცოდნა და პრაქტიკა უზრუნველყოფს უსაფრთხო, სტაბილურ და ეფექტურ ფრენას [10].

Tecnam P2008 ტიპის საჰაერო ხომალდის სხვა საჰაერო ხომალდებთან შედარების ტექნიკური ანალიზი. Tecnam P2008-ის გამოყენება უმეტესად დაკავშირებულია საწყის საფრენოსნო მომზადებასთან, კერძოდ PPL (Private Pilot License) და CPL (Commercial Pilot License) კურსებთან. ამ მხრივ, მიზანშეწონილია მისი მახასიათებლების შედარება სხვა გავრცელებულ სასწავლო საჰაერო ხომალდებთან, როგორებიცაა:

- Cessna 172
- Diamond DA20 Katana
- Pipistrel SW121

ცხრ. 4. Tecnam P2008 ტიპის საჰაერო ხომალდის სხვა საჰაერო ხომალდებთან შედარების
ტექნიკური ანალიზი

საექსპლუატაციო პარამეტრი	Tecnam P2008	Cessna 172	Diamond DA20	Pipistrel SW121
ძრავი	Rotax 912 ULS (100 HP)	Lycoming O-320 (160 HP)	Rotax 912 (100 HP)	Rotax 912iS (100 HP)
მაქსიმალური ასაფრენი წონა	650 კგ	1111 კგ	800 კგ	600 კგ
სტრუქტურა	კომპოზიტი + ალუმინი	ალუმინი	კომპოზიტი	კომპოზიტი
ფრთაუკანები	ელექტრული	მექანიკური	მექანიკური	ელექტრული
არასდროს გადასაჭარბებელი სიჩქარე (VNE)	145 KIAS	160 KIAS	164 KIAS	138 KIAS
სიჩქარე, რომლის დაბლა ფრენამ შეიძლება გამოიწვიოს ამწვევი ძალის დაკარგვა (Stall)	~40 KIAS	~48 KIAS	~44 KIAS	~42 KIAS
ძირითადი გამოყენება	სწავლება/ ზოგადი დანიშნულება	სწავლება/ ტურიზმი	სწავლება	სწავლება/ეკო- ფრენა

პრინციპული განსხვავებები:

1. სტრუქტურა და მასა:

Tecnam P2008 გამოირჩევა მსუბუქი სტრუქტურითა და კომბინირებული მასალებით, რაც აძლევს მას უკეთეს ასვლის მახასიათებლებს დაბალ სიმაღლეებზე. Diamond და Pipistrel-ის მსგავსად, მას გააჩნია კომპოზიტური კორპუსი, რაც ზრდის ეფექტურობას და საწვავის ეკონომიას.

2. ძრავის მახასიათებლები:

მიუხედავად იმისა, რომ Tecnam P2008 იყენებს მხოლოდ 100 ცხენისძალიან Rotax ძრავს, მას აქვს საკმარისი სიმძლავრე სასწავლო ოპერაციებისთვის. Cessna 172 კი ძრავის სიმძლავრით უკეთესად მუშაობს მაღალი სიმაღლეების პირობებში, თუმცა მოიხმარს მეტ საწვავს და მძიმეა.

3. ავიონიკა და მართვა:

Tecnam P2008 აღჭურვილია Glass Cockpit ავიონიკით (GARMIN G3X), რაც სტუდენტს თანამედროვე სისტემებთან მუშაობას აჩვენებს. ამ მხრივ იგი უპირატესია ბევრ Cessna-ს მოდელზე.

4. ტექნიკური მომსახურების ჩატარების სპეციფიკა:

Tecnam P200-ის თანამედროვე დიზაინი და ROTAX ტიპის ძრავის სიმარტივე მას იდეალურ ვარიანტად აქცევს სასწავლო ფრენების შესასრულებლად [4].

დასკვნა

Tecnam P2008 თანამედროვე მსუბუქი თვითმფრინავის კლასს განეკუთვნება, რომელიც წარმატებით აერთიანებს ინოვაციურ კონსტრუქციულ გადაწყვეტილებებს, მოწინავე ავიონიკას და საწვავის დაბალ მოხმარებას. მისი ძირითადი უპირატესობები გამოიხატება როგორც ტექნიკურ მონაცემებში, ისე მრავალფეროვან ფრენის რეჟიმებში, რაც მას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის სასწავლო და სპეციალური საექსპლუატაციო ოპერაციებისთვის.

ტექნიკური მონაცემების მიხედვით, Tecnam P2008-ს აქვს მაქსიმალური კრეისერული სიჩქარე 128 კვანძი (237 კმ/სთ), რაც უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტურ გადაადგილებას. სიჩქარე, რომელზე დაბლა ფრენამ შეიძლება გამოიწვიოს ამწევი ძალის დაკარგვა საჰაერო ხომალდზე, ფრთაუკანების სრულად გამოშვების პოზიციაზე 39 კვანძია (72 კმ/სთ), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, როდესაც აფრენა და დაფრენა ხდება მოკლე მანძილებზე, რაც ზრდის ექსპლუატაციის მოქნილობას და შესაძლებლობას, გამოიყენოს მცირე ზომის აეროპორტები. აფრენის მანძილი 363 მ, ხოლო დაფრენის 382 მ, რაც როგორც მაღალი მანევრულობის, ისე ოპერაციული ეფექტურობის ნიშანია.

ფრენის რეჟიმების მიხედვით, Tecnam P2008 გამოირჩევა სტაბილურობით და მართვის სიმარტივით როგორც აფრენის, ისე კრეისერული ფრენისა და დაფრენის პერიოდში. აფრენის დროს მისი ჰიბრიდული კონსტრუქცია და ეფექტური ფრთაუკანები უზრუნველყოფენ სწრაფ და უსაფრთხო აფრენას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ავარიული სიტუაციების ალბათობას. კრეისერული ფრენის რეჟიმში თვითმფრინავის საწვავის მოხმარება დაბალია (17 ლიტრი/სთ), რაც ზრდის მისი გამოყენების ეკონომიურობას და უწყევს კონკურენციას ტრადიციულ მსუბუქ თვითმფრინავებს, როგორიცაა მაგალითად Cessna 172 და სხვა.

გარდა ამისა, Tecnam P2008-ს განსაკუთრებული უპირატესობაა ფრენისას გვერდით ქარზე რეაგირების მაღალი ხარისხი. მისი გაუმჯობესებული სტაბილიზატორები და ფრთების კონსტრუქცია უზრუნველყოფენ ოპტიმალურ კონტროლს ქარის მიმართ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მფრინავის დატვირთვას და ზრდის ფრენის უსაფრთხოების დონეს. ეს თვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საფრენოსნო სწავლების პროცესში, Tecnam-ის მარტივი და წინასწარ განსაზღვრული რეაგირება ხელს უწყობს უსაფრთხო და სტაბილურ ფრენას რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში.

ავიონიკის მხრივ, Tecnam P2008 აღჭურვილია მოწინავე G3X Dual Screen სისტემით, რომელიც ინტეგრირებულია მრავალფუნქციურ ინსტრუმენტებთან აჩვენებს რეალურ დროში აფრენის სიჩქარეს, სიმაღლეს, პოზიციას, მრავალ პარამეტრებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც ზრდის მფრინავის ცნობიერებას და არასტანდარტულ სიტუაციებზე რეაგირების შესაძლებლობას.

უსაფრთხოების კუთხით, Tecnam P2008-ს მარტივი მართვის სისტემა და მაღალი სტრუქტურული საიმედოობა ხელს უწყობს ფრენის სტაბილურობას და ამცირებს ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე შეცდომების ალბათობას. ასევე, მისი მსუბუქი კონსტრუქცია და ოპტიმიზებული აეროდინამიკური ფორმა მინიმუმამდე ამცირებს საფრთხეებს, რომლებიც დაკავშირებულია ფრენის დროს წონასწორობის დაკარგვასთან.

Cessna 172-სთან და სხვა მსგავსი ტიპის საჰაერო ხომალდებთან შედარებით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება საფრენოსნო სწავლებისას, Tecnam P2008 უზრუნველყოფს უფრო მაღალ ტექნოლოგიურ დონეს, საწვავის დაბალ მოხმარებას და უკეთეს მანევრულობას, განსაკუთრებით ფრენის სწრაფად ცვლებად და რთულ პირობებში, როგორიცაა ძლიერი ქარი და რთული მეტეოროლოგიური პირობები.

შეჯამების სახით, Tecnam P2008 წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო არჩევანს მსუბუქ თვითმფრინავთა კლასში, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე ავიაციის სწავლებისა და ოპერაციული უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებს. მისი ინოვაციური კონსტრუქცია, მოწინავე ავიონიკა და მაღალი რეაგირების უნარი გვერდით ქარის მიმართ აძლევს მას მნიშვნელოვან უპირატესობას კონკურენტუნარიან ბაზარზე და ხელს უწყობს თანამედროვე ავიაციის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Smith, John. „Impact of Light Aircraft Operational Characteristics on Flight Safety.“ *Journal of Aviation Safety*, Vol. 15, No. 3 (2022): 45-67.
2. Johnson, Eric. „Flight Safety Analysis of Light Sport Aircraft: A Case Study of Tecnam P2008.“ *Aviation Safety Journal*, Vol. 10, No. 1 (2023): 77-95.
3. Federal Aviation Administration. „Pilot’s Handbook of Aeronautical Knowledge.“ FAA, 2021.
4. EASA. „Type Certificate Data Sheet for Tecnam P2008.“ European Union Aviation Safety Agency, 2019.
5. Smith, John. „Impact of Light Aircraft Operational Characteristics on Flight Safety.“ *Journal of Aviation Safety*, Vol. 15, No. 3 (2022): 45-67.
6. Brown, Lisa. „Composite Materials in Modern Aircraft: Benefits and Risks.“ *Aerospace Engineering Review*, Vol. 12, Issue 4 (2023): 89-103.
7. Jones, Michael, და Anna Petrov. „Pilot Decision Making in Light Aircraft Operations.“ *International Journal of Aviation Psychology*, Vol. 27, No. 2 (2024): 123-140.
8. Johnson, Eric. „Flight Safety Analysis of Light Sport Aircraft: A Case Study of Tecnam P2008.“ *Aviation Safety Journal*, Vol. 10, No. 1 (2023): 77-95.
9. European Aviation Safety Agency. „Safety Recommendations for Single-Engine Piston Aircraft.“ EASA Report, 2022.
10. Williams, Sarah. „Pilot Training and Human Factors in Light Aircraft Operations.“ *Human Factors in Aviation*, Vol. 8, Issue 3 (2024): 45-62.
11. Tecnam Aircraft. „Tecnam P2008 Pilot Operating Handbook.“ Tecnam, 2021.
12. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. „მსუბუქი თვითმფრინავების რეგისტრაციისა და ექსპლუატაციის წესები.“ დირექტორის ბრძანება №28, 2024 წ. <https://gcaa.ge/wp-content/uploads/2025/04/Ultralight-Aircraft-Registration-and-Operation-Rules-GCAA.pdf>

Investigation and Analysis of the Operational Characteristics of the Tecnam P2008 Aircraft

Nika Tikanashvili¹, Tornike Tefnadze²

^{1,2}Georgian Aviation University

16 Ketevan Dedopali Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Abstract: *This article presents a comprehensive research and analysis of the operational characteristics of the Tecnam P2008 light aircraft, aiming to identify its key advantages and their impact on flight safety. The research is based on the aircraft's technical documentation, operational manuals, and an analysis of international regulatory standards.*

Within the scope of the study, critical flight and maneuvering parameters (VNE, VA, VX, VY) are examined to evaluate their influence on pilot decision-making and the mechanisms that ensure flight safety. A comparative analysis with the Cessna 172, Diamond DA20, and Pipistrel SW121 models confirms the Tecnam P2008's high efficiency, ease of control, and cost-effectiveness.

The results of the research demonstrate that the Tecnam P2008 fully complies with modern light aviation standards, combining technological innovation, operational economy, and a high level of flight safety. Its use is particularly recommended for the effective implementation for flight training.

Keywords: *Tecnam P2008, operational characteristics, flight safety.*

Fault Detection and Predictive Maintenance of the Aircraft Propeller System

Sergo Tepnadze¹, Vazha Kelikhashvili², Luka Kurdadze³

^{1, 2, 3} Georgian Aviation University

16 Ketevan Dedopali Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Abstract: *The article examines the significance and methodologies of predictive maintenance for aircraft propeller systems. The primary focus is on multisensor monitoring of key diagnostic parameters, including vibration, acoustic signals, torque, and temperature. Regular measurement and analysis of these parameters enable the early detection of malfunction indicators such as propeller imbalance, blade damage, shaft misalignment, and related anomalies. This proactive diagnostic approach enhances operational reliability, reduces unplanned maintenance, and supports the overall safety and efficiency of aircraft propulsion systems.*

Key words: *Aviation, propeller, predictive maintenance.*

Introduction

The aircraft propeller system plays a crucial role in generating thrust and ensuring efficient flight performance. Its proper functioning directly influences flight safety, fuel efficiency, and operational reliability. However, as a rotating mechanical component subjected to high dynamic loads: vibration, aerodynamic forces, and environmental stresses, the propeller system is prone to gradual wear, imbalance, fatigue cracks, and other degradation phenomena. Traditional maintenance strategies, such as scheduled (time based) maintenance often fail to detect early-stage faults, leading either to unnecessary maintenance interventions or unexpected failures that compromise safety and increase operational costs [2].

To address these limitations, predictive maintenance has emerged as a modern and intelligent approach for managing aircraft components. Predictive maintenance relies on continuous or periodic monitoring of the system's condition, analyzing measured parameters to forecast potential failures before they occur. In the case of propeller systems, the integration of vibration, acoustic, and performance data provides valuable insights into the mechanical and aerodynamic health of the system [1, 3]. Through advanced data acquisition and signal processing techniques, early signs of imbalance, bearing wear, or blade deformation can be detected long time before they become critical.

The implementation of predictive maintenance in aviation aligns with the broader concept of Condition-Based Maintenance (CBM), which aims to optimize the maintenance cycle based on actual system condition rather than fixed intervals. For propeller systems, condition monitoring can include vibration spectrum analysis, acoustic emission monitoring, and aerodynamic efficiency tracking. These parameters can be combined with machine learning or statistical models to predict the “Remaining Useful Life” of the component and to schedule maintenance actions proactively.

Overall, fault detection and predictive maintenance of aircraft propeller systems represent a significant advancement in the field of aviation engineering. The research and implementation of such approaches contribute not only to safety enhancement but also to cost efficiency and environmental sustainability. The

development of reliable diagnostic methodologies and prognostic models will play a key role in the evolution of next generation aircraft maintenance practices.

Main Part

Research Methodology

The research methodology for studying fault detection and predictive maintenance of the aircraft propeller system is designed to systematically identify, analyze, and predict degradation mechanisms through data driven diagnostics. The study combines experimental measurements, analytical modeling, and data analysis to develop a reliable framework for condition monitoring and early fault prediction.

The primary objectives of this research are:

- To identify the most sensitive measurable parameters that reflect propeller health conditions;
- To develop a methodology for early fault detection using vibration and acoustic signal analysis;
- To design a predictive model capable of estimating the remaining useful life (RUL) of the propeller system;
- To propose a structured predictive maintenance framework applicable to general aviation and light aircraft propulsion systems.

Research Plan

The research will be conducted in five sequential phases:

- Phase I - Literature Review and Theoretical Modeling; Identification of research gaps and development of the diagnostic concept;
- Phase II - Experimental Setup and Calibration; Installation and configuration of sensors, validation of measurement accuracy;
- Phase III - Data Collection; Recording vibration, acoustic, and performance data under normal and simulated fault conditions;
- Phase IV - Data Analysis and Model Development; Feature extraction, fault classification, and development of predictive algorithms;
- Phase V - Validation and Evaluation; Comparing predicted outcomes with actual fault data, refining models, and formulating the predictive maintenance strategy.

Sensors and Data Acquisition System


Effective fault detection and predictive maintenance of an aircraft propeller system depend on precise monitoring of its dynamic and structural parameters. Since the propeller operates under high mechanical and aerodynamic loads, reliable sensors are essential for detecting early-stage faults and performance degradation [4].

In this research, several types of sensors are considered to capture vibration, acoustic, torque, and temperature data. Accelerometers monitor structural vibrations and help identify imbalance, misalignment, or

bearing defects. Acoustic and pressure sensors record sound variations caused by aerodynamic or structural anomalies. Torque and rotational speed sensors evaluate the system's mechanical performance, while temperature sensors track thermal behavior of critical components.

Integrating these sensors within a unified data acquisition system enables multi parameter monitoring and advanced analysis [7]. The resulting dataset supports the development of predictive algorithms, allowing early fault detection and optimized maintenance planning for safer and more efficient propeller operation.

1. Dytran - Triaxial Accelerometer



2. Endevco - High-Intensity Acoustic Microphone



3. Kistler - Rotating Torque Sensor



4. Type K Thermocouple – Temperature Sensor




Fig. 1 Sensors and Data Acquisition System

A combination of accelerometers, microphones, torque sensors, and temperature sensors will be used to monitor aircraft propeller systems. These sensors capture vibration, acoustic emissions, mechanical load, and thermal behavior, providing the data necessary for early fault detection, condition monitoring, and predictive maintenance.

Conclusions

The study of fault detection and predictive maintenance for aircraft propeller systems highlights the importance of multi parameter monitoring to ensure safe and efficient operation. By integrating vibration, acoustic, torque, and temperature sensors into a unified data acquisition system, early-stage anomalies such as imbalance, blade defects, bearing wear, and performance degradation can be effectively identified [5, 6]. Signal processing and feature extraction provide the foundation for machine learning and predictive models, enabling estimation of Remaining Useful Life and optimized maintenance scheduling.

This approach not only enhances operational safety by reducing the likelihood of in-flight failures but also improves cost efficiency by minimizing unnecessary maintenance. The proposed framework demonstrates that a data-driven, sensor-based methodology is essential for modern propeller-driven aircraft, offering a practical path toward intelligent maintenance systems. Future work will focus on experimental validation and refinement of predictive algorithms to ensure robust performance under real operating conditions.

References:

1. Ozkat, E. C., et al. (2023). "A data-driven predictive maintenance model to estimate remaining useful life using vibration data collected from a multi-rotor UAS." *Proceedings of the Institution of Mechanical Engineers, Part G: Journal of Aerospace Engineering*;
2. Al-Haddad, L. A., et al. (2024). "UAV propeller fault diagnosis using deep learning of non-traditional features." *Scientific Reports*;
3. Mitici, M., et al. (2023). "Dynamic predictive maintenance for multiple components using sensor data." *Computers in Industry*;
4. Lee, S. (2025). "Propeller fault-detection method for electric-propulsion aircraft using motor-electric signals." *Journal of Manufacturing Processes*;
5. Sonmezocak, T., et al. (2025). "Intelligent UAV health monitoring: Detecting propeller and motor faults using machine learning." *Aerospace Science and Technology*;
6. Shen, S. C., et al. (2025). "A real-time diagnostic system using a long short-term memory network for ship propeller fault detection." *Sensors*;
7. Javadnejad, F., et al. (2025). "Predictive maintenance in naval vessel propulsion systems for enhanced marine operations using a BiGMM-HMM framework with divergence-based clustering." *Journal of Marine Science and Engineering*.

საჰაერო ხრახნის პროგნოზირებადი ტექნიკური მომსახურება

სერგო ტეფნაძე¹, ვაჟა კელიხაშვილი², ლუკა ქურდაძე³

^{1, 2, 3}საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზირი №16, 0103 თბილისი, საქართველო

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია საჰაერო ხრახნის სისტემის პროგნოზირებადი ტექნიკური მომსახურების მნიშვნელობა და მეთოდები. მთავარი აქცენტი გაკეთებულია კვლევის პროცესში საკვლევი პარამეტრების მრავალსენსორულ მონიტორინგზე, რომელიც მოიცავს ვიბრაციის, აკუსტიკური სიგნალების, მომენტისა და ტემპერატურის განსაზღვრას. აღნიშნული პარამეტრების რეგულარული აღრიცხვა და ანალიზი საშუალებას იძლევა წინასწარ გამოვლინდეს გაუმართაობის ნიშნები, როგორიცაა საჰაერო ხრახნის ბალანსის დარღვევა, ხრახნის დაზიანება, ლილვის დისბალანსი და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ავიაცია, საჰაერო ხრახნი, პროგნოზირებადი ტექნიკური მომსახურება.

ქალების შრომის უსაფრთხოების ინსტიტუციური მექანიზმები სამოქალაქო ავიაციის სამუშაო სივრცეში – საერთაშორისო გამოცდილება და რეგულირების პრიორიტეტები

დავით ალანია

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზ. №16, 0103, თბილისი, საქართველო

რეზიუმე: წინამდებარე კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიაში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის (OSH) ფარგლებში რისკების იდენტიფიცირებისა და შემდგომ მართვის ძირითადი გამოწვევები. ავიაციის ოპერაციები ხასიათდება მაღალი სიჩქარით, სირთულით და მუდმივი ცვლილებებით, რაც დამატებით აძნელებს საფრთხის იდენტიფიცირებას და ეფექტური რისკ-მენეჯმენტის განხორციელებას. კვლევა ცდილობს განსაზღვროს ორგანიზაციული პრაქტიკა, რომელიც გამოიყენება საფრთხეების ამოცნობისა და რისკების მართვის პროცესში. კვლევის ფარგლებში ფორმირდება შემთხვევის ანალიზი, რომელიც ასახავს ადამიანის ფაქტორის, ტექნოლოგიური ცვლილებების, მომზადების სისტემისა და რეგულაციების ურთიერთ გადაჯაჭვულობას, რაც ხშირად ხელს უშლის შრომის უსაფრთხოების ეფექტიანად უზრუნველყოფას. საბოლოოდ, კვლევის მიზანია გააშუქოს ისეთი პროაქტიური და ინტეგრირებული მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა უსაფრთხოებას წარმადობის შემცირების გარეშე.

კვლევამ გამოავლინა, რომ სამოქალაქო ავიაციაში ერთ-ერთი მთავარი სირთულე საფრთხეების სრულყოფილი იდენტიფიცირების შესაძლებლობაა, რაც განპირობებულია თვით სამუშაო გარემოს მუდმივი ცვალებადობითა და რთული სტრუქტურით. აღსანიშნავია რისკების აღქმის პროცესში არსებული კოგნიტური მიკერძოება, ფუნქციურ რგოლებს შორის კომუნიკაციის არაეფექტიანობა და ტექნოლოგიური ცვლილებების სწრაფი ტემპი. ეს პრობლემები კიდევ უფრო მძაფრდება რეგულაციებთან შესაბამისობის ნაკლებობით, არასრულფასოვანი სწავლებითა და არასისტემური ინციდენტების აღრიცხვის მექანიზმებით. კვლევა ხაზს უსვამს შრომის უსაფრთხოების რისკების მართვის გააქტიურებისა და გაერთიანებული სტრატეგიების დანერგვის აუცილებლობას, რაც მოიცავს განყოფილებებს შორის კოორდინაციას, მუდმივ ტრენინგებსა და კომუნიკაციის გაუმჯობესებულ არხებს. ეფექტური OSH პოლიტიკის უზრუნველსაყოფად აუცილებელია აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინება და სისტემური მიდგომების დანერგვა, რაც განაპირობებს როგორც შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, ისე რეგულაციებთან სრულ შესაბამისობას.

საკვანძო სიტყვები: შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა (OSH), რისკების იდენტიფიცირება, საფრთხის ამოცნობა, ადამიანის ფაქტორი ავიაციის უსაფრთხოებაში.

შესავალი

შრომის უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფციებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ქალების (მათ შორის ორსული და მეძუძური) უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ სექტორებში, სადაც სამუშაო გარემო სპეციფიკურ ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ რისკებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი ასეთი სფეროა სამოქალაქო ავიაცია, სადაც დასაქმებულთა ნაწილი ყოველდღიურად ექვემდებარება მრავალფეროვან საფრთხეს, მათ შორის მაღალ ხმაურს, ხანგრძლივ დგომას, ვიბრაციებს, ტემპერატურულ ცვლილებებსა და ფსიქო-ემოციურ სტრესს. აღნიშნული გარემოებები განსაკუთრებულად აზიანებს ორსული და მეძუძური ქალების ჯანმრთელობას, რასაც იწვევს როგორც უშუალო ფიზიკური ზემოქმედება, ასევე არასათანადო სამუშაო განრიგი და არასაკმარისი პროფილაქტიკური ზომები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში “Expectant and nursing mothers at work: A comparative study” (ILO, 2014), ხაზგასმულია, რომ აუცილებელია ინკლუზიური შრომის პოლიტიკის დამკვიდრება, რომელიც ორსულ და მეძუძურ ქალებს უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოთი. მითითებულია, რომ რისკის შეფასება უნდა იყოს ინდივიდუალური და გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული საქმიანობის სპეციფიკა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია სამოქალაქო ავიაციაში, სადაც გარემო ფაქტორები, როგორიცაა კოსმოსური გამოსხივება, წნევის ცვლილება, მაღალი ინტენსივობის ხმაური და ემოციური დატვირთვა, შეიძლება პირდაპირ იმოქმედოს როგორც ნაყოფის, ასევე დედის ჯანმრთელობაზე.

ძირითადი ნაწილი

სამოქალაქო ავიაციის სექტორში ორსული და მეძუძური ქალების დასაქმების დროს უსაფრთხოების საკითხი მხოლოდ ტექნიკურ ჭრილში არ განიხილება. იგი მოიცავს სამართლებრივ, ეთიკურ და ორგანიზაციულ კომპონენტებსაც. ICAO-ს (International Civil Aviation Organization) მიერ შემუშავებული უსაფრთხოების მართვის სისტემა (Safety Management System – SMS) პირდაპირ მიუთითებს იმ აუცილებლობაზე, რომ ავიაკომპანიებმა უნდა შეიმუშავონ და დანერგონ შიდა რეგულაციები, რომლებიც ითვალისწინებს დასაქმებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის ორსული და მეძუძური ქალების სპეციალურ პირობებს (ICAO, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ ICAO არ აწესებს კონკრეტულ რეგულაციებს ორსულებისთვის, ის ავალდებულებს ავიაკომპანიებს უზრუნველყონ უსაფრთხოების ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც მოიცავენ რისკის იდენტიფიკაციას, პრევენციასა და მონიტორინგს. ეს მიდგომა სრულად თავსებადია ILO-ს რეკომენდაციებთან, რომლებიც მოითხოვს უსაფრთხოების ინტეგრირებულ პოლიტიკას, მორგებულს ორსულთა საჭიროებებზე. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ სამუშაოს დიზაინი, განრიგი და პასუხისმგებლობები უნდა გადაიხედოს ორსულობის ან მეძუძურობის სტატუსის დადასტურებისთანავე.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის გერმანიაში, საფრანგეთსა და შვედეთში, მიღებულია მკაცრი რეგულაციები, რომლებიც ზღუდავენ ორსულების მონაწილეობას იმ სამუშაოებში, სადაც ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედება შესაძლებელია. განსაკუთრებით გამოირჩევა გერმანიის მაგალითი, სადაც არსებობენ ე.წ. „დაცული პოზიციები“

– სამუშაო ადგილები, რომლებიც წინასწარ შეფასებულია უსაფრთხოების კრიტერიუმებით და განკუთვნილია ორსული თანამშრომლებისთვის. ამ რეგულაციების ერთ-ერთი საყრდენი პრინციპია „წინასწარი გაფრთხილების პრინციპი“ (precautionary principle), რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საფრთხე ბოლომდე არ არის დასაბუთებული, მაინც მიღებულია პროფილაქტიკური ზომები.

სამოქალაქო ავიაციაში ასეთი მიდგომების დანერგვა ბევრ გამოწვევას უკავშირდება. ერთ-ერთი სირთულე არის თავად სამუშაოს მობილურობა და დინამიკა – ბორტგამცილებლები ხშირად იმყოფებიან სხვადასხვა კლიმატურ პირობებში, ახორციელებენ ღამის ფრენებს, ექვემდებარებიან დაღლილობასა და სტრესს, რაც ორსულობის პერიოდში განსაკუთრებით პრობლემურია. გარდა ამისა, როგორც წესი, ბორტპერსონალის შრომის განრიგი მოქნილია და ცვლილებებს ექვემდებარება დღიურად, რაც ართულებს რისკის წინასწარ შეფასებას. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექნიკური ზომების გატარება, არამედ ძლიერი ორგანიზაციული მხარდაჭერა – ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ჯანმრთელობის მონიტორინგის სისტემები და ალტერნატიული სამუშაო პოზიციების შეთავაზება.

საქართველოს შრომის კოდექსი ითვალისწინებს ზოგად პრინციპებს ორსული ქალების დასაქმების შესახებ, მათ შორის აკრძალულია მათი მონაწილეობა სამუშაოებში, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის. თუმცა კანონში არ არსებობს კონკრეტული მექანიზმები სამოქალაქო ავიაციის სპეციფიკის გათვალისწინებით. საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახური ახორციელებს ზოგად მონიტორინგს, მაგრამ ამ ეტაპზე არ არსებობს სპეციალიზებული სახელმძღვანელო ავიაციის სექტორისთვის, რაც ქმნის პრაქტიკულ ხარვეზებს რეგულაციების აღსრულებაში.

ILO ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რისკის შეფასება უნდა იყოს მუდმივი და მოიცავდეს როგორც ფიზიკურ გარემოს, ასევე სოციალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიოლოგიურ რისკებს, რაც სამოქალაქო ავიაციაში განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო ფრენების დროს. ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხე პანდემიის პირობებში კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მაგალითად, COVID-19-ის პერიოდში ორსული ბორტგამცილებლები აღმოჩნდნენ მაღალი რისკის ჯგუფში, რაც ნათლად წარმოაჩენს რისკის მენეჯმენტის სისტემების საჭიროებას.

სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების პოლიტიკაში ერთ-ერთი კრიტიკული კომპონენტია კომუნიკაცია. დასაქმებულებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები, ხოლო დამსაქმებლებს უნდა გააჩნდეთ მკაფიო პოლიტიკა, როგორ მოახდინონ რეაგირება ორსულობის სტატუსის გამოცხადების შემდეგ. საქართველოს რეალობაში ხშირია შემთხვევები, როცა დასაქმებულები თავს იკავებენ ორსულობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებისგან, შიშის გამო, რომ შესაძლოა დაკარგონ სამუშაო. ეს მიუთითებს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ კულტურული ბარიერების არსებობაზე, რომელთა დაძლევა სისტემურ ძალისხმევას მოითხოვს.

ევროპული სააგენტო შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის (EU-OSHA) 2020 წლის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ორსული ქალებისთვის აუცილებელია სპეციალური სამუშაო გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც რისკების თავიდან აცილებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში სამუშაოდან გათავისუფლების მოქნილ და დაცულ მექანიზმებს. ეს მიდგომა მიზნად ისახავს დედის და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის მაქსიმალიზაციას და თანხვედრაშია შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან.

ICAO-ს უსაფრთხოების მართვის დოკუმენტში (Safety Management Manual, Doc 9859) არ არის პირდაპირ მითითებული ორსულ თანამშრომლებზე, თუმცა უსაფრთხოების კულტურის

მნიშვნელობა და რისკზე ორიენტირებული მენეჯმენტი წარმოადგენს ძირითად საფუძველს, რომელზეც უნდა აიგოს ეროვნული პოლიტიკები. სწორედ ამ ფონზე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შეუძლია შეიმუშაოს დამატებითი რეგულაციები, რომლებიც შეესაბამება როგორც ICAO-ს ზოგად მოთხოვნებს, ისე ILO-ს სპეციფიკურ მითითებებს.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ სამოქალაქო ავიაციის სექტორის სპეციფიკური გარემო პირობები — როგორიცაა სამუშაოს მობილურობა, ხშირი ზეწოლა დროისა და მომსახურების ხარისხზე, შეზღუდული შესაძლებლობა დასვენებისთვის და გარემო გამოსხივების ზემოქმედება — განსაკუთრებით მწვავედ მოქმედებს იმ ქალთა ჯანმრთელობაზე, რომლებიც იმყოფებიან ორსულობის ან ლაქტაციის ფაზაში. ამ კონტექსტში აშკარად დგინდება, რომ ქალების ჯანმრთელობის დასაცავად საჭიროა ისეთი პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც არა მხოლოდ ტექნიკური სტანდარტების შესრულებას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობისადმი მგრძნობელ დამოკიდებულებას.

ინსტიტუციური ანალიზი აჩვენებს, რომ ICAO და ILO ვერ წარმოადგენენ ერთიანი სტანდარტის წყაროებს და ქმნიან იმ რეკომენდაციების ფონს, რომელზეც თითოეულ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოსაც, შეუძლია ააგოს შესაბამისი შიდა პოლიტიკა. აღნიშნული რეკომენდაციების რეალიზაცია პრაქტიკაში ხშირად ხვდება დაბრკოლებას ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა დასაქმებულების ინფორმირებულობის ნაკლებობა, შიდა რეგულაციების არარსებობა ან მოუმწიფებლობა, და ზოგჯერ კულტურული ბარიერები, რომლებიც კვლავაც ამკვიდრებენ სტიგმატიზაციას ორსულთან ან მეძუძურობასთან დაკავშირებული საჭიროებების მიმართ.

კვლევაში გამოვლენილი ძირითადი გამოწვევები — საფრთხეების არათანმიმდევრული იდენტიფიცირება, კოგნიტური მიკერძოება რისკების აღქმაში, ფუნქციურ რგოლებს შორის კომუნიკაციის დეფიციტი, ტექნოლოგიური ცვლილებების ტემპი და ამასთან დაკავშირებული დაუცველობა — ასახავს იმ სისტემურ პრობლემებს, რომლებიც უშუალოდ ზღუდავენ ეფექტური შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, შიდა ტრენინგების არასისტემური ხასიათი და ინციდენტების ანგარიშგების ნაკლები კულტურა ხელს უშლის რეალური რისკების სწორი აღქმასა და შესაფერის საპასუხო მექანიზმების ამოქმედებას.

სამოქალაქო ავიაციაში ქალების დაცვის პოლიტიკა ვერ იქნება მხოლოდ დადგენილი ნორმების შესრულებაზე ორიენტირებული — იგი უნდა გახდეს ღრმად ინტეგრირებული კულტურული კომპონენტი, რომელიც მოიცავს როგორც თანამშრომელთა მგრძნობელობის ამაღლებას, ისე პროცესების სისტემურ მონიტორინგს და მათში ადამიანზე მორგებული მიდგომის დანერგვას. ამას დაემატება უსაფრთხოების პროტოკოლების შინაარსობრივი გაფართოება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ორსული თანამშრომლებისთვის სამუშაო პოზიციების ადაპტაციას, ჯანმრთელობის მონიტორინგის სქემების დანერგვას და ინდივიდუალურად მორგებული რისკ-ანალიზის პრაქტიკას.

გარდა ამისა, დასკვნის ფორმირებას ავსებს სტრუქტურული რეკომენდაციები: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ რეკომენდირებულია შეიმუშაოს შიდა რეგულაციების პაკეტი, რომელიც დაფუძნებული იქნება ICAO-ს უსაფრთხოების მართვის

სახელმძღვანელოზე და ILO-ს სოციალური დაცვის სტანდარტებზე. ეს რეგულაციები უნდა იქნეს მორგებული ქართულ შრომით და საკანონმდებლო კონტექსტზე, მაგრამ მათ საფუძველში უნდა იდოს საერთაშორისო გამოცდილება, რათა ეროვნული პოლიტიკა არ ჩამორჩეს გლობალურ ტენდენციებს.

საბოლოოდ, შრომის უსაფრთხოების სისტემა სამოქალაქო ავიაციაში არ შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვანად, თუკი იგი არ მოიცავს ქალების ჯანმრთელობის დაცვის ქვეპოლიტიკას. ეს უნდა გახდეს იმ ინსტიტუციური პასუხისმგებლობის ნაწილი, რომელიც გამიჯნავს ფორმალურ შესაბამისობას რეალურ დაცულობასთან. ქალის ჯანმრთელობა ამ სექტორში არ წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდუალურ პრობლემას — იგი პირდაპირ კავშირშია თვით ორგანიზაციული მდგრადობის, ხარისხიანი მომსახურების და უსაფრთხოების საერთო დონესთან.

ამრიგად, ქალების ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები სამოქალაქო ავიაციაში საჭიროებს არა მხოლოდ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ჩარჩოს გაუმჯობესებას, არამედ სისტემური ცვლილებების დანერგვას, რომელიც ეფუძნება პრევენციის, ინფორმირების, რეგულირების და მორგებული მიდგომის პრინციპებს. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ისეთი შრომითი გარემოს შექმნა, რომელიც იქნება უსაფრთხო, ინკლუზიური და მდგრადი — როგორც ქალი თანამშრომლებისთვის, ასევე მთლიანად სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. International Labour Organization (ILO). (2014). Expectant and nursing mothers at work: A comparative study. Geneva: ILO.
2. International Civil Aviation Organization (ICAO). (2018). Safety Management Manual (Doc 9859), 4th Edition. Montreal: ICAO.
3. European Agency for Safety and Health at Work (EU-OSHA). (2020). Pregnant workers and occupational health and safety: A policy overview.
4. International Labour Organization (ILO). (2022). Guidelines on Occupational Safety and Health Management Systems (ILO-OSH 2001).
5. ICAO. (2022). Annex 19 to the Convention on International Civil Aviation — Safety Management.
6. EU-OSHA. (2016). Risk assessment and pregnant workers: Good practices and legal provisions in the EU.
7. Kanki, B. G., Helmreich, R. L., & Anca, J. M. (2010). Crew Resource Management (2nd Ed.). Academic Press.
8. Stolzer, A. J., Halford, C. D., & Goglia, J. J. (2016). Safety Management Systems in Aviation (2nd Ed.). Ashgate.
9. Salas, E., Maurino, D., & Curtis, M. (2010). Human Factors in Aviation. Academic Press.
10. Bailey, L. L., & Merritt, A. C. (2021). Human Performance in Aviation: Applying Human Factors for Safety. CRC Press.
11. OECD. (2021). Occupational Health and Safety Policies for a Resilient Future of Work.
12. Mellor, N., & Webster, J. (2013). Workplace mental health: Policy and practice. International Review of Psychiatry.
13. European Commission. (2017). Directive 92/85/EEC – Pregnant workers and workers who have recently given birth or are breastfeeding.
14. Federal Aviation Administration (FAA). (2020). Aviation Safety Action Program (ASAP) Reporting Guidelines.
15. EASA (European Union Aviation Safety Agency). (2019). EASA Annual Safety Review. Cologne: EASA.
16. Hollnagel, E. (2014). Safety-I and Safety-II: The Past and Future of Safety Management. Ashgate.

Institutional Mechanisms for Women's Occupational Safety in the Civil Aviation Workplace: International Experience and Regulatory Priorities

Davit Alania

Georgian Aviation University

16 Ketevan Dedopali Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Abstract: *The purpose of this study is to examine the key challenges associated with risk identification and subsequent management within the framework of Occupational Safety and Health (OSH) in the civil aviation industry. Aviation operations are characterized by high speed, complexity, and constant change, all of which further complicate hazard identification and the implementation of effective risk-management practices. The research seeks to determine the organizational practices employed in the process of hazard recognition and risk control. A case analysis is developed to illustrate the interdependence among human factors, technological change, training systems, and regulatory frameworks—factors that often hinder the effective assurance of occupational safety. Ultimately, the study aims to highlight proactive and integrated approaches that safeguard employee well-being without compromising operational performance.*

The findings indicate that one of the principal difficulties in civil aviation is the ability to fully identify hazards, a challenge rooted in the dynamic nature and complex structure of the working environment itself. Notable issues include cognitive biases in risk perception, ineffective communication among functional units, and the rapid pace of technological transformation. These problems are further exacerbated by regulatory non-compliance, insufficient training, and fragmented incident-reporting mechanisms. The study underscores the necessity of strengthening risk-management processes and adopting unified strategies, including enhanced interdepartmental coordination, continuous training, and improved communication channels. Ensuring an effective OSH policy requires addressing these challenges and implementing systemic approaches that support both improved occupational safety and full regulatory compliance.

Keywords: *Occupational Safety and Health (OSH), risk identification, hazard recognition, human factors in aviation safety.*

საჰაერო ხომალდის აირტურბინული ძრავებში შემავალ ჰაერის ნაკადში შერეული უცხო სხეულების მახასიათებლების ანალიზი, კლასიფიკაცია და მათი ძრავაში მოხვედრის პრევენციის გზები

რობერტ ხაჩიძე¹, ანდრო მაისურაძე²

^{1,2} საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზირი №16, 0103 თბილისი, საქართველო

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია საჰაერო ხომალდების (თვითმფრინავები, ვერტმფრენები) საექსპლუატაციო პირობები, რომელთა დროსაც მათ ძრავებში ხდება უცხო მყარი ნაწილაკები (მტვერი, ქვიშა და სხვა) და იწვევს მათ დაზიანებას. შესწავლილია ძრავაში მოხვედრილი მყარი ნაწილაკების მახასიათებლები (ზომები, მასები, სიმკვრივები, აბრაზიულობა და სხვ.), რომლებიც განსაზღვრავენ ძრავის შემადგენელი ნაწილების (კომპრესორი, ტურბინა და სხვ.) დაზიანების სახეობასა და ხარისხს. შემოთავაზებულია ამ დაზიანებათა შემცირებისა და პრევენციის გზები.

საკვანძო სიტყვები: საჰაერო ხომალდი, ძრავა, ჰაერის ნაკადი, უცხო სხეული, მყარი ნაწილაკი, ძრავის დაზიანება

შესავალი

ცნობილია, რომ საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის სხვადასხვა პირობებში მათ ძრავებში შესაძლოა მოხვდეს ისეთი უცხო სხეულები, როგორიცაა მტვერი, ქვიშა, ასფალტის, ბეტონის და ყინულის ნატეხები, ვულკანური ფერფლი და სხვა. თითოეული მათგანის ძრავაში მოხვედრის მიზეზები, პროცესები და თვითონ ამ სხეულების მახასიათებლები განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ისევე როგორც მათი ძრავაში მოხვედრით გამოწვეული დაზიანების სახეობები და საფრთხის დონეები. ცხადია, ეკონომიკური ზარალია ამ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო საჰაერო ხომალდის დაზიანებული ძრავის იძულებითი მოხსნა, რემონტი და კვლავ დაყენება საჰაერო ხომალდზე, რადგან ეს მოითხოვს მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს მისი მფლობელი ავიაკომპანიისაგან [1].

უცხო სხეულების მოხვედრა საჰაერო ხომალდის ძრავაში ძირითადად ხდება მისი მიწის ზედაპირზე აფრენისწინა მოძრაობის, აფრენის, დაფრენისა და დაფრენის შემდეგი მოძრაობისას (სურ.1). თვითმფრინავებისთვის ეს პროცესები ხდება სხვადასხვა სტანდარტული აეროდრომებზე ან იშვიათად არასტანდარტული ან არაბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლების შემთხვევაში.



სურ. 1 მტვრიანი გარემოს მაგალითები თვითმფრინავის აფრენისა და დაფრენის დროს

სხვა სიტუაციაა ვერტმფრენების შემთხვევაში, რადგან ვერტმფრენებს ხშირად უწევთ მოუწესრიგებელი მიწიდან აფრენა და მიწაზე დაფრენა განსაკუთრებულ პირობებში [2].

გარდა ამისა ვერტმფრენის მბრუნავი ხრახნის პროპელერის ფრთები ქმნიან ჰაერის ტურბულენტურ მოძრაობას, რაც დამატებით იწვევს ვერტმფრენის გარშემო მტვრიანი გარემოს შექმნას (სურ. 2), საიდანაც მის ძრავაში ხვდება ჭარბი რაოდენობის მტვერი და ქვიშა, ასევე სხვა უცხო ნაწილაკები.



სურ. 2 ვერტმფრენის ექსპლუატაციის მაგალითები მიწის ზედაპირთან ახლოს მტვრიან და ქვიშიან გარემოში

უცხო სხეულების მოხვედრა საჰაერო ხომალდის ძრავაში უფრო იშვიათად ხდება მათი კრეისერული ფრენის რეჟიმში მაღალ სიმაღლეებზე. ამ დროს ძრავაში შეიძლება მოხვდნენ (ძალზე იშვიათად) ზოგიერთი სახეობის ფრინველი (მაგალითად, კანადური ბატი) ან ვულკანური ფერფლი.

ძირითადი ნაწილი

უცხო სხეულებიდან, რომლებიც შეიძლება მოხვდნენ საჰაერო ხომალდის ძრავაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია მტვერსა და ქვიშას. მტვერი ორგანული ან მინერალური წარმოშობის წვრილი მყარი ნაწილაკებია, რომლის ზომები მერყეობს დაახლოებით 0,1 მიკრონიდან 0,1 მილიმეტრამდე. უფრო მეტი ზომის მყარი ნაწილაკები (5 მმ-მდე) წარმოადგენენ ქვიშას. ქვიშა წვრილნამსხვრევი ფხვიერი მთის დანალექი ქანია, რომელიც შედგება კვარცის, კირქვის, დოლომიტის, მინდვრის შპატის და ქარსის მარცვლებისაგან. იგი ასევე შეიცავს თიხისა და მტვრის ნაწილაკებს.

მტვრისა და ქვიშის გარდა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე ვულკანურ ფერფლს. ვულკანების ამოფრქვევისას ამოიფრქვევა ცხელი მაგმა, რომლისგანაც გამოიყოფა გარკვეული რაოდენობის ფერფლი და გაიტყორცნება მაღალ სიმაღლეზე, რომელზეც შეიძლება გადიოდეს თვითმფრინავის ეშელონური მოძრაობა. თუ თვითმფრინავის ძრავაში მოხვდება დიდი რაოდენობის ფერფლი, ძრავა შეიძლება გაჩერდეს. ასე მოხდა 1982 წელს ინდონეზიის თავზე, სადაც ახორციელებდნენ ფრენას British Airways-ის და Singapore Airways-ის კომპანიების ლაინერები, ასევე 1989 წელს ალიასკის თავზე. ბრიტანული აეროპლანის ოთხივე ძრავა გაითიშა, მხოლოდ ერთი ამუშავდა ბოლო მომენტში [3].

ქვიშას სხვა მრავალ თვისებათა შორის გააჩნია მრავალი გამორჩეული თვისება, რომელთაგან განსაკუთრებულია შემდეგი:


- რაიმე ჭურჭელში (მაგ. ძაბრში) ჩაყრილი ქვიშის გამოიხატება ჭურჭლის ნახვრეტიდან არ არის დამოკიდებული ჭურჭელში ქვიშის ფენის სიმაღლეზე ანუ რაოდენობაზე - ერთიდაიგივე ქვიშა ჭურჭლის ნახვრეტიდან გამოიხატება თანაბრად და ერთიდაიგივე სიჩქარით (ეს თვისებაა ქვიშის საათის მუშაობის საფუძველი);
- ქვიშა წყალგამტარია. რაც უფრო მსხვილია ქვიშის ნაწილაკები, მით უფრო სწრაფად ატარებს წყალს. ამავე დროს ის ატარებს მხოლოდ წყალს და არ ატარებს მასში არსებულ მინარევებს. ამ პრინციპზე მუშაობს ფილტრების უმრავლესობა;
- ქვიშას ახასიათებს გაბნევადობა. სუფთა და მშრალი ქვიშა არ ჩერდება დახრილ ზედაპირზე, მაშინ როცა სველი ქვიშის ნაწილაკებს გააჩნია ურთიერთშეჭიდულობის შესანიშნავი უნარი, რაც ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში;
- ქვიშა არ იკუმშება. ქვიშის ეს თვისება გამოიყენება წნევის წარმოსაქმნელად და გასანაწილებლად. თუ ჭურჭელში ჩავყრით მშრალ ქვიშას მასზე დაწოლის შემთხვევაში წნევა გადაეცემა როგორც ჭურჭლის ფსკერს, ისე გვერდებს, მაშინ, როცა სველი ქვიშის შემთხვევაში წნევა გადაეცემა მხოლოდ ფსკერს;
- ქვიშა აბრაზიულია, რაც განპირობებულია მასში კვარცის (SiO_2) უმეტესი შემცველობით (არანაკლებ 75%-სა).

სწორედ ჩამოთვლილიდან ქვიშის ამ უკანასკნელი თვისების გამოა საშიში მისი მოხვედრა ძრავაში.

ძრავაში მოხვედრილი მტვრისა და ქვიშის ნაწილაკების გარკვეული რაოდენობა აზიანებს მის ნაწილებს, განსაკუთრებით კომპრესორის ნიჩბებს, ასევე დიფუზორს, შუბლა ნაწილს, ტურბინის ნიჩბებს და სხვა კომპონენტებს, რომელთაც გარს ევლება მტვრისა და ქვიშის შემცველი დიდი ფარდობითი სიჩქარის მქონე ჰაერის ნაკადი.

ძრავას დაზიანება ძირითადად გამოიხატება მისი ნაწილების თანდათან მატებად ეროზიაში, ასევე მექანიკურ დაზიანებებში, რაც საბოლოოდ ამცირებს აირტურბინული საავიაციო ძრავების მარგი ქმედების კოეფიციენტს.

ეროზიის გარდა აირტურბინული ძრავაში აღდგენილი აქვს წვის კამერაში მოხვედრილი ნაწილაკების გადნობასა და მათ მიწებებას მის კედლებზე, ასევე ტურბინის ნიჩბებზე. აბრაზიული ნაწილაკების დიდი სიჩქარით დაჯახება ძრავს შემადგენელ ნაწილებზე, პირველ რიგში კომპრესორისა და ტურბინის ნიჩბებზე, იწვევს მათ მექანიკურ დაზიანებებს (სურ. 3).



სურ. 3 აირტურბინული ძრავებში მოხვედრილი ნაწილაკების მოხვედრით გამოწვეული დაზიანებების მაგალითები (კომპრესორისა და ტურბინის ნიჩბები)


საჰაერო ხომალდების ეროზიის ხარისხი და დონე დამოკიდებულია რამდენიმე პარამეტრზე, მათ შორის ისეთებზე, რომლებიც ქვემოთ არის განხილული.

ა) საჰაერო ხომალდის ძრავის მუშაობის ხანგრძლივობა მტვრისა და ქვიშის შემცველ გარემოში.

ეს პარამეტრი თითოეული ტიპის საჰაერო ხომალდებისათვის განსზღვრულია შესაბამისი ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტებით მათი საექსპლუატაციო პირობებისათვის. მაგალითად, თვითმფრინავებისათვის, რომლებიც სარგებლობენ სტანდარტული აეროდრომებით, მათი აეროდრომზე მოძრაობისა და აფრენისა და დაფრენის პროცესების ხანგრძლივობები დადგენილია აფრენა-დაფრენის სტანდარტული ციკლით [4], რომელთა დაცვაც სავალდებულოა (სურ. 4). როგორც სურათიდან ჩანს, ასეთ შემთხვევაში საჰაერო ხომალდის ძრავის მუშაობის ხანგრძლივობა შეადგენს 29 წუთს. ფრენის დანარჩენი დრო ეთმობა ეშელონირებასა და საკრეისერო ფრენას, რა დროსაც გარემო სუფთაა უცხო სხეულებისაგან.

სხვაგვარადაა საქმე ვერტმფრენების შემთხვევაში, რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აფრენა-დაფრენის დროს თვითონ დამატებით ქმნიან დამტვერიანებულ გარემოს საკმაოდ მაღალ


სიმაღლემდე. გარდა ამისა ხშირ შემთხვევაში ისინი ასრულებენ ფრენებს საგანგებო და განსაკუთრებულ პირობებში, სადაც მათ უწევთ თავისი ნამუშევარი დროის თითქმის 15-25% ნაწილის განმავლობაში მუშაობა [5, 6].



სურ. 4 თვითმფრინავის აფრენა-დაფრენის სტანდარტული ციკლი

ბ) ჰაერში შერეული მყარი ნაწილაკების კლასიფიკაცია, მათი ეფექტური ზომები და მასები.

მტვრისა და ქვიშის კლასიფიკაცია საკმაოდ რთულია (განსაკუთრებით მტვრის), რადგან ბუნებაში არ არსებობს ერთი და იგივე ფორმისა და ზომის მტვრის ან ქვიშის ნაწილაკები. ასევე მრავალგვარია მათი შემადგენლობა, მასა და წარმოშობის წყაროები. სურ. 5-ზე მაგალითისათვის წარმოდგენილია მყარი ნაწილაკების გადიდებული ნიმუშები ახლო აღმოსავლეთის უდაბნოებიდან.




სურ. 5 ახლო აღმოსავლეთის უდაბნოებიდან აღებული ქვიშის ნიმუშის ნაწილაკების გადიდებული ფოტო


როგორც სურათიდან ჩანს, ქვიშის შემადგენელ ნაწილაკებს შეიძლება გააჩნდეთ მრავალგვარი ფორმა და ზომა, რომელთა მიხედვით მათი ზუსტი კლასიფიკაცია შეუძლებელია. საინჟინრო გათვლების ჩასატარებლად მიღებულია მათი წარმოდგენა ექვივალენტური სფერული ფორმის ნაწილაკის სახით, რომელსაც გააჩნია ისეთივე ფიზიკური თვისებები, როგორიც ორიგინალს. ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას დაჯგუფდეს მტვრის/ქვიშის ნაწილაკები მათი ფიზიკური მახასიათებლების გარკვეული დიაპაზონების მიხედვით. მაგალითად, ჰაერში არსებული მცირე მყარი ნაწილაკები, რომლებიც წარმოიშობა სამშენებლო ინდუსტრიის ობიექტებზე და ვრცელდება ატმოსფეროში და რომელთა მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში საზიანოა მისი ორგანიზმისათვის, ზომის მიხედვით ძირითადად ორი ჯგუფად იყოფა: PM₁₀, რომელთა ეფექტური დიამეტრი შეადგენს 10 მკ-ს ან ნაკლებს, და PM_{2.5}, რომელთა ეფექტური დიამეტრი შეადგენს 2,5 მკ-ს და ნაკლებს. საერთოდ მტვრის ნაწილაკების ზომები, როგორც წესი, მერყეობს 0.1-დან 100 მიკრონამდე.

ზოგადად, მტვერი არის პოლიდისპერსიული არასტაბილური სისტემა, რომელიც შეიძლება იყოს ორგანული, არაორგანული ან შერეული წარმოშობის. წარმოშობის მიხედვით მათი ქიმიური შემადგენლობა შეძლება იყოს სხვადასხვაგვარი და გააჩნდეთ სხვადასხვა მახასიათებლები: დისპერსიულობა, სიმკვრივე, კუთრი ზედაპირი, მიწებების უნარი, სიფხვიერე, ჰიგროსკოპულობა, ტენშემცველობა, აბრაზიულობა და სხვა [7].

მტვრის ან ქვიშის ნაწილაკების მახასიათებლები, რომლებიც ხვდებიან საჰაერო ხომალდის ძრავაში, შეიცავს მათი ზომებისა და ფორმების გარკვეულ დიაპაზონს. სურ. 6, 7-ზე წარმოდგენილია ილუსტრაცია ქვიშაში მასების მიხედვით პროცენტული შემცველობის დამოკიდებულება მისი ნაწილაკების ეფექტურ დიამეტრზე ქვიშის ნიმუშებში, რომლებიც აღებულია მსოფლიოს ექვსი სხვადასხვა ადგილიდან [2].



სურ. 6 მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებიდან აღებული ქვიშის ნიმუშები



სურ. 7 ქვიშის ნაწილაკების მასური განაწილება მათი ეფექტური დიამეტრების მიხედვით

როგორც სურათებიდან ჩანს მეტ-ნაკლებად კარგი თანხვედრაა ნიმუშებისათვის - Synthetic, A2, A3, A4 ნიმუშებისათვის, ხოლო C1 და B1 ნიმუშებისათვის მნიშვნელოვნად განსხვავებულია როგორც ერთმანეთისაგან, ისე სხვა დანარჩენისაგანაც.

საჰაერო ხომალდის ძრავაში მოხვედრილი უცხო სხეულებიდან წარმოდგენილ სტატიაში არ განიხილება ფრინველები, რადგან ისინი არ წარმოადგენენ მყარ სხეულებს (მათში წყალი დაახლოებით 70-74%-ია), მათი მოხვედრა ძრავაში იშვიათია და ერთეულ შემთხვევებს წარმადგენს, თუმცა მათი მასა იმდენად დიდია ზემოთგანხილული ქვიშის ნაწილაკებზე, რომ დიდი ფარდობითი სიჩქარის გამო ძრავის პროპელერის ნიჩბებზე მათ დაჯახებას აქვს ძლიერი დამაზიანებელი ეფექტი [8,9].

გ) ჰაერში შერეული ქვიშისა მინერალოგიური შემადგენლობა და სიმკვრივე;

ქვიშა ზომების მიხედვით პირობითად იყოფა სამ ჯგუფად: მსხვილი (2,5-3,5 მკ), საშუალო (2-2,5 მკ), წვრილი (2 მკ-მდე).

მინერალური შედგენილობის მიხედვით ქვიშა არსებობს კვარციანი, გლაუკონიტ-კვარციანი, მინდვრის შპატიან-კვარციანი, ქარსიანი და სხვა.

საშუალო ხარისხის ბუნებრივი ქვიშა (სამშენებლო სამუშაოებში გამოყენების თვალსაზრისით) შეიცავს მტვრისა და თიხის გარკვეულ ნაწილს (არაუმეტეს 3%-სა). დაბალი ხარისხის ქვიშაში თიხოვანი და მტვროვანი ნაწილაკების რაოდენობა ძირითადად 5 %-ის ფარგლებშია, ხშირად კი 8-12 %-ს აღწევს, ხოლო დანარჩენი ნაწილი შეიცავს: SiO_2 -ს (75-85 %), Al_2O_3 -ს (3-12 %), Fe_2O_3 -ს (0.5-2 %), CaO -ს (0.3-2 %-ს), MgO -ს (0.1-1.5 %-ს) და SO_3 -ს (0.2-1 %).

ქვიშას ახასიათებენ ორგვარი სიმკვრივით: ყრილი სიმკვრივით და ნამდვილი სიმკვრივით. კვარცის (SiO_2) ქვიშის ყრილი სიმკვრივე მერყეობს 1300 – 1500 კგ/მ³ დიაპაზონში, ხოლო ნამდვილი სიმკვრივე - 2650 - 2750 კგ/მ³ დიაპაზონში [10].

როგორც კვლევებითაა დადგენილი [11-13], ზემოაღნიშნული მყარი ნაწილაკების დეტექტირებითა და მათი თვისობრივი მახასიათებლების (აბრაზიულობა, დნობადობა და სხვა) გათვალისწინებითა და რაოდენობრივი მახასიათებლების (მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია ნაკადში, შერეული ნაწილაკების საშუალო სიმკვრივე და მასური ხარჯი) გაზომვით შესაძლებელია დადგინდეს დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ძრავაში მოხვედრილი მყარი ნაწილაკების მასა და პერიოდული შედარება კრიტიკულ მასასთან.

დასკვნა

მიუხედავად მყარი ნაწილაკების საჰაერო ხომალდების ძრავაში თავიდან აცილების სხვადასხვა მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების არსებობისა, მტვერი/ქვიშა არის ისეთი რამ, რისი ძრავაში მოხვედრის 100%-იანი თავიდან აცილებაც დღემდე ვერ ხერხდება, თუმცა შესაძლებელია ამ ნაწილაკების მახასიათებლების დადგენის საფუძველზე გაიზომოს ძრავაში მოხვედრილი მყარი ნაწილაკების მასა და მოხდეს მისი პერიოდული შედარება კრიტიკულ მასასთან. თუ ძრავაში მოხვედრილი მყარი ნაწილაკების მასის გაზომილი სიდიდე მიაღწევს კრიტიკულ მასას, ძრავა უნდა მოიხსნას ექსპლუატაციიდან მისი გარემონტების მიზნით, თუნდაც ეს მოხდეს ძრავას ტექნიკური მომსახურების რეგლამენტით დადგენილ ვადაზე ადრე, რათა არ გამოვიდეს იგი მწყობრიდან და შენარჩუნებული იქნას მისი საექსპლუატაციო მაჩვენებლები.

მადლიერება: კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-24-4684, ჰაერსატარ მოწყობილობებში მრავალკომპონენტური მყარი ნაწილაკების შემცველი ნარევი ნაკადების მახასიათებლების კვლევა, მათი გაზომვისა და დეტექტირების ეფექტური მეთოდოლოგიის დამუშავება].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “О проблеме попадания посторонних предметов в двигатель летательного аппарата“, АВИАЦИЯ, ПОНЯТНАЯ ВСЕМ, 2012, <https://avia-simply.ru>;
2. N. M. Bojdo, “Rotorcraft Engine Air Particle Separation”, School of Mechanical, Aerospace & Civil Engineering, 2012;
3. „Как вулканический пепел останавливает двигатели самолетов?“, Центр ФОБОС, 2010, <https://www.meteovesti.ru/news>);
4. ICAO, DOC 9889, 2020;
5. А. С. Гишваров, Р. Р. Аитов, А. М. Айтумбетов. “Исследование эффективности пылезащитных устройств вертолетных газотурбинных двигателей”, сб. Науч. Тр. Уфа. УГАТУ. ISSN 1992-6502. 2015;
6. Д.В. Павленко, Я. В. Двирник. “Закономерности изнашивания рабочих рабочих лопаток компрессора вертолетных двигателей, эксплуатирующихся в условиях запыленной атмосферы”, ISSN 1727-0219 Вестник двигателестроения №1.2016;
7. <https://fakel-f.ru/blog/01-04-18>;
8. Ahmed F. El-Sayed, „Bird Strike in Aviation: Statistics, Analysis and Management“, 2019;
9. R. Khachidze, A. Maisuradze, G. Tsutskiridze. „Analysis of The Statistics of Injuries Caused by Birds Getting into The Engine When They Collide with Aircraft and Estimation of The Costs to be Incurred for Their Elimination“, „Air Transport“, ISSN 1512- 4916, #1(17) 2023;
10. “Характеристики и свойства песка: основные параметры песка.” *Gruntovozov.ru*, accessed October 8, 2025. <https://gruntovozov.ru/chasto-zadavayemiye-voprosy/svoystva-peska>;
11. Yang, Shaoping, et al. “Characterization of Sand and Dust Particles for Turbomachinery Erosion Testing.” *Journal of Engineering for Gas Turbines and Power* 135, no. 6 (2013);
12. SAE International. *Aerospace Particle Separation and Filtration Systems*. Warrendale, PA: SAE International, 2018;
13. R. Khachidze, A. Maisuradze, V. Kelikhashvili. “Ways of measuring the number of foreign particles in the gas turbine engine air intake”, „Air Transport“, ISSN 1512- 4916, #1(16) 2022.

Analysis and Classification of Foreign Object Characteristics in the Airflow Entering Aircraft Gas-Turbine Engines, and Strategies for Preventing Their Ingestion

Robert Khachidze¹, Andro Maisuradze²

^{1,2}Georgian Aviation University

16 Ketevan Dedopali Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Abstract: *The paper examines the operational conditions of aircraft (airplanes and helicopters) under which foreign solid particles (dust, sand, and others) enter their engines and cause damage. The characteristics of solid particles ingested into the engine, such as size, mass, density, abrasiveness, and other properties—are analyzed, as these parameters determine the type and extent of damage sustained by engine components (including the compressor, turbine, and other parts). The study also proposes methods for reducing and preventing such damage.*

Keywords: *Aircraft, engine, airflow, foreign object, solid particle, engine damage.*

ნანოტექნოლოგიები და თანამედროვე ავიაშენებლობა

გელა ოთარაშვილი¹, ზურაბ საბაშვილი², კონსტანტინე ხახანაშვილი³

^{1,2,3} საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0160,

საქართველო, თბილისი, კოსტავას 77

რეზიუმე: ნაშრომში აღნიშნულია, რომ ავიაციის განვითარების ახალი დონის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორიც არის ნანოტექნოლოგიები. ამას საფრენი აპარატების განვითარების განსაკუთრებული მოთხოვნები განაპირობებს. თანამედროვე მსოფლიოში ავიაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალურ ეკონომიკაში. ამ კონტექსტში, ნანოტექნოლოგია ხდება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ავიაციის განვითარების მომავალზე. ნანოტექნოლოგია გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობებს მასალებისა და კომპონენტების სრულყოფისათვის, რაც იწვევს საფრენი აპარატების ეფექტურობისა და უსაფრთხოების ზრდას. მას ასევე შეუძლია შეამციროს ავიაციის გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება და უზრუნველყოს ინდუსტრიის უფრო მდგრადი განვითარება. სტატიაში წარმოდგენილია ნანოტექნოლოგიების ავიაციაზე გავლენის მიმოხილვა და ანალიზი, ამ სფეროში მიმდინარე მიღწევებისა და მათი გამოყენების პოტენციური პერსპექტივები. ნანოტექნოლოგია არის მეცნიერებისა და ტექნიკის სფერო, რომელსაც ეხება მასალებისა და სტრუქტურების მართვა ნანომასშტაბურ დონეზე. ასეთი მასშტაბი ნიშნავს, რომ შესასწავლი და შესაქმნელი ობიექტების ზომები ნანომეტრების დიაპაზონშია.

საკვანძო სიტყვები: ნანოტექნოლოგია, ნანოკომპოზიტი, ნანომილაკი, გრაფენი.

ძირითადი ნაწილი

ნანომასალების გამოყენება საავიაციო კონსტრუქციებში მნიშვნელოვანი ფაქტორია ავიაციის ეფექტურობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ნანოკომპოზიტები გამოიყენება მასალების თვისებების გასაუმჯობესებლად, მათ შორის ფართოდ გამოყენება ნახშირბადპლასტიკები. ნანომასალები ხელს უწყობს საავიაციო მასალების სიმტკიცის ზრდას და კუთრი წონის შემცირებას, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას უფრო მსუბუქი და მტკიცე საფრენი აპარატები. ნანონაწილაკების გამოყენება სტრუქტურულ კომპონენტებში ხელს უწყობს საფრენი აპარატების წონის შემცირებას, რაც იწვევს საწვავის მოხმარებისა და გამონახოლქვის შემცირებას და აუმჯობესებს გარემოსდაცვით მაჩვენებლებს. ნანოკომპოზიტები ასევე აძლიერებს მასალების მდგრადობას მაღალი ტემპერატურისა და ექსტრემალური პირობების მიმართ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურბინის ძრავებისა და სხვა სისტემებისთვის. ნანოტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელია თვითწმენდადი ზედაპირების შესაქმნელად,

რომლებიც ამცირებენ ყინულისა და სხვა დამაბინძურებლების ადჰეზიას თვითმფრინავის ზედაპირებზე [1].

არსებობს ნანომასალების მრავალი განსხვავებული ტიპი, რომელთაგან თითოეულს გააჩნია უნიკალური თვისებები. წარმოვადგინოთ მათი რამდენიმე ძირითადი ტიპი და მახასიათებელი:

1. ნანონაწილაკები (ნანოფხვნილები): ეს პატარა ნაწილაკებია, რომელთა ზომა ერთეულებიდან - რამდენიმე ასეულ ნანომეტრამდე მერყეობს. მათი ძირითადი თვისებებია დიდი ზედაპირული აქტივობა, მაღალი რეაქციულობა და სპეციფიკური ოპტიკური თვისებები.

2. ნანოკრისტალები: ეს არის კრისტალური მასალები ნანოსკოპიური სტრუქტურით. მათი თვისებები განსხვავდება უფრო დიდი კრისტალების თვისებებისგან, მათ შორის მექანიკური, ოპტიკური და ელექტრონული მახასიათებლებით.

3. ნანოკომპოზიტები: ეს მასალები შედგება ნანონაწილაკებისა და სხვა მასალების კომბინაციისგან. მაგალითად, ნანომილაკებით გამტკიცებული ნახშირბადის კომპოზიტები გამოირჩევიან განსაკუთრებული სიმტკიცით და სიმსუბუქით.

4. ნანომილაკები: ეს არის ცილინდრული ნანომასშტაბიანი სტრუქტურები, რომლებიც ჩვეულებრივ ნახშირბადისგან მზადდება. სტრუქტურიდან გამომდინარე არიან გამტარები ან ნახევარგამტარები, ხასიათდებიან მაღალი სიმტკიცითა და დრეკადობის მოდულით.

5. ნანოფირები: ნანომეტრული სისქის თხელი ფირები, რომლებიც გამოიყენება ელექტრონიკასა და სენსორებში.

6. კვანტური წერტილები: ეს არის ნანოზომითი ნახევარგამტარული სტრუქტურები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ოპტიკასა და ფოტონიკაში. მათი ოპტიკური თვისებები დამოკიდებულია მათ ზომასა და შემადგენლობაზე.

7. ნანოსითხეები: სითხეები ნანონაწილაკების შემცველობით, რომლებსაც აქვთ შეცვლილი თბოფიზიკური და ელექტრომაგნიტური თვისებები. ისინი გამოიყენება გაგრილების სისტემებში, შეზეთვასა და სხვა მრავალ სფეროში.

ნანომასალები ხასიათდებიან გაუმჯობესებული მექანიკური, ელექტრონული, ოპტიკური და ქიმიური თვისებებით. ისინი ხასიათდებიან მაღალი ზედაპირული აქტივობით, რითაც ისინი აუმჯობესებენ კატალიზისა და სორბციის პროცესებს. თუმცა, ნანომასალებთან მუშაობისას, გასათვალისწინებელია მათი პოტენციური რისკები ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსთან დაკავშირებით, ასევე დაცული უნდა იქნას შესაბამისი უსაფრთხოების ზომები.

ნანოტექნოლოგია გამოიყენება მასალების შესაქმნელად, რომლებსაც შეუძლიათ შეამცირონ ხმაური და ვიბრაცია თვითმფრინავში, რაც აუმჯობესებს მგზავრობის კომფორტს. ნანოსენსორებით შესაძლებელია მონიტორინგის სისტემების შექმნა, რომლებიც რეალურ დროში დააფიქსირებენ მასალებში დაზიანებისა და ცვეთის პროცესს.

ავტომატიზირებული სისტემებისა და რობოტიზირებული ტექნოლოგიების დანერგვა წარმოებაში აუმჯობესებს წარმოების სიზუსტეს და სიჩქარეს, ამავდროულად ამცირებს შეცდომებისა და დეფექტების ალბათობას. 3D - ბეჭდვით შესაძლებელია შეიქმნას რთული დეტალები და კომპონენტები, რომელთა რეალიზებაც რთულია ტრადიციული მეთოდებით, რაც

თავის მხრივ ზრდის პროექტირების მოქნილობას და ამცირებს ტექნოლოგიური პროცესის დროს. ნანომილაკებისა და სხვა გამამტკიცებელი ნანოსტრუქტურული მასალისგან დამზადებულ კომპოზიტებს გააჩნიათ მაღალი სიმტკიცის, დრეკადობის მოდულისა და მსუბუქი წონის მაჩვენებლები.

ინფუზიური ჩამოსხმის ტექნოლოგია საშუალებას იძლევა შეიქმნას დიდი ფორმისა და რთული აღნაგობის კომპოზიტური დეტალები, მათ შორის ფრთებისა და სამართავი სისტემების ჩათვლით, რომლებიც მაღალი სიმტკიცითა და მცირე წონით გამოირჩევიან. კომპოზიტების მიღების თანამედროვე მეთოდებისა და მასალების მაღალტემპერატურული დამუშავების შედეგად უმჯობესდება მათი მექანიკური თვისებები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი დატვირთვებისა და მაღალ ტემპერატურულ რეჟიმში მომუშავე კონსტრუქციებისთვის.

ნანოგამდიდრებული დანაფრების ზედაპირები ჰიდროფობიური თვისებებით ხასიათდებიან, რაც მათ უფრო წყალამრიდ თვისებებს ანიჭებს, ამით ამცირებს ტენიანობის დაგროვებისა და ყინულის წარმოქმნის ალბათობას ისეთ კრიტიკულ ზედაპირებზე, როგორიცაა ფრთები და სტაბილიზატორები [1]. დანაფრები ასევე იცავს თვითმფრინავს დამაბინძურებლებისა და ჭვარტლის დაგროვებისგან, ამცირებს რეგულარული წმენდისა და მოვლა-პატრონობის საჭიროებას. ნანოგამდიდრებული დანაფარი ასევე შეიძლება სპეცილურად დაპროექტდეს თვითმფრინავის გასწვრივ ჰაერის ნაკადის შესაცვლელად, რათა შემცირდეს წინაღობის ძალები და გაუმჯობესდეს აეროდინამიკური მახასიათებლები.

ნანოტექნოლოგიას ავიაძრავთმშენებლობაში შეუძლია მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიტანოს, განსაკუთრებით მსუბუქი და მძლავრი ტურბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი ძრავების შემუშავებაში. ნანომასალების გამოყენება, როგორიცაა ნახშირბადის ფუძეზე შექმნილი ნანოკომპოზიტები, საშუალებას იძლევა შეიქმნას მაღალი სიმტკიცისა და მცირე წონის მქონე ძრავის კომპონენტები. ეს ამცირებს კონსტრუქციის წონას და ზრდის მათ ეფექტურობას. ძრავის კომპონენტების გაუმჯობესებული მექანიკური თვისებები მიიღწევა ალუმინის, ტიტანისა და ნიკელის ფუძეზე დამზადებული ნანოკომპოზიტების გამოყენებით. ასეთი მასალების გამტკიცების მექანიზმი რამდენიმე ფაქტორზეა დაფუძნებული [2]. პირველ რიგში, ნანონაწილაკები დისლოკაციის მოძრაობის საწინააღმდეგო ეფექტურ ბარიერებს წარმოადგენენ, რაც ოროვანის მექანიზმის მიხედვით მასალების დენადობის ზღვარის ზრდას იწვევს. მეორეც, ნანონაწილაკების მაღალი კუთრი ზედაპირი ხელს უწყობს მატრიცასთან კოჰერენტული და ნახევრად კოჰერენტული საზღვრების ფორმირებას, რაც ზრდის პლასტიკური დეფორმაციისთვის საჭირო ენერგიას. მაგალითად, ალუმინის ოქსიდის (Al_2O_3) ნანონაწილაკების ალუმინის შენადნობებში შეყვანა 20-30%-ით ზრდის სიმტკიცის ზღვარს, ამავდროულად ნარჩუნდება პლასტიკურობა. ეს აიხსნება იმით, რომ 20-50 ნმ ზომის Al_2O_3 ნანონაწილაკები თანაბრად ნაწილდება ალუმინის მატრიცის მარცვლების საზღვრების გასწვრივ, რაც ხელს უშლის მათ ზრდას და მოძრაობას, ამასთან ხელს უშლის დიდი აგლომერატების წარმოქმნას, რომლებიც შეიძლება დამაბულობის კონცენტრაციის წყაროებად იქცნენ.


ძრავის კომპონენტების თერმული მდგრადობის ზრდა მიიღწევა ცირკონიუმის ოქსიდზე (ZrO_2) დაფუძნებული ნანოსტრუქტურული თერმობარიერული დანაფარის გამოყენებით [3].

ასეთი დანაფარის ეფექტურობა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში, ნანოსტრუქტურულ ZrO_2 -ს მნიშვნელოვნად დაბალი თბოგამტარობა აქვს მიკროსტრუქტურულ ანალოგთან შედარებით, ნანოკრისტალიტების საზღვრებზე ფონონების გაფანტვის ზრდის გამო. მეორეც, ნანოსტრუქტურა ზეპლასტიურობის საშუალებას იძლევა მაღალ ტემპერატურებზე, რაც უზრუნველყოფს თერმული დამაბულობების რელქსაციას და ზრდის თერმოციკლირებისადმი მდგრადობას. გარდა ამისა, დანაფარის სტრუქტურაში ნანოზომითი ფორები ჟანგბადის ეფექტური დამჭერების ფუნქციას ასრულებს, რაც ანელებს დანაფარის ჟანგვით პროცესებს. კვლევები გვიჩვენებს, რომ 100-200 მკმ სისქის ნანოსტრუქტურული თერმობარიერული დანაფარის გამოყენებას შეუძლია ლითონის ტურბინის ნიჩბების საექსპლუატაციო ტემპერატურა 50 - 100°C - ით შეამციროს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათი მუშაობის ვადას, ცოცხადობისა და ჟანგვის პროცესების შენელების ხარჯზე [4].

ასევე დიდ ინტერესს იწვევს გრაფენისა და ნახშირბადის ნანომილაკების გამოყენების შესაძლებლობა საავიაციო მრეწველობაში და მათი პოტენციური საჰაერო ხომალდების მახასიათებლებისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

კონსტრუქციების წონის შემცირება ნახშირბადის ნანომილაკებსა და გრაფენზე დაფუძნებული ნანოკომპოზიტების გამოყენებით მიიღწევა ამ ნანომასალების უნიკალური თვისებების წყალობით [5]. ნახშირბადის ნანომილაკებს აქვთ განსაკუთრებით მაღალი სიმტკიცე - წონის თანაფარდობა: მათი კუთრი სიმტკიცე შეიძლება 100 - ჯერ მეტი იყოს, ვიდრე ფოლადის. ეს განპირობებულია ნახშირბადის ატომებს შორის ძლიერი კოვალენტური ბმებით და ნანომილაკების თითქმის სრულყოფილი კრისტალური სტრუქტურით. როდესაც ნახშირბადის ნანომილაკები (ნნმ) შეჰყავთ პოლიმერულ ან ლითონის მატრიცაში, ისინი ეფექტურად აღიქვამენ და აწილებენ დატვირთვას მათი მაღალი ასპექტური თანაფარდობის (სიგრძისა და დიამეტრის თანაფარდობა) გამო, რომელმაც შეიძლება 1000 ან მეტს მიაღწიოს [6] [7].

გრაფენი წარმოადგენს ნახშირბადის ორგანოზომილებიან ნანოალოტროპს, რომლის სისქე ერთი ატომით განისაზღვრება და ჰექსაგონალური მესერი გააჩნია. სურ. 1



სურ. 1 გრაფენი

მისი მახასიათებლებია:

სიმტკიცე. როდესაც გრაფენი ორ ფენად იკეცება, მიიღება დიამენი, რომელიც ტყვიის დარტყმასაც კი უძლებს.

მოქნილობა. ეს თვისება განპირობებულია გრაფენის ორგანოზომილებიანი სტრუქტურით; ის უფრო მოქნილია ვიდრე რეზინი.

თბო და ელექტროგამტარობა. მისი თბო და ელექტროგამტარობა სპილენძს 6 - ჯერ აღემატება.

ოპტიკური სისუფთავე. გრაფენი თითქმის უფეროა და 97%-ით გამჭვირვალე, შთანთქავს ხილული სინათლის მხოლოდ 2%-ზე ოდნავ მეტს.


ნახშირბადის ნანომილაკი, (შემოკლებით ნნმ) ნახშირბადის ალოტროპული მოდიფიკაციაა, რომელიც წარმოადგენს ღრუ ცილინდრულ სტრუქტურას, რომლის დიამეტრი 0,4 ნმ - იდან 100 ნმ - მდე, სიგრძე 1 მიკრომეტრიდან 100 მიკრომეტრამდეა და გრაფენის იდეალური ჰექსაგონალური ბადის დახვევის შედეგად მიღებულ გამჭოლ მილას წარმოადგენს. ის ფოლადზე 100 - ჯერ მტკიცე და 6 - ჯერ მსუბუქია. სახეობიდან გამომდინარე აქვს როგორც ნახევარგამტარის ასევე ლითონის თვისებები. სურ. 2

ნანოდანამატის სახით გამოყენებული გრაფენი და ნახშირბადის ნანომილაკები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საბაზისო მასალის თვისებებს, მათ შორის სიმტკიცეს და ცვეთამდეგობას. ეს ზრდის თვითმფრინავების ოპერატიულ შესაძლებლობებსა და უსაფრთხოებას.

გრაფენსა და ნახშირბადის ნანომილაკებს შეუძლიათ შეამცირონ საჰაერო ხომალდების წონა მათი დაბალი სიმკვრივის, 1.9 გ/სმ³-ის გამო, რაც 1.5-ჯერ ნაკლებია ვიდრე ალუმინის. ეს აუმჯობესებს თვითმფრინავების აეროდინამიკას და მანევრირების უნარს.

გრაფენს აქვს მაღალი ელექტროგამტარობა, რაც ამცირებს თვითმფრინავების მეხით დაზიანების ალბათობას. ეს კი აუმჯობესებს ფრენის უსაფრთხოებას.

თავისი თერმული თვისებებით, გრაფენსა და ნახშირბადის ნანომილაკებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ საფრენი აპარატის ზედაპირის გაყინვა დაბალ ტემპერატურებზე, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.



სურ. 2 ნახშირბადის ნანომილაკი

ნანომასალები ასევე შეიძლება გამოვიყენოთ გაუმჯობესებული სითბოგადაცემისა და თბოიზოლაციის მქონე ზედაპირების შესაქმნელად, რაც ხელს უწყობს მრავში წვისა და გაგრილების ეფექტურობის ზრდას. მრავის ცალკეული კომპონენტების თბოგამტარობის გაუმჯობესება მიიღწევა პოლიმერულ კომპოზიტებში ნახშირბადის ნანომილაკების (ნნმ) დამატებით [8]. გაუმჯობესებული თბოგამტარობა ეფუძნება პოლიმერულ მატრიცაში (ნნმ)-ებით პერკოლაციური ბადის ფორმირებას. კრიტიკული კონცენტრაციის (როგორც წესი, 0.5-2 მოცულობითი%) მიღწევის შემდეგ, (ნნმ)-ები ქმნიან უწყვეტ სითბოგადაცემ გზებს. (ნნმ)-ების ღერძულმა თბოგამტარობამ შეიძლება მიაღწიოს 3000-6000 W/(m·K)-ს, რაც ჯეროვნად აღემატება პოლიმერების თბოგამტარობას (0.1-0.5 W/(m·K)). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ეფექტისთვის აუცილებელია (ნნმ)-ების თანაბარი განაწილებისა და თბური ნაკადის მიმართულებით მათი ორიენტაციის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა სპეციალიზებული დისპერგირებისა და ორიენტაციის მეთოდების გამოყენებით.

მინიატურიზებული ნანოსენსორებისა და ნანოელექტრონიკის ინტეგრირებით რეაქტიულ მრავებში შესაძლებელია მათი მუშაობის მუდმივი მონიტორინგი და კონტროლი, რაც ზრდის მათ საიმედოობას და ამცირებს საწვავის მოხმარებას. გარდა ამისა, ნანომასალების გამოყენება შესაძლებელია უფრო ეფექტური კატალიზატორების შესაქმნელად, რაც აუმჯობესებს წვის პროცესს და ამცირებს მავნე გამონაბოლქვს.

ნანოტექნოლოგია ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ელექტრონიკასა და ავიონიკაში. ის საშუალებას იძლევა შეიქმნას კომპონენტები და სტრუქტურები ნანომასშტაბურ დონეზე, რაც იწვევს ელექტრონული მოწყობილობების მუშაობისა და ფუნქციონალურობის გაუმჯობესებას. ნანოტექნოლოგიის გამოყენებით მცირდება ინტეგრალური სქემების ელემენტთა ზომები, რაც ზრდის ინტეგრაციის სიმკვრივეს და მოწყობილობის მუშაობის სიჩქარეს. ნანომასალებისა და ნანოსტრუქტურების გამოყენება ხელს უწყობს ელექტრონული მოწყობილობების, განსაკუთრებით მობილური მოწყობილობებისა და ელემენტების ენერგომოხმარების შემცირებას.

ნანოტექნოლოგია საშუალებას იძლევა შეიქმნას უნიკალური თვისებების მქონე მასალები, როგორიცაა კვანტური წერტილები, რომლებიც აუმჯობესებენ ელექტრონიკის მუშაობას. ასევე შეიქმნას მიკრო და ნანომასშტაბიანი მოწყობილობები, მათ შორის ნანორობოტები, ნანოსენსორები და მაღალხარისხიანი დისკლები, რაც ხელს შეუწყობს უფრო კომპაქტური და ფუნქციონალური ელექტრონული სისტემების განვითარებას.

საერთო ჯამში, ნანოტექნოლოგიას უზარმაზარი პოტენციალი აქვს თანამედროვე ელექტრონიკის ტრანსფორმაციისთვის. მინიატურიზაცია საშუალებას იძლევა შეიქმნას უფრო მცირე ზომის ელექტრონული კომპონენტები და სისტემები, რაც თავის მხრივ შეამცირებს თვითმფრინავის წონას, საწვავის მოხმარებას და გააუმჯობესებს ფრენის ეფექტურობას. კომპაქტური და მძლავრი ელექტრონული სისტემები უზრუნველყოფს ფრენის უფრო ზუსტ კონტროლს და მონიტორინგს, აუმჯობესებს ავიაციის უსაფრთხოებას. თანამედროვე ნანომასალები და წარმოების ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა შეიქმნას უფრო საიმედო კომპონენტები, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარება დაზიანებასა და გაუმართაობას.

მინიატურული ელექტრონული სისტემები ხელს უწყობენ თვითმფრინავის სამართავი სისტემების ავტომატიზაციას, ამცირებენ პილოტების სამუშაო დატვირთვას და აუმჯობესებს ფრენის უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ნანოტექნოლოგიისა და მინიატურული სენსორების საშუალებით შესაძლებელია უფრო ზუსტი და სწრაფი ნავიგაციის სისტემების შექმნა, ფრენის დროის შემცირება და მარშრუტის ოპტიმიზაცია.

ნანოკომპოზიტების გამოყენებით უმჯობესდება თვითმფრინავის კონსტრუქციისა და კოსმოსური აპარატების სიმტკიცე და ექსპლუატაციის ხანგრძლივობა.

ნანოტექნოლოგია ასევე საშუალებას იძლევა შეიქმნას უფრო ზუსტი და მგრძნობიარე სენსორები და დეტექტორები, რომლებსაც შეუძლიათ თვითმფრინავის მდგომარეობის უწყვეტი მონიტორინგი და პოტენციური პრობლემების შესახებ გაფრთხილება.

თუმცა, რიგ შემთხვევებში ავიაშენებლობაში ნანოტექნოლოგიების დანერგვა შეშფოთებას იწვევს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მათი ზემოქმედების კუთხით. შედეგად, საჭიროა დამატებითი კვლევები და შესაბამისი უსაფრთხოების ზომების შემუშავება პოტენციური რისკების მინიმიზაციისთვის.

ასევე ნანოტექნოლოგიის დანერგვა მოითხოვს კვლევისა და წარმოების ხარჯებს, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ბარიერი იყოს ავიაშენებლო კომპანიებისთვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. გარდა ამისა, უნდა შემუშავდეს სტანდარტები და რეგულაციები ნანომასალებისა და მათი გამოყენების უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ნანოტექნოლოგიების დანერგვა ავიაშენებლობაში ბევრ მოსალოდნელ უპირატესობასა და გამოწვევას გვთავაზობს.

ერთ-ერთი მთავარი სარგებელი წარმოების პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გაუმჯობესებაა. ნანოტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს შევქმნათ მასალები უნიკალური თვისებებით - მაღალი სიმტკიცით, სიმსუბუქით და ექსტრემალური პირობებისადმი მდგრადობით. ამ მიდგომით შესაძლებელია გავაუმჯობესოთ საჰაერო ხომალდების წარმადობა და ეფექტურობა, გავზარდოთ აეროდინამიკური მახასიათებლები.

გარდა ამისა, ნანოტექნოლოგიის დანერგვას შეუძლია გააუმჯობესოს თვითმფრინავების კონსტრუქციების უსაფრთხოება და საიმედოობა. გაუმჯობესებული მექანიკური და ქიმიური თვისებების მქონე მასალების შექმნა თვითმფრინავებს უფრო მდგრადს ხდის სხვადასხვა ზემოქმედების მიმართ, როგორცაა დარტყმები და კოროზია. ეს ხსნის ახალ ინოვაციურ პერსპექტივებს საავიაციო სისტემებისა და კომპონენტებისთვის.

მომავალში, ავიაშენებლობაში ნანოტექნოლოგიების კვლევისა და განვითარების საკითხები შეიძლება რამდენიმე ასპექტზე იყოს ორიენტირებული.

I. ეს გულისხმობს ახალი ნანომასალების შემუშავებას გაუმჯობესებული თვისებებით, როგორცაა სიმტკიცე, ექსტრემალური პირობებისადმი მდგრადობა და გაუმჯობესებული აეროდინამიკა. ეს მოიცავს ახალი ნანოკომპოზიტების, ნანოკერამიკის, ნანომილაკებისა და სხვა სტრუქტურების შექმნას.

II. კვლევა შეიძლება ფოკუსირებული იყოს ნანომასალების წარმოების პროცესების გაუმჯობესებაზე და მათ ინტეგრაციაზე საავიაციო კონსტრუქციებში. ეს შეიძლება მოიცავდეს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორიცაა ნანოიმპრინტინგი, ნანოლითოგრაფია და ნანოსკანირება, უფრო ეფექტური და ეკონომიური წარმოების მეთოდების შესაქმნელად.

III. მნიშვნელოვანია ნანომასალების გარემოსთან ურთიერთქმედების შესწავლა პოტენციური რისკების დასადგენად და შესაბამისი უსაფრთხოების ზომების შესამუშავებლად. ასევე აუცილებელია ახალი ფუნქციონალური თვისებების მქონე მასალების შემუშავების გაგრძელება, როგორიცაა თვითაღდგენის, თვითწმენდისა და ფორმის შეცვლის უნარი. ეს ახალ შესაძლებლობებს ქმნის ინოვაციური საავიაციო სისტემებისა და კომპონენტების შესაქმნელად.

საჭიროა კვლევების ჩატარება ავიაშენებლობაზე ნანოტექნოლოგიების ეკონომიკურ და სოციალურ გავლენასთან დაკავშირებით. ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი, სამუშაო ადგილებისა და საზოგადოებაზე ზემოქმედების შეფასება, ასევე ნანოტექნოლოგიების ინდუსტრიაში წარმატებითი დანერგვის სტრატეგიების შემუშავება - ყველაფერი ეს მნიშვნელოვანი მომენტებია, რომლებიც შესწავლას საჭიროებს.

საერთო ჯამში, ნანოტექნოლოგიას უზარმაზარი პოტენციალი აქვს ავიაშენებლობის წარმოებაში პროდუქტიულობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის გასაუმჯობესებლად. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ნანოტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავება ავიაკაციაში ენერგომოხმარებისა და სითბური ეფექტის მქონე აირების გამოყოფის შესამცირებლად.

ყველა ეს კვლევა საშუალებას მისცემს ავიაკაციის ინდუსტრიას შექმნას უფრო სრულყოფილი და ეკოლოგიურად სუფთა საფრენი აპარატები.

დასკვნა

გრაფენს, ნახშირბადის ნანომილაკებს, ნანოფხვნილებს, ნანოკომპოზიტებსა და ნანოფირებს აქვთ დიდი პოტენციალი ავიაკაციის ინდუსტრიაში გამოყენებისთვის მათი განსაკუთრებული მექანიკური, თერმული, ელექტრული და ბარიერული თვისებების გამო. ამ ინოვაციურ ნანომასალებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ საჰაერო ხომალდების მახასიათებლები, გააძლიერონ ფრენის უსაფრთხოება და შეამცირონ საექსპლუატაციო ხარჯები. ამ მასალების შემდგომმა კვლევამ შეიძლება გააფართოვოს მათი გამოყენება ავიაინდუსტრიაში, გაზარდოს ეფექტურობა და ინოვაციურობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.Грузков С.А. Электрооборудование летательных аппаратов. Учебник для вузов: элементы и системы электрооборудования - Противообледенительные системы на основе использования специальных покрытий и жидкостей. – М. Типография "Новости", 2005, С. 352-362.
- 2.Tjong S. C. Recent progress in the development and properties of novel metal matrix nanocomposites reinforced with carbon nanotubes and graphene nanosheets //Materials Science and Engineering: R: Reports. – 2013. – Т. 74. – №. 10. – С. 281-350.
- 3.Liu Q., Huang S., He A. Composite ceramics thermal barrier coatings of yttria stabilized zirconia for aero-engines //Journal of materials science & technology. – 2019. – Т. 35. – №. 12. – С. 2814-2823.
- 4.Clarke D. R., Phillpot S. R. Thermal barrier coating materials //Materials today. – 2005. – Т. 8. – №. 6. – С. 22-29.
- 5.Kumar A., Sharma K., Dixit A. R. Carbon nanotube-and graphene-reinforced multiphase polymeric composites: review on their properties and applications //Journal of Materials Science. – 2020. – Т. 55. – №. 7. – С. 2682-2724.
- 6.Беленков Е.А., Ивановская В.В., Ивановский А.Л. Наноалмазы и родственные углеродные наноматериалы. Компьютерное материаловедение. Екатеринбург: УрО РАН, 2008. ISBN 5–7691–1958–6.
- 7.Riemenschneider J., Mahrholz T., Mosch J., Monner H. P., Melcher J. Carbon nanotubes – Smart material of the future: Experimental investigation of the system response // II ECCOMAS thematic conference on smart structures and materials: Materials and Processes. Lisbon, Portugal, 2005. P. 18–25.
- 8.Han Z., Fina A. Thermal conductivity of carbon nanotubes and their polymer nanocomposites: A review //Progress in polymer science. – 2011. – Т. 36. – №. 7. – С. 914-944.

Nanotechnology and Modern Aircraft Manufacturing

Gela Otarashvili¹, Zurab Sabashvili², Konstantine Khakhanashvili³

^{1, 2, 3} Georgian Technical University,
0160, 77 Kostava Str. Tbilisi, Georgia

Abstract: *The paper highlights that achieving a new level of aviation development is possible only through the use of innovative technologies such as nanotechnology. This necessity arises from the specific demands of aircraft advancement. In today's world, aviation plays a vital role in the global economy. Within this context, nanotechnology emerges as a key factor capable of significantly shaping the future of aviation. Nanotechnology provides unique opportunities for enhancing materials and components, thereby improving aircraft efficiency and safety. It also has the potential to reduce aviation's negative environmental impact and foster more sustainable industry growth. This article presents a review and analysis of nanotechnology's influence on aviation, current achievements in the field, and potential future applications. Nanotechnology is a branch of science and technology concerned with manipulating materials and structures at the nanoscale, where the dimensions of studied and engineered objects fall within the nanometer range.*

Keywords: *nanotechnology, nanocomposite, nanotube, graphene.*

საერთაშორისო ლოგისტიკური ცენტრების მნიშვნელობა

ანა კურტანიძე¹, გიორგი ევგენიძე²

^{1,2} საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ქეთევან დედოფლის გამზირი №16, 0103 თბილისი, საქართველო

რეზიუმე. ინფრასტრუქტურული ობიექტების კომპლექსი, რომელიც ლოკალურ ტერიტორიაზეა განთავსებული, სადაც მიმდინარეობს ინტეგრაციისა და კოორდინაციის პროცესების რეალიზაცია, ლოგისტიკურ ცენტრებს წარმოადგენს. მე-20 საუკუნის 60-90-იან წლებში, აშშ-სა და ევროპაში, სასაქონლო ნაკადების ტრანსპორტირებისა და გადანაწილების სფეროში, თავი იჩინეს გარკვეულმა პრობლემებმა და ტენდენციებმა, რომელთა შესწავლა აუცილებელი გახდა, სხვადასხვა ფორმატის ლოგისტიკური ცენტრების ფორმირების პროცესების სრულყოფისათვის. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ, მიკრო და მაკროეკონომიკურ ჭრილში, მაქსიმალურ ეფექტიანობას უზრუნველყოფს ინტეგრირებული ლოგისტიკური მომსახურება, რომლის დროსაც, ლოგისტიკური კომპანიები (პროვაიდერები, ოპერატორები), მატერიალურ-სასაქონლო ნაკადების მოძრაობისა და მომსახურებისას, კომპლექსურად ახორციელებენ მრავალფეროვან ლოგისტიკურ მომსახურებას.

საკვანძო სიტყვები: ლოგისტიკა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ლოგისტიკური ცენტრები.

შესავალი

მსხვილი ლოგისტიკური პროვაიდერების გამოჩენამ და მათ მიერ საკუთარი ლოგისტიკური ქსელის ფორმირებამ, დიდი სირთულეები შეუქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელ ფორმებს. გარდა ამისა, მცირე კომპანიები ტელემატიკური (სატრანსპორტო და ლოგისტიკურ სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ტელეკომუნიკაცია და ინფორმატიკა) სისტემების ფორმირების სირთულეებს გადააწყდნენ. აღნიშნული სისტემები კი, ლოგისტიკურ ბაზარზე ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მსხვილი კომპანიები საკუთარი ბიზნესის წარმატებით მართვისათვის ეფექტურად იყენებენ თანამედროვე საინფორმაციო მართვის სისტემებს. რაც შეეხება, მცირე ბიზნესის წარმომადგენელთ - IT უზრუნველყოფა, მაღალი ღირებულების გამო, მათთვის ხელმისაწვდომი არ არის. ამ და სხვა პრობლემათა ტრადიციული მეთოდებით გადაწყვეტა, მსხვილ ინვესტიციებს საჭიროებს, რომელთა ამოყიდვის ვადაც 15-20 წლით განისაზღვრება. ამიტომ, აუცილებელი გახდა, სატრანსპორტო სისტემების განვითარების იმ ალტერნატიული გზების ძიება, რომელთა გამოყენება არსებული ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ეფექტიანობას გაზრდის და სამომავლო განვითარების გარანტი გახდება.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ ცხადყო, რომ ლოგისტიკურ ცენტრებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ბიუჯეტის ფორმირებასა და მომხმარებელთა მთლიანი ლოგისტიკური დანახარჯების შემცირების საკითხებში. მაგ.: ჰოლანდიაში ტრანზიტული ლოგისტიკური ცენტრები სატრანსპორტო კომპლექსების შემოსავლების 40 %-ს ჰქმნიან.

საფრანგეთში - 31 %-ს და გერმანიაში კი - 25 %-ს. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მისი წილი 30 %-ია.

მიუხედავად სხვადასხვა ევროპულ ლოგისტიკურ ცენტრებს შორის არსებული განსხვავებისა, მათ აერთიანებთ შემდეგი - მულტიმოდალურობის სტიმულირება.

ძირითადი ნაწილი

1985 – 2000 წლებში, დასავლეთ ევროპის ბევრი სახელმწიფო აქტიურად ჩაება ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობის პროცესებში, რადგან აშკარა იყო მათი დადებითი ზეგავლენა რეგიონების განვითარებაზე და საჰაერო/სატვირთო გადაზიდვებში. სახელმწიფოებმა სამთავრობო დონეზე მხარი დაუჭირეს ლოგისტიკური ცენტრების ფორმირების პროგრამებს და უზრუნველყოფილი იქნა მათი ფინანსური და სამართლებრივი მხარდაჭერა. ამგვარად, 90 -იან წლებში შეიქმნა ლოგისტიკური ცენტრების ქსელი. ამგვარი პროგრამების რეალიზაციით გამოწვეული დანახარჯების ფონზე ენთუზიაზმი, რომელიც გამოწვეული იყო ამგვარი პოლიტიკის გატარებით და მიღწეული დადებითი შედეგებით, ნელ-ნელა ქრებოდა, მიღებული ეფექტიც კი არ შეესაბამებოდა მოსალოდნელს. ლოგისტიკური ცენტრები, 90-იანი წლებისთვის, არსებული ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე, ვერ ვითარდებოდნენ. უფრო მეტიც - არადამაკმაყოფილებელი იყო მათი ათვისების ხარისხიც.

2008 წლის დასაწყისში, გერმანიამ შეიმუშავა სატვირთო გადაზიდვების და ლოგისტიკის გენერალური გეგმა. მისი მიზანი იყო ქვეყნის ლოგისტიკური სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ლოგისტიკური ცენტრების გამოყენების, დაფინანსებისა და ორგანიზაციის ოპტიმალური სქემის, სატვირთო გადაზიდვების და ლოგისტიკის სტრუქტურული ცვლილებების და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. გენერალური გეგმა შემუშავებული იქნა სამთავრობო და არასამთავრობო ექსპერტების მიერ და ლოგისტიკურ ცენტრთა ქსელებთან დაკავშირებულ ოცდაშვიდ კონკრეტულ წინადადებას მოიცავდა.

პორტუგალიის ლოგისტიკური გეგმა - იგი ფორმირებული იქნა 2006 წელს და მოიცავდა ქვეყნის სტრატეგიულ წერტილებში, ლოგისტიკური ცენტრების განვითარების კომპლექსურ ნორმატიულ სტრუქტურების და დაგეგმვის სქემებს. გეგმა ითვალისწინებდა ლოგისტიკური საქმიანობის ხელშეწყობას, არსებული სატრანსპორტო ქსელის ექსპლუატაციის ეფექტიანობის გაზრდის, საჰაერო, სარკინიგზო და საზღვაო გადაზიდვების სტიმულირების მიზნით. ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობის, დაფინანსებისა და ექსპლუატაციის ამოცანების გადაჭრა კერძო სექტორს დაევა.

წარმოების, გადაზიდვებისა და ვაჭრობის გლობალიზაციამ, ჩვენს დროში, მოითხოვა უფრო ეფექტიანი, ლოგისტიკური და SCM (Supply Chain Management-მომარაგების ჯაჭვის მართვა) – გადაწყვეტილება, რომლის მეშვეობით შესაძლებელია საჰაერო, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების რაციონალური მართვა. ეს არის ტვირთის მოძიების, დასაწყობების, ტრანსპორტირების, დისტრიბუციის და მონაცემთა ნაკადების პროცესები.

მსოფლიო ბანკის მიერ არის შექმნილი ლოგისტიკის განვითარების ინდექსი - LPI (Logistics performance index - ლოგისტიკური განვითარების/მოქმედების ინდექსი), რომელიც აფასებს ქვეყნების ლოგისტიკურ სისტემას ექვსი კომპონენტის მიხედვით: საბაჟო მომსახურება, საერთაშორისო გადაზიდვები, ინფრასტრუქტურა, მომსახურება, ტვირთების ტრეკინგი (track & trace - ტვირთების გადაადგილების შესახებ თვალყური) და ზუსტად/დროში მიწოდება (timeliness). LPI შექმნა, როგორც გლობალური ინსტრუმენტი, ქვეყნებს შორის საერთაშორისო

შედარებისათვის, სტრატეგიული პოლიტიკის შესამუშავებლად, ინვესტიციების მოსაზიდად, ვაჭრობის გასამართივებლად. მსოფლიო ბანკი, რეგულარულად ასრულებს ანალიტიკურ ანგარიშებს და ქვეყნებს საშუალებას აძლევს ახლებური კომპარატიული (შედარების მიხედვით შეფასება) თვალთ შეაფასონ ლოგისტიკური სისტემები.

LPI-2023 მოიცავს 139 ქვეყანას. საქართველო, რომელიც 2018 წელს LPI-ში 119-ე ადგილზე იყო, 2013 წლის მონაცემებით 79-ე ადგილზე გადაინაცვლა. 2023 წელს ამ პოზიციაზე გადასვლა აშკარა პროგრესია. ქვეყანა საშუალო დონესთან არის ახლო, მაგრამ უდავოდ ბევრად ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს როგორიცაა სინგაპური, ფინეთი, დანია. ცნობისათვის, საქართველოს მეზობელი ქვეყნები თურქეთი - ოცდამეცხრამეტე (39) ადგილზეა, სომხეთი ოთხმოცდამეჩვიდმეტეზე (97), აზერბაიჯანი მესამოცეზე (60).

საქართველოს ძლიერი მხარე ამ კუთხით არის საბაჟო პროცედურების გაუმჯობესება წინა წლებთან შედარებით, ტვირთის დროული/ზუსტი მიწოდება და ტრეკინგი.

სუსტი მხარეებია - ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო გადაზიდვების ხელმისაწვდომობა და ფასი.

საქართველოსთვის სწორედ რეგიონულ ქსელში ინტეგრაცია და ინფრასტრუქტურის განახლება არის უმთავრესი გზა, რომ მომავალში უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლოს LPI-ში. ცხადია, რომ საჰაერო და სატვირთო გადაზიდვების ორგანიზაციის და მათი მართვის ასპექტები, ლოგისტიკური ცენტრების გავლით, საერთაშორისო მნიშვნელობის მატარებელია.

საქართველოს განვითარების მიზნით, მდებარეობიდან გამომდინარე, აქტიურად შეუძლია მონაწილეობის მიღება სატრანზიტო საჰაერო სატვირთო ნაკადების შესრულებაში. ასევე, მთავრობა უნდა დაინტერესდეს აეროპორტების მიმდებარე ტერიტორიების ლოგისტიკური ზონების შექმნით, სპეციალური ეკონომიკური ზონებით, დისტრიბუციის ცენტრით. აუცილებელია სწრაფად დაინერგოს თანამედროვე სერვისები — IoT (“internet of things”-ტექნოლოგიური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ფიზიკური ობიექტები მაგ.: მოწყობილობები, მანქანები, სენსორები, თერმოსტატები, კამერები და სხვა, ინტერნეტთან არიან დაკავშირებული და ერთმანეთთანაც კომუნიკაცია შეუძლიათ), მართვის სისტემები, e-Doc (Doc ნიშნავს "ელექტრონულ დოკუმენტს" – რომელიც ქალაქის მაგივრად ციფრული ფორმით არსებობს, ინახება ან იგზავნება), საბაჟო გამართივებები.

დასკვნა

აუცილებელი/საჭირო იქნება ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობა LPI-ში. ინვესტიციების მოზიდვა, საერთაშორისო სტანდარტებთან შეთავსება - მაგ.: CEIV (Center of Excellence for Independent Validators) – ეს არის IATA-ს მიერ ინიცირებული დამოუკიდებელი შემფასებლების სრულყოფის ცენტრი და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება იქნება აუცილებელი. ეს სერტიფიცირების პროგრამა, მიზნად ისახავს საჰაერო ტვირთის სპეციფიკური კატეგორიებისთვის მაღალი ხარისხის, უსაფრთხოებისა და შესაბამისობის სტანდარტების დაცვას საერთაშორისო დონეზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა საერთაშორისო ლოგისტიკურ ოპერატორებთან, აეროპორტებთან, გადამზიდავ კომპანიებთან, რაც საშუალებას მოგვცემს სწრაფად მივიღოთ გამოცდილება და გავხსნათ ბაზრები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Прокофьева Т.А., Сергеев В.И. Логистические центры в транспортной системе: Учебное пособие. – М.: Изд. дом «Экономическая газета», 2019. – 524с;
2. Сергеев В.И. Концептуальные подходы к проектированию и классификация логистических центров // Логистика и управление цепями поставок, 2019. № 4;
3. Best Practice Handbook for Logistics Centres in the Baltic Sea Region, 2019, www.neloc.net/reports/Best_Practice_Handbook.pdf;
4. Ieva Meidute, The development and perspectives of logistics centers in Lithuania, Vilnius Gediminas Technical University, 2018;
5. businesscontact.ge/ka/article.

The importance of international logistics centers

Ana Kurtanidze¹, Giorgi Evgenidze²

^{1, 2} Georgian Aviation University

16 Ketevan Dedopali Avenue, 0103 Tbilisi, Georgia

Resume. *A complex of infrastructure facilities located in a local area, where integration and coordination processes are implemented, are logistics centers. In the 60s-90s of the 20th century, certain problems and trends emerged in the USA and Europe, the study of which became necessary in order to improve the processes of forming logistics centers of various formats.*

International experience shows that, from a micro and macroeconomic perspective, integrated logistics services provide maximum efficiency, during which, logistics companies (providers, operators), while moving and servicing material and commodity flows, provide a variety of complex logistics services.

Keywords: *logistics, transport infrastructure, logistics centers.*